

ვალერიან
შვალთბლიშვილი

ჰაინე

ბიოგრაფიული რომანის
ცდა

საგამომცემლო ჟირა „ხატი“
თბილისი
1996



კალჯრიან
მგალობლიშვილი

პატარა პარი, დიდი ჰაინრიხ ჰაინე – დასაწყისიდან დასასრულამდე უზარმა-
ზარი სიცოცხლე, ას კაცს რომ ეყოფა თავის წილ წუთისოუელში.

სიყვარული – უზომო, უკიდევანო, ძალა – უღვევი, ფანტასტიკური...

ეს რომანი სულია მისი – წემში ამღერებული, წემგან ხორცშესხმული...

პირველი ცდა – პირველი პირმშო წემი...

ავტორი.

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

რედაქტორი ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი კარლო ფაჩულია

რედაქტორისაგან



ამ წიგნზე მუშაობას რომ შესდგომია, ბატონი ვალერიანისთვის ერთ მეგობარს ასეთი რამ უთქვამს: ჰაინე უპარტიბილეთო კომუნისტი იყო, რაღა დროს კომუნისტებია, ადექი და, ვთქვათ, შილერზე იმუშავეო.

მიმხედარა ბატონი ვალერიანი — იმ მეგობარს თავისი სიმართლისა შეუვალად

სწამდა. ამიტომაც არ შეკამათებია.

ჰაინე კომუნისტი არ ყოფილა!

დიას, მართალია: წერდა იგი ჩაგრულ ხალხზე, უბრალო ფეიქრის, გუთნისდედისა თუ ჯარისკაცის მძიმე ყოფაზე, მაგრამ მათზე მარტო კომუნისტები წერდნენ?

გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც „მუშა ქობულაძე“ შექმნა, ილია ჭავჭავაძემ „მუშა“ რომ დაწერა, ნიკო ლომოური თუ ეკ. გაბაშვილი, გლეხკაცის გაჭირვება ასე ხელშესახებად რომ დაგვისატეს, კომუნისტები იყვნენ?

მართლაც, რა შუაშია მრწამსი, თუ ნაღდი პოეტი ხარ! ჰაინე გინდ კომუნისტი ყოფილიყო, გინდ — ინკვიზიტორი, გინდ — შარაგზის ყაჩალი (ყაჩალი პოეტიც ხომ ვიცით — დიდი ფრანგი პოეტი!), იგი, უწინარესად, პოეტი იყო და ამიტომ დღესაც კაშკაშებს გერმანული (და არა მარტო გერმანული!) პოეზიის თანავარსკვლავედში, იმ ნაღდი გერმანიისა, რომელსაც კომუნისტი და კომუნისტები არასდროს პყვარებია (ძალად თავსმობხვეულ ბოლშევიზმს თუ არ ჩავთვლით).

კომუნიზმის „ს უბადალებული „აჩრდილი“, რომელმაც ფეხი გერმანიაში აიდგა და „ევროპაში დადიოდა“, დიდი გერმანიისათვის აჩრდილადვე დარჩა.

ჰაინრიხ ჰაინე კი დგას, როგორც მონუმენტი, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

მეტი რომ არა ვთქვა, მკრეხელობაა, „პარცზე მოგზაურობის“, „ორი გრენადერის“, „ლორელაის“ ავტორი კომუნისტად მონათლო.

ვიმეორებ: ჰაინე იყო პოეტი — ამ სიტყვის ყველაზე უფრო პოეტური გაგებით.

ეს წიგნი — ჰაინეს ბიოგრაფიული რომანის ცდა — მცირედი ხარკია, დიდი პოეტის წინაშე მოკრძალებით თავდასწრილი ერთი ქართველი გერმანისტის მიერ გაღებული.

აპტორის წინათქმა

შეიძლება, მკითხველს გაუჩნდეს კითხვა — რატომ ამოვირჩიე ჩემი პირველი სერიოზული ლიტერატურული ცდის საგნად მაინცდამაინც პაინრის პაინე?

იმიტომ, რომ იგი იყო არა მარტო დიდი პოეტი, არამედ უაღრესად საინტერესო პიროვნებაც, ვინც იმთავითვე გავითავისე და ვინც საოცრად მიზიდაეს და მალეულებს დღესაც, მის პოეზიასთან შეხვედრიდან. ამდენი წლის გასვლის შემდეგ.

პაინრის პაინე იმ დღიდანაა ჩემთან, როცა პირველად წავიკითხე მისი „ლორელი“, გერმანული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედეგრი. ეს მოხდა ჩემი მოსწავლეობისას. მერე, უკვე უნივერსიტეტის სტუდენტმა, ჯერ ქართული თარგმანით გავიცანი, ხოლო მოგვიანებით ორიგინალში წავიკითხე მისი „სიმღერების წიგნი“, „მოგზაურობის სურათები“, „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“, სონეტები... და უკვე მაშინ, უნივერსიტეტის აუდიტორიაშივე, გადავწყვიტე, დამეწერა მასზე ბიოგრაფიული რომანი.

მაგრამ ვიდრე გავბედავდი და ამ მძიმე ტვირთს შევეჭიდებოდი, თოთხმეტმა გრძელმა წელიწადმა გაიარა. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ, შეიძლება ითქვას, ამ წლების განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, პაინეზე, მის პოეზიასა და პიროვნებაზე და, მაშასადამე, ჩემს განზრახვზე არ მეფიქროს.

და აი, ბოლო ფურცელი დაწერილია...

დავსვი უკანასკნელი წერტილი და ერთბაშად ორმა გრძობამ შემიპყრო: სინანულმა იმის გამო, რომ უნდა გამოვთხოვებოდი ჩემს სათაყვანო გმირს, და სიხარულმა იმის გამო, რომ ჩუმი დანაპირები შევუსრულე და მის წინაშე პირნათლად მოვიხადე ვალი.

„პაინე. ბიოგრაფიული რომანის ცდა“ — ასე ვუწოდე წინამდებარე წიგნს, რომელიც, ჩემი რწმენით, მკითხველს დაეხმარება, რათა უფრო ნათლად დაინახოს პაინეს პიროვნება და ის ეპოქა, რომელშიაც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. განსაკუთრებით, ვფიქრობ, ეს წიგნი

სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის, და თუ თუნდაც რამდენიმე მათგანი ისევე შეიყვარებს ჰარი ჰაინეს, როგორც მე მიყვარს იგი, ჩემს შრომას გამართლებულად ჩაეთელი, ხოლო მიზანს — მიღწეულად.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა:

ამ რომანს მარტო მე როდი ვწერდი! მასზე მუშაობისას ყოველთვის ვგრძნობდი ჩემი პროფესორ-მასწავლებლების გამამხნეველ მზერას, იმ პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებმაც შემასწავლეს და შემაყვარეს დიდი გერმანელი პოეტის შემოქმედება და პიროვნება.

ამიტომ მინდა, რომ ამ დიდებულმა ადამიანებმა ეს რომანი მათდამი ნათქვამ სამადლობელ სიტყვადაც ჩამითვალონ.

მე ჩემი საქმე, რამდენადაც შევძელი, გავაკეთე. და ახლა აჩქარებული გულისძგერით ველოდები მკითხველის განაჩენს.

ვალერიან მბალოგლიშვილი

„როცა მოვეკვლები, ვიცი, ამ ენას
ამომავალუჯენ ქენჯინლ გვამიდან,
რადგან შიშობენ, რომ ქვეყნად ისევ
დაებრუნდები და ენას ავიდგამ“.

3. 3 ა ი ნ ე

მოლოდინი

გერმანია. 1797 წლის ქრისტეშობისთვის 13.

იმ დღეს მკაცრი ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა დიუსელდორფში, ნამქერიანი ქარბორბალა ლაგამყრილი ცხენივით დათარეშობდა ქალაქში და გამეტებით ესლებოდა შეჭირსლულ ფანჯრებს.

ყოველთვის ხმაურიანი, სიცოცხლით სავსე ქუჩები ჩამკვდარიყო. აქა-იქ თუ გაივლიდა მუხლმაგარ ცხენზე ამხედრებული მედიდური რაინდი. უმეტესწილად სიცივისგან შეწუხებული ფეხით მოსიარულეები მოჩანდნენ, რომლებიც ცდილობდნენ, სწრაფად დაეღწიათ თავი ყინვის კლანჭებისგან და მოურიდებლად მიმომქროლავი მდიდრულად მორთული კარეტებისაგან.

მწუხრმა იმძლავრა. ნელ-ნელა განათდა ბიურგერთა საცხოვრისები, აციაგდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასახლეებში ოქროცურვილ შანდლებში ჩაწყობილი სურნელოვანი სანთლები.

ბოლკენშტრასეზე ჰაერი მძიმე ფლოქვების ხმებმა შეარხია. გამვლელები მიმოიფანტნენ.

თეთრი წვრილწვივება ცხენები მოაგელვებდნენ ფარდებჩამოშვებულ ეტლს, ფართო მკერდები მძლავრად აუდ-ჩაუდიოდათ, გაგანიერებული ნესტოებიდან ორთქლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებდნენ.

ეტლის რბილ სავარძელში მთლად ბეწვეულში ჩაფუთვნილი ოცდაათიოდე წლის კაცი იჯდა. მოუსვენრობა ეტყობოდა, თვალმოუშორებლად გაჰყურებდა ხორშაკი თოვლისაგან მომინანქრებულ ქუჩას.

გერმანია. რაინის დიუსელდორფი.

ბოლკენშტრასე.

სუსხიანი ქრისტეშობის მეცამეტე დღე სწრაფად ილეოდა...

დიუსელდორფი...

დიდი გერმანიის დიდი მდინარის — რაინის ქვემო წელში მისი ორივე ნაპირის გასწვრივ გაშლილი ქალაქი, სადაც იმ დროს თექვსმეტი ათასი კაცი ცხოვრობდა.

ამწვანებული სანაპირო ზოლი — ფიჭვი, სოჭი, ნეკერჩხალი, თელა, რცხილა — ქალაქის მაცოცხლებელი ფილტვები. ალაგ-ალაგ ტყის მასივებში შეჭრილი სახნავ-სათესები — ქერი, შერია, ხორბალი, ჭვავი... ურიცხვი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, უამრავი ფრინველი, უფრო მეტად — ბატი...

რაინი, წყალ-ველ-მინდვრების მასაზრდოებელი ელექსირი და, ამავე დროს, შესანიშნავი სატრანსპორტო საშუალება. მის ტალღებზე მუდამ ირწყოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნავები, გონდოლები, სამგზავრო თუ სატვირთო გემები.

რაინი მდიდარია სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის თევზითაც, რაც ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი საარსებო წყარო იყო.

ქალაქის ერთ ნაწილში მდიდრები ცხოვრობდნენ, მეორეში — წვრილი ბურჟუები და ღარიბი ბიურგერობა.

მდიდრების ფემენებელური სასახლეები ომიანობის დროს ციხესიმაგრეთა მაგივრობას სწევდნენ. მარმარილოთი და ოქრო-ვერცხლით მორთულ დარბაზებში გერმანიის მაღალი საზოგადოებისათვის ხშირად იმართებოდა ბალ-მასკარადები.

ქალაქის შენობათა უმრავლესობა ერთსართულიანი სახლები იყო, სადა, ყოველგვარ არქიტექტურულ აღკაზმულობას მოკლებული, მაღალი სხეენ-სახურავეებითა და, ასევე, მაღალი, აგურით ამოყვანილი ეროვნული ბუხრებით დამშვენებული.

ვიწრო ქუჩების ორივე მხარეს სავაჭრო ფარდულები იყო ჩამწკრივებული, სადაც წვრილი მეწარმენი თავიანთ საქონელს ასაღებდნენ.

ჰამბურგის, დრეზდენის, ფრანკფურტის მსგავსად, დიუსელდორფიც წვრილ მეწარმეთა, ხელოსანთა და ვაჭართა ქალაქის სახელით იყო ცნობილი.

ქალაქის ცენტრალური ქუჩა მუქი ვერცხლისფერი ქვაფენილით იყო მოკირწყლული. ქუჩის თავში კურფიურსტის¹ დიდებული სასახლე იდგა, ხოლო ბოლოში — მარკტპლატცი² ქალაქის რატუმით,³ რომელსაც ვებერთელა კურანტებიანი საათი ამშვენებდა. მარკტპლატცის ცენტრში

მუქი ნაცრისფერი ქვის ფიგურებით დამშვენებული მრგვალი შადრევანი ჩქეფდა, რომელსაც ქალაქის მოსახლეობა სასმელადაც იყენებდა, განსაკუთრებით — ბაზრობის დღეებში.

ბაზრობა უქმე და სადღესასწაულო დღეებში იმართებოდა. ისედაც ხალხმრავალი მოედანი ამ დროს მიღეთს ემსგავსებოდა. სახელდახლოდ გამართულ დახლებზე გლახობას თუ წვრილ მოვაჭრეებს გამოფენილი ქონდათ თავიანთი საქონელი და მუშტრებს ხმამაღლა ეპატივებოდნენ.

ბაზრობების დროს იმართებოდა ნაირგვარი სახიობანი. მოხეტიალე კომედიანტები თავიანთ ბალაგანში ხალხს სთავაზობდნენ მხიარულ ვოდვეილებსა და გასართობ ნომრებს. სიკვდილით დასჯაც აქ იმართებოდა. მოედნის ერთ ნაწილში ააგებდნენ ეშაფოტს, ფიცარნავს, სადაც დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ თავის მოკვეთით ან კოცონზე დაწვით, ან ჩამოსხრობით...

ეშაფოტის მოპირდაპირე მხარეს აწყობდნენ იმპროვიზებულ ლოჯას ქალაქის კურფიურსტიისა და მისი ოჯახის წევრებისათვის. კურფიურსტი თავისი ჯალაბითა და ახლობლებით ყოველ ბაზრობას ესწრებოდა.

ღიას — დიუსელდორფი...

მეთერამეტე საუკუნის მიწურული...

ბოლქერშტრასე, 5

ბოლქერშტრასე ქალაქის ერთ-ერთი ქუჩათაგანი იყო. აქ ვერ ნახავდით ბრწყინვალე სასახლეებს, ქუჩას ორივე მხარეს ჩასდევდა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სამიკიტნოები, სავაჭრო ფარდულები, ლუდხანები, სამორინეები...¹

ქალაქის რატუმის საათმა რვაჯერ ჩამოკრა.

ღია ნაცრისფრად შეღებილ სახლთან, რომელიც თავისი სისადავით გამოირჩეოდა, ეტლი გაჩერდა.

ეტლიდან შუა ხანს მიტანებული ტანმორჩილი მამაკაცი გადმოვიდა. ხელთ ეპყრა შავი ფერის პატარა ჩემოდანი — საექიმო ჩანთა. სწრაფი ნაბიჯით მივიდა შენობის შესასვლელთან და ზარის სახელურს ჩამოკრა. ალბათ ელოდნენ — მძიმე კარი მყისვე გააღეს და მოსული შეიპატიყეს. მსახურმა მოსასხამი ჩამოართვა, საკიდზე ჩამოკიდა და სტუმარს წინ გაუძღვა. მსახურმა კიდევ ერთი კარი შეაღო და ახალმოსული ვრცელ სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა, სადაც მაღალსაზურჯიან ვენურ სავარძელში მოკალათებული რამდენიმე ქალი და კაცი დაუხვდა.

სწორედ ამ დროს მეზობელი ოთახის კარი გაიღო და კეთილსახიანი,

ჩასუქებული დედაკაცი შემოვიდა. ახალშემოსული სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— როგორ გრძნობს ფრაუ თავს?

— თქვენ გელოდით, პერ რობერტ, სწორედ რომ დროზე მობრძანდით! — და სმადაბლა აუწყა: — ტკივილები უკვე დაეწყო!

— ძალიან კარგი! მე მზადა ვარ! სად შეიძლება ხელების დაბანა?

— მობრძანდით!

ექიმი ერთი წამით შეყოვნდა და მორიდებული ღიმილით ბოდიში მოუხადა ოთახში მყოფთ:

— მაპატიეთ, ბატონებო და ქალბატონებო!.. სირქარისა და დაბნეულობის ბრალია... მოგესალმებით და მშვიდობას გისურვებთ.

ექიმს მდაბლად დაუკრეს თავი.

საწოლ ოთახში, ხის განიერ საწოლზე, მაქმანებითა და ფუშფუშელებით გაწყობილ ლოგინში ლამაზი ცისფერთვალემა ქალი იწვა. ეს იყო ფრაუ ბეთი, ამ ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისი, რომელიც პირმშოს დაბადებას ელოდებოდა.

ფრაუ ბეთის დროდადრო აუტანელი ტკივილები წამოუვლიდა და ცისფერი თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. თეთრ, მაღალ, ოფლით დაცვარულ შუბლს მოახლე დროდადრო ხელსახოცით უმშრალებდა.

ექიმი მშობიარესთან მივიდა...

— მიშველეთ, ექიმო კლინგე! — შეევედრა ქალი.

— დამშვიდდით. ფრაუ ბეთ! სიტყვას გაძლევთ, ყველაფერი კარგად იქნება!..

სასადილო ოთახში შეკრებილი ოჯახის ნათესავეები და ახლო მეგობრები გაცხოველებული ჩურჩულით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ლამაზად ნაგებ, ჩუქურთმებით დამშვენებულ დიდ ბუხარში მსიარულად გიხგიზებდა ცეცხლი. მუგუზლები დროდადრო ტკაცუნებდნენ და ნაპერწყლებს აბნევდნენ. ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა.

ბუხართან სამი წარმოსადეგი მამაკაცი იდგა. ორნი სმადაბლა საუბრობდნენ. მესამე კი ჩუმად მისჩერებოდა ცეცხლს და ჩიბუხს ნერვულად ქაჩაუდა. მერე მოსაუბრეებს გაშორდა. განიერ თაღოვან ფანჯარასთან მივიდა, მძიმე ყავისფერი ხავერდის ფარდა გადასწია და ქუჩას გახედა.

ბეთი!

ღიუსელდორფელი ცნობილი ექიმის ქალიშვილი, მშვენიერი ელიზაბეთ ვან გელდერნი.

გარეთ მოხეტიალე ქარბორბალამ ახლა მის ფიქრებში გადმოინაცვლა.

პირველი გაცნობა, შეგობრობა, გამიჯნურება და...

...ნანატრი დღეც — მათი ქორწინება.

და ახლა ეს სანდომიანი ტანადი კაცი, ოჯახის უფროსი სამსონ (სი-გიზმუნდ) ჰაინე, პანოვერელი ვაჭრის ვაჟიშვილი, ინგლისური მანუ-ფაქტურის მალაზიის მეპატრონე, სიყრმის შვილს ელოდება.

აღუღებულმა ხმებმა გამოარკვიეს იგი ფიქრებიდან. მისკენ მომავალი სახეგაბადრული ქალი დაინახა და გაუბედავად გადადგა ერთი ნაბიჯი. მოახლემ შესცინა და მდაბლად დაუკრა თავი:

— ბედნიერი მამა ბრძანდებით, პერ სიგიზმუნდ: ვაჟია!

მილოცვებს ბოლო არ უჩანდა...

— შეხედეთ! ცას შეხედეთ! — შეჰკივლა უცებ ერთმა ქალბატონმა.

ყველანი ფანჯრებისკენ შებრუნდნენ.

ჩამუქებულ-ჩაბინდულ ცაზე ვეება ვარსკვლავი ჩახჩახებდა და თითქოს ნაპერწკლებს ისროდა.

— სასწაულია! სასწაულია!..

— ვარსკვლავთან ერთად დაიბადა!..

— სასახელო ვაჟკაცი გაიზრდება! — ისმოდა შექახილები. ოთახიდან, სადაც მშობიარე იწვა, ბავშვის ტირილი ისმოდა.

ეს იყო 1797 წელს, ქრისტეშობისთვის ცამეტში.

სამსონ ჰაინე უბედნიერეს კაცად გრძნობდა თავს.

მომხიბვლელი ფიზიკური გარეგნობის მქონე სამსონი გულუბრყვილო ბავშვივით პატიოსანი ადამიანი იყო, თავის სავაჭრო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მისი ბუნება უფრო ღია, ხელგაშლილი ცხოვრებისაკენ ილტვოდა. გარეგნული ეფექტის მოყვარულს, ნაპოლეონის მიერ დიუსელდორფში სამოქალაქო გვარდიის დაარსება უფრო იმიტომ გაუხარდა, რომ, როგორც ამ გვარდიის ოფიცერს, ტანზე შემოსალტული, ცისფერი ხავერდით გაწყობილი მშვენიერი მუნდირის ტარებისა და კოლონის წინ მედიდურად, თავაწეული სიარულის შესაძლებლობა ეძლეოდა. მორიგეობის დღეებს მოუთმენლად ელოდა. ამ დროს მუდამ თავის სტიქიაში იყო — ხელქვეითებს საკუთარ ხარჯზე საუკეთესო ღვინით უმასპინძლებობდა და, ბუნებრივია, თავის გვარდიელებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ ვაჭრობაში დიდი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია, ვერც სიმდიდრე დააგროვა და ვერც სახელი მოიხვეჭა. ამიტომ შინაგანად ცხოვრების უკმაყოფილო იყო და ხანდახან მოულოდნელი ნაღველი შემოაწვებოდა ხოლმე გულზე.

ერთადერთი, რისთვისაც ბედს უმაღლოდა, მისი საყვარელი მეუღლე იყო, ბეთი ვან გელდერნი. ელიზაბეთის ერთი შეხედვა კმაროდა, რომ მის მიმართ სიმპათიით განწყობილიყავით. თეთრ ლამაზ პირისახეს დიდ-რონი ცისფერი თვალები უმშვენებდა. ყოველთვის სადად, მაგრამ მოხდენილად იცვამდა. ჩალისფერი თმის ლამაზი ვარცხნილობით, მომხიბვლელი გრაციითა და სანდომიანი ღიმილით მყისვე გამოარჩევდით სხვა-თაგან.

ფრაუ ჰაინე დიდად განათლებული ქალბატონიც იყო, რაც მას ოჯახიდან მოსდგამდა. მამა ექიმი ჰყავდა, დედა — პედაგოგი. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ბეთიმ, რომელმაც წერა-კითხვა ადრე ისწავლა, მალე ყველა წიგნი გადაიკითხა. განსაკუთრებით უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ცხოველი ინტერესით ეცნობოდა უკვე ცნობილ თუ ჯერ ახლად ფეხადგმულ მწერალთა ნაწარმოებებს. ზეპირად იცოდა გერმანული თუ სხვა ევროპული ქვეყნების ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. უყვარდა ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, განსაკუთრებით — ძველი ბერძნული მითები.

რომ წამოიზარდა, ჟან-ჟაკ რუსოს შემოქმედებას ჩაუღრმავდა, უყოყმანოდ იზიარებდა მის პედაგოგიკურ შეხედულებებს. გადაწყვეტილიც ჰქონდა, შეიღებოდა რუსოს „ემილის“ მიხედვით აღეზარდა. ექიმის ოჯახიდან გამოსული ბეთი რელიგიური ფანატიზმისგან თავისუფალი იყო. იგი დეიზმს¹ აღიარებდა, აღიარებდა ღმერთს, როგორც სამყაროს პირველ მიზეზს, მაგრამ არ სცნობდა მის ჩარევას ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში.

არც სამსონი და არც ელიზაბეთი პოლიტიკაში არ ერეოდნენ, და თუმცა ხმა მაღლა არავის უმჟღავნებდნენ თავიანთ გულის ნადებს, სულის სიღრმეში თანაუგრძობდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომელმაც საძირკველი შეურყია ევროპულ ფეოდალიზმს. ცოლქმარი ჩუმად იმედოვნებდა, რომ საფრანგეთის რევოლუციის ალი გერმანიასაც მოსწვდებოდა და გადაბუგავდა პრუსიულ თუ საერთოგერმანულ რეაქციულ სამხედრო-ფეოდალურ წყობას, რომელსაც სულაც არ ეხატა გულზე არც ებრაელობა და არც წვრილ ბურჟუაზია ინტერესები. ჰაინეები და გელდერნები კი ებრაელები და წვრილი ბურჟუები იყვნენ.

სამსონი ერთხელაც ეამბორა მეუღლეს შუბლზე. მერე ისედაც მისუსტებული ქალი უფრო არ გადავდალოო, ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა.

სტუმრები, ახლობლები და მეგობრები გვიან ღამემდე დარჩნენ სამ-

სონ ჰაინეს ოჯახში. ბევრი შამპანური შეისვა, ბევრი სადღეგრძელო ითქვა... ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, სახელდობრ ვინ დაიბადა ჰაინეების ოჯახში... ეს იცოდნენ — ჰაინრიხი ერქვა. ასე ისურვა ბედნიერ-მა მამამ.

პარის ბავშვობა

დრო ელვისებური სისწრაფით მიჰქროდა. კვირას კვირა მისდევდა, თვეს — თვე.

პატარა პარი (ასე უწოდებდნენ მშობლები სიყვარულით) თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. ფეხი მალე აიდგა, ლაპარაკიც მალე ისწავლა. მისმა გამოჩენამ გაახალისა ოჯახის ატმოსფერო. ვაჟიშვილის სიყვარულით თავბრუდახვეული სამსონ ჰაინე მთელ დღეებს სამიკიტნოში ატარებდა და გულიანად იღხენდა.

ბეთი ჰაინე დიდიდან სალამომდე დროს პირმშოსთან ალერსში ატარებდა. პრაქტიკული გონების ქალი მომავლის იმედით შეჰყურებდა პარის.

პატარა ჰაინრიხი ლამაზი გარეგნობის ბავშვი იყო. ქერა, ზვეული თმა ჰქონდა, თეთრ პირისასხეს მიმზიდველი ზღვისფერი თვალები უმშვენებდა. ასაკთან შედარებით ტანადი იყო. ყოველთვის ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ლამაზად და გემოვნებით ჩაეცმიათ მისთვის. ბიჭს განსაკუთრებით ცისფერი და ვარდისფერი სამოსი უხვდებოდა. როცა ამ ფერის ტანისამოსი ეცვა, ლამაზ თოჯინას წააგავდა. ყველა ხალისით ეთამაშებოდა, უცხო თუ შინაური, დიდი თუ პატარა.

თუმცა ჰაინეებს მოახლეები. ჰყავდათ, პარის აღმზრდელად ფრაუ ურსულა აუყვანეს, რომელიც მთელ დიუსელდორფში ერთ-ერთ საუკეთესო გუვერნიორ ქალად ითვლებოდა. პატარა პარის არაფერი ერჩივნა 'სათნო და კეთილ გადიასთან ყოფნას. ფრაუ ციპელი უაღრესად განათლებული, ლიტერატურის კარგი მცოდნე ქალი იყო. ბრწყინვალედ იცოდა გერმანული ფოლკლორი: ზღაპრები, ლეგენდები, ბალადები, სიმღერები...

ბიჭს ძალზე იტაცებდა ფრაუ ურსულას ნაამბობი კეთილსა და ბოროტ ჯადოქრებზე, კუდიანებზე, ჭინკებზე, რომლებიც ღამღამობით სახლის სახურავებზე დახტოდნენ, და ბავშვი უნებლიედ გადადიოდა სხვა სამყაროში.

ფრაუ ციპელმა გააცნო პარის და მისთვის ახლობელი და სისხლსორცეული გახდა გერმანული ხალხური ბალადებისა და სიმღერების პერსო-

ნაყები — ლორელი და ჰამელნელი მუსიკოსი, უფლისწული და მეფის ასული, ფალკენშტაინი და ვაინსბერგელი ქალები, მშვენიერი ლილოფა და ჯადოსნური ბუკის მფლობელი ყმაწვილი, ლენორე, ტყის მეფე, ტან-პოიზერი... ყოველი მათგანის ხატი სამუდამოდ დარჩა ყრმის გულსა და მესხიერებაში და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ასაზრდოებდა მწერლის მრავალფეროვან შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ჰაინე თავად განათლებული იყო, იგი სასტიკად უკრძალავდა პატარა პარის წიგნების კითხვას, ნებას არ აძლევდა, მონაწილეობა მიეღო ხალხურ თამაშობებში, სასტიკად კიცხავდა მოსამსახურეებს, თუ პარის თანდასწრებით ისეთ ამბებს მოჰყვებოდნენ, რაც ბავშვის ფანტაზიას გააღიზიანებდა. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, პატარა პარის ხასიათში უნდა ვეძებოთ: იგი ადვილად აღგზნებადი, მეტად ცნობისმოყვარე და საკმაოდ ჯიუტი ბავშვი იყო. თუ რამეს დაიჩემებდა, ვერ გადათქმევინებდა. პირველობა უყვარდა, თუმცა არა სხვისი დაჩაგრვის ხარჯზე. სამი წლის ასაკში უკვე ფერად სიზმრებს ხედავდა. შუალამისას ან დილაბნელზე გააღვიძებდა გაღია ციპელს (ან დედას — თუ მასთან იყო) და სიზმარს უამბობდა, თან ნანახის განმარტებას სთხოვდა. როცა სოლომონ ჰაინემ, პარის ბიძამ, ოთხი წლის პარი პირველად ინახულა და მის საქციელს დააკვირდა, თავი გადააქან-გადმოაქანა და თქვა:

— მძიმე ხასიათის ბავშვი იზრდება! გაუჭირდება ცხოვრება!..

ერთადერთი იყო პარის ბიძა (ბეთის ძმა) სიმონ გელდერნი, რომელმაც, მიუხედავად დის წინააღმდეგობისა, საგრძნობი გავლენა იქონია პარიზე და მისი სიყვარულიც დაიმსახურა. იგი ხშირად ასაჩუქრებდა ბიჭს სათამაშოებით, ძვირფასი ნივთებითა და წიგნებით, ნებას აძლევდა, ესარგებლა ბიძის ბიბლიოთეკით, რომელიც მდიდარი იყო ევროპული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებით.

პარის ყველაზე მეტად სიმონის სახლის სხვენი იზიდავდა. იქ ბიძამისი მამაპაპისეულ ნივთებს ინახავდა. ერთი ვეებერთელა სკივრი სავსე იყო ძველიშველი წიგნებითა და ხელნაწერებით. რაღაც იდუმალების ბურუსში ჰხვევდა ეს სხვენი ბიჭს. ყოველ ძველ ნივთს გონებაში თავისებურად გარდასახავდა და გაბედულად დაფრინავდა მის მიერვე შექმნილ ზღაპრულ სამყაროში. იქეჭებოდა ძველ ხელნაწერებში. მერე იპოვა და ინტერესით წაიკითხა თავისი პაპის ერთ-ერთი ძმის, სიმონ გელდერნის თავგადასავალი.

ბიძა ამ სხვენს „ნოეს კიდობანს“ უწოდებდა.

პარის არაფერი ერჩივნა „ნოეს კიდობანში“ ყოფნას.

ამბობენ, ბავშვის მესხიერება სამი წლის ასაკიდან იწყებაო, მაგრამ

პარის კარგად ახსოვდა (მოგვიანებითაც ხშირად იგონებდა), როგორ დაატარებდა ჩვილს სათნო გადია ურსულა, როგორ ახვევდა თეთრ, ქათქათა ზეწარში, როგორ უნანავებდა ან ფაფას აჭმევდა ვერცხლის პაწია კოვზით. ის კოვზი ბოლომდე რელიქვიად შემორჩა, გადია ურსულა კი რამდენიმე წლის მერე მიწამ მიიბარა. უკვე ასაკში შესული იყო, ჩუმად, სხვისგან მალულად რომ ტიროდა ხოლმე ბავშვით, როცა კი გადიის თბილი მკერდი და ალერსიანი თითები მოენატრებოდა.

პირველი მკვეთრი, ხანჯლის დარტყმასავით მწვავე ტკივილი ფრიცის სიკვდილმა მიაყენა. მით უმეტეს, რომ მეგობრის დაღუპვაში საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა.

ეს იმ დროს მოხდა, როცა ფრანცისკანული მონასტრის სკოლაში სწავლობდა.

ბიჭები მონასტრის გალაყანზე გადაქრნენ, წელში ოთხად მოხრილებმა ბუჩქნარით დაფარული მწვანე ფერდობი ჩაირბინეს და მხოლოდ მღინარის ნაპირას მოითქვეს სული.

— თუ გაგვიგეს, როზგები არ აგვცდება! — მონასტრისკენ გაიხედა ფრიცმა. — მგონი, აბატს მოვკარი თვალი, საპირფარეშოსკენ მიდიოდა.

— წითელი პარიკი თუ ეკეთა, მართლაც დ'ონუა იქნებოდა, — ჩაიცინა პარიმ. — ნუ გეშინია, ეგ, ხომ იცი, ახლომხედველია, ვერ გვიცნობდა ამ სიმორეზე.

ფრიცის — ფრიდრიხ ფონ ვისეცკის — პეპრის პეპერა პოლონელი შლიახტიჩი იყო, მაგრამ ეს ამჟამად ფრიცის ოჯახის წევრებსღა თუ ახსოვდათ; დიუსელდორფელები ჭეშმარიტ გერმანულად თელიდნენ ფრიდრიხის მამას, გეორგ ვისეცკის, რომელიც ქალაქში ბრწყინვალე ადვოკატად ითვლებოდა. გეორგი განათლებული ლიბერალი იყო. შეილსაც ასევე ზრდიდა და არ საყვედურობდა ებრაელ თანატოლებთან — პარი პაინესთან, ქრის ზეტესთან, ფრანც ცუკელმანთან — მეგობრობის გამო.

დიუსელი მშვიდად მოედინებოდა, თითქოსდა ბედს შერიგებული: ცოტაც და, რაინის მშფოთვარე ტალღებში ჩაინთქმებოდა.

ბიჭებმა ნაპირზე სილის კოშკი ააგეს, მოცხარის ნორჩი ტოტებით გადახურეს. კოშკს გალაყანი შემოავლეს, გზებიც გაიყვანეს. ის იყო, შემოსეული მტრის — მუსულმანების წინააღმდეგ საბრძოლველად გაემზადნენ, რომ კატის ჩხავილი მოესმათ. თავი ასწიეს და დაინახეს — ნაპირ-ნაპირ მათი ნაცნობი ბებერი ჭრელი კატა მორბოდა, თან თვალი

მდინარისკენ ეჭირა, რომელიც ნეკერჩხლის ტოტს ჩაბლაუჭებულ კნუტს მოატივტივებდა.

— აუ, ფრიც! — წელში გაიმართა პარი. — კნუტი იხრჩობა, ბიჭო!

— რა ვქნათ? — ფრიდრიხმა მიმოიხედა. — რამე ჯოხი რომ იყოს...

ბებერი კატა შორიასლოს დაყუნცდა. ასლა სმადაბლა, საწყალობლად კნაოდა, თითქოს შეელას სთხოვდა ბიჭებს.

— აგე, ჯოხი! — პარიმ ჯოხი მოარბენინა, მერე მდინარეს გახედა. — შორსაა! აჰა, შენ მოსინჯე, მაღალი ხარ და გრძელი ხელები გაქვს! ჩქარა, თორემ ჩაატარებს და მორჩა მერე!

ფრიცმა მკერდამდე შეტოპა წყალში, გადაიხარა, ჯოხი უწვდინა კნუტს. ის საცოდავი საკმაოდ გონიერი გამოდგა, მაშველ ჯოხს ჩაებლაუჭა. ფრიცმა მოიზიდა, ხელში აიყვანა და ნაპირისკენ მოისროლა. იმავე წამს მონასტრის ბორცვიდან ყვირილი მოისმა. ფრიცი შეკრთა, შეტორტმანდა, გადაქანდა და უცებ წყალში ჩაიმალა. პარიმ ჯერ იფიქრა, ხუმრობსო, მაგრამ როცა ზედაპირზე აფართხალებულ ხელებს ჰკიდა თვალი, გაახსენდა, რომ ვისეცკიმ ცურვა არ იცოდა, და ყვირილი მორთო...

ასიოდე მეტრის მანძილზე ატარა პატარა დიუსელმა ფრიცი. რომ ამოიყვანეს, ბიჭი უკვე გაგუდული იყო.

სირბილით მივარდა შინ პარი. კარი მხრით შეაღო და დედის ოთახში შევარდა.

— დედა! დედა! — კიოდა გიჟივით. — ფრიცი მოვკალი, დედა!..

ერთი კვირის განმავლობაში კომმარული ჩვენებები და მაღალი ტემპერატურა უწვავდა სულსა და გულს პარის. როცა სიცხე დაუვარდა და, როგორც იქნა, დამშვიდდა, სასაფლაოზე წამიყვანეო, სთხოვა დედას.

იღვა ფრიცის საფლავთან, მობუზული, თავდახრილი, უტრემლო. მერე გაიგონა, ფრაუ ბეთი და სამსონი ვილაცას მიესალმნენ. მერე ვილაცამ თმაზე გადაუსვა ხელი. თავი ასწია — გეორგ ვისეცკი იყო. ისიც ტრემლგამშრალი დაჰყურებდა ჯერ კიდევ სველ შვილის სამარეს.

სიკვდილამდე არ ამოშლია მესხიერებიდან ეს სურათი ჰაინრიხს...

სამსონ ჰაინე დიდად არ იწუხებდა თავს პარის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვით, ეტყობა, არც ხელეწიფებოდა ეს საქმე და არც სურვილი გამოუჩენია. ამიტომ ეს საქმე მთლიანად ცოლს გადაულოცა. ფრაუ ბეთიმ ბუნებრივ მოვლენად ჩათვალა ეს ამბავი და დაბეჯითებით ცდილობდა, შვილი ეან-ჟაკ რუსოს პედაგოგიური ტრაქტატის, „ემილის“ მიხედვით აღეზარდა. სე იყო, ვიდრე დიუსელდორფის ფრანცისკანული

მონასტრის სკოლაში შეიყვანდნენ (ეს მონასტერი მდინარე დიკსელის პირას აღმართულ ბორცვზე იდგა), და შემდეგაც, სკოლაში რომ შეიყვანეს, მაგრამ...

მაგრამ ჰარი ახერხებდა და დედის უჩუმრად კითხულობდა გოეთეს დრამებს, ვოლტერის „კანდიდს“, შილერის „ყაჩაღებს“, ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმს“, სერვანტესის „დონ კიხოტს“... გულამოსკენილი, ბავშვური, ალალი ცრემლით დასტიროდა ლამაზი რაინდის დამსხვრეულ ოცნებებს. ბრახითა და ბოღმით ივსებოდა იმათ მიმართ, ვინც არაადამიანური გულუქვაობით დასცინოდა ადამიანთა სასიკეთოდ ამხედრებულ მოხეტიალე გმირს, მის წრფელსა და წმინდა სიყვარულს პირმშვენიერი დულცინეასადმი.

ასე რომ, რუსოს „ემილის“ გარდა, დედის სურვილის საწინააღმდეგოდ, ჰარის სხვა აღმზრდელებიც ჰყავდა, რომელთა შორის უმთავრესი და ყველაზე გავლენიანი პედაგოგი თავად ცხოვრება იყო.

— დედი, — კითხა ერთხელ ფრაუ ბეთის შეფიქრებულმა პარიმ, — ებრაელები მართლა ცუდები ვართ?

დედა გაფითრდა. თვალები მოწყურა, დაკვირვებით შესედა შეიღს.

— ვინ გითხრა?

ჰარიმ მზერა აარიდა, რატომღაც საკუთარი ხელის ფრჩხილებით დაინტერესდა.

— ვინ და... ომობანას ვთამაშობდით და... პანს არანდტმა უთხრა ალოის კერნერს — წამო, ბიჭო, შეეშვი მაგათ, ეგენი ხომ ბინძური ებრაელები არიანო და... ქრის ზეტემ შეაფურთხა. მაშინ პანსმა წიხლი ამოჰკრა და მე პანსს თავში წამოვარტყი და წამოვედით...

— დამშვიდდი, ჰარი...

— მშვიდი ვარ, დედა. — ჰარიმ ცისფერი თვალები შეანათა ფრაუ ბეთის, — დედი, ყველა გერმანელი კარგია?

ფრაუ ბეთიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა. ცუდებიც არიან. ამიტომ ეცადე, კარგ გერმანელებთან იმეგობრო.

ჰარი სერიოზულად, დიდი კაცოვით დაეთანხმა:

— კარგი, დედი. შევეცდები...

ახლობელთა წრისა და იმ ოჯახის ატმოსფერო, სადაც ჰარი იზრდებოდა, ანტიფეოდალური, ანტიბიურგერული სულით იყო გაქვნილი. ამიტომ ოჯახშიც და ახლობელთა წრეშიაც ნაპოლეონ ბონაპარტის კულტი სუფევდა. საფრანგეთის იმპერატორი წვრილბურჟუაზიულ დენას იმ ტიტანად ჰყავდა წარმოდგენილი, რომელსაც შეეძლო, ხაზმოდ-

ბული, რეაქციული გერმანული ფეოდალიზმის ბორკილები დაემსხვრია და თავისუფლება და თანასწორობა მოეტანა ხალხისათვის.

სახელმძღვანელოებში თავიარგული თუ თავისთვის კუთხეში მოთამაშე პაინრის სშირად მოუკრავს ყური დედ-მამის საუბრის ცალკეული ფრაზებისათვის:

„...გაიგე, ბეთ? ბონაპარტმა უღმთან ავსტრიელები გაანადგურა! გენერალმა მაკმა თურმე გაქცევით უშველა თავს!“...

„...იცი, ბეთ? ნაპოლეონმა აუსტერილიტთან კუღით ქვა ასროლინა იმ დათვ რუსებსა და მკვეხარა ავსტრიელებს...“

„...რა გახარო, ბეთ“ — ხვალ ბონაპარტი დიუსელდორფში შემოვა!..“

„ხვალეც“ გათენდა.

ის დღე არასოდეს დაავიწყდება პარის.

თუმცა მანამდე...

მანამდე ის იყო, რომ ერთ დილას დიუსელდორფმა სხვაგვარი განწყობითა და სხვაგვარ ვითარებაში გამოიღვიძა. ბაზრის მოედანზე, ერთი შეხედვით, ბევრი არაფერი შეცვლილიყო: კურფიუსტ იან-ვილჰელმის ძეგლი ძველებურად მყარად იდგა. მის ახლოს, თეატრის კუთხეში, ფეხებდაბრეცილი პერმანი ნამცხვრებს სთავაზობდა გამვლელებს: „აბა, ცხელ-ცხელი ვაშლის ნამცხვრები, ეს-ეს არის, ღუმელიდან გამოდებული ვაშლის ნამცხვრები! ოჰ, რა ნუგბარი სუნი აქვთ!“ სენიორა ჯულიეტა, ყელმოღერებული და დონიჯშემოდგმული, კლიენტს ელოდებოდა. გიყი ალოიზუსი კვლავინდებურად ცალ ფეხზე დახტოდა, იღრიჯებოდა და ფრანგი გენერლებისა და მარშლების სახელებს გაიძახოდა, ერთთავად „დაეუ“ და „ოჟერო“ ეკერა პირზე. სპირტით გათრიაქებული კუზიანი გუმპერცი რუში ეგდო და რაღაც სიმღერას გაპკიოდა დამახინჯებული ფრანგულით.

მაგრამ თუ დაუკვირდებოდი, შენიშნავდი, რომ ბაზრის მოედნისკენ მომავალი და იქ მყოფი მოქალაქენი რაღაცნაირად შეფიქრიანებულნი იყვნენ. ზოგს სახეზე სამგლოვიარო განწყობილებაც კი ეწერა. რატაუზის კარზე მიკრულ გრძელ განცხადებასთან ხალხი შეჯგუფებულიყო. ხმელ-ხმელი თერძი კილიანი, საშინაო პიჯაკში გამოწყობილი, ხმამალლა კითხულობდა განცხადებას, რომელსაც ქალაქის თავი, „დიუსელდორფის მამა“ აწერდა ხელს. იგი მადლობას უხდოდა ქალაქის მცხოვრებთ „მრავალგზის ნაცადი ერთგულებისათვის“ და საზეიმოდ უცხადებდა, „გათავისუფლებთ თქვენი მოვალეობისაგან“. იქვე მხრებჩამოყრილი პოლიციელი იდგა. იგი მოწყენილი შეჰყურებდა რატაუზის

კედლის იმ ადგილს, რომელსაც ჯერ კიდევ გუმინ კურფიურსტის გერბი ამშვენებდა.

ჰარი და მისი მეგობრები — სქელუა პიტერი და გრძელი კურცი კი ყველაზე უფრო იმით იყვნენ ბედნიერნი, რომ მათთვის კურფიურსტის გრანიტის ცხენზე აცოცება და იქიდან ბაზრის მოედნის თვალთვალი არავის დაუშლია.

ისინი სვდებოდნენ, რაღაც სდებო, მაგრამ მხოლოდ გვიან გაიგეს, რომ გერმანიაში რეფორმები დაიწყო...

აი, 1808 წლის 25 მარტის ცივი, მაგრამ მზიანი დღე კი სამუდამოდ ჩარჩა მესხიერებაში ჰარის.

მეოთხედი საუკუნის შემდეგ ცნობილი მწერალი ჰაინრიხ ჰაინე ასე მოიგონებს ამ დღეს:

„ჰოი, რა დამემართა მაშინ, როცა ვიხილე იგი ჩემი საკუთარი, დიდად გაბედნიერებული თვალებით (ჰაინეს ჩვეული იუმორი. — ვ. მ.), თვითონ იგი — ოსანა! — იმპერატორი.“

ეს მოხდა დიუსელდორფის სასახლის ბაღის ხეივანში. მე წინ მივიწვედი მომზირალ ხალხში და თან ვფიქრობდი იმ საგმირო საქმეებსა და ბრძოლებზე, monsieur Le Grand-ი რომ მიაბზობდა დაფაფზე დაკვრით... იმპერატორს მწვანე ფერის უბრალო მუნდირი ეცვა და მსოფლიო-ისტორიული პატარა ქუდი ეხურა... ღიმილი კრთოდა მის ბაგეებზე... საკმარისი იყო, ამ ბაგეებს ერთი დაესტვინათ და პრუსია აღარ იარსებებდა, საკმარისი იყო, ამ ბაგეებს ერთი დაესტვინათ და მთელ ხუცობას წირვა გამოუვიდოდა...“

აი, ასეთ გარემოში და ასეთი შეხედულებებით იზრდებოდა პატარა ჰარი. სწორედ ბავშვობისა და ყრმობის ასაკში გაუჯდა მას სისხლსა და ხორცში პრუსიის სამხედრო მანქანის, კლერიკალიზმის, ბიურგერული ფილისტერობისა და პირმოთნეობის სიძულვილი, რომელმაც მის პირველსავე ლექსებში იჩინა თავი და, ცხადია, რეაქციის აღშფოთება, სანაცვლო სიძულვილი და დევნა გამოიწვია, რომლისგანაც მწერალს თამისი მოღვაწეობის მანძილზე მოსვენება არ ღირსებია.

რაც შეეხება სკოლაში და მერე კი ლიცეუმში სწავლას, ვერ ვიტყვით, რომ ჰარიმ ძალზე გამოიჩინა თავი სიბეჯითით. სწავლობდა ბერძნულს, ებრაულს, გერმანულს, ლათინურს, გეოგრაფიას, მითოლოგიას, მათემატიკას... თუ გაკვეთილი კარგად იცოდა, დადებით ნიშანს იღებდა,

* მუსიე ლე კრანი — ფრანგი მედაფდაფე ჯარისკაცი, რომელიც დიუსელდორფში ყოფნისას საფრანგეთის რევოლუციაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე „დაფდაფის ენით“ უამბობდა ჰარის.

თუ ცუდად — როზეს... თავადვე აღიარებს მოგვიანებით, რომ საკმაოდ ბევრჯერ გაროზგილა.

ასე იყო თუ ისე, სამონასტრო სკოლაც დაამთავრა და დიუსელდორფის ლიცეუმიც, ამრიგად, ზოგად განათლებას უკვე ფლობდა. მაგრამ უმთავრესი, რასაც იგი ფლობდა, გერმანული ფოლკლორისა და კლასიკური, მხატვრული ლიტერატურული მემკვიდრეობის ცოდნა იყო და პრინციპულსა და თავდაჯერებულ პარის, რომელიც უკვე ლიცეუმშივე სცდიდა კალამს პოეზიაში, ეპიკიც არ ეპარებოდა, რაზე ოდესმე სახელგანთქმული პოეტი გახდებოდა.

ამრიგად, ბავშვობიდან გამოპყვა მას რეაქციის სიძულვილი, პროგრესისაკენ სწრაფვა და პოეზიის სიყვარული, რაც, შესაძლოა, გადია ურსულას მიერ ნამღერმა ხალხურმა „ლორელიამ“ ჩაუნერგა, „ლორელიამ“, რომლის დიდებული ვარიანტიც მერე თავად შექმნა, და მას მერე გერმანელები ჰაინეს „ლორელის“ მღერიან, რომელიც ხალხური კონიათ.

მაგრამ ამაზე — შემდეგ.

სიჭაბუკე

პრუსიულ ფეოდალიზმს აცახცახებდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შიშით და საფრანგში გაბმული ნადირივით აქეთიქით აწყდებოდა — ხან პარიზის წინააღმდეგ იბრძოდა სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ხანაც მის წინაშე სეპარატისტულ დათმობაზე მიდიოდა.

მავალითად, 1795 წელს ბაზელში სეპარატისტული ზავი დაუდო საფრანგეთს.

1806 წელს ხალისით შეუერთდა მეოთხე ანტიფრანგულ კოალიციას, მაგრამ მაშინვე სასტიკად დაისაჯა: ერთსა და იმავე დღეს, 1806 წლის 14 ოქტომბერს, ნაპოლეონ ბონაპარტმა — იენასთან და მარშალმა დაეჯ — ალერშტედტთან ერთიანად გააცამტკერა პრუსიის არმია. ამის შედეგად 1807 წელს ტილზიტის ზავით პრუსიამ თავისი ათწლეულობის ბრძოლით დაპყრობილი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა.

მოსდა ის, რისიც ევზომ ეშინოდა პრუსიის ფეოდალიზმს. ჰაინრიხ შტაინი და კარლ პარდენბერგი იძულებული გახდნენ, ნაწილობრივ მაინც, ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმები გაეტარებინათ — გლესობა გაათავისუფლეს პირადი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, ქალა-

ქებს თვითმმართველობა გაუფართოვდათ; ამავე დროს, გეორგ შარნ-პორსტმა და ავგუსტ გნაიზენაუმ ნაწილობრივ გარდაქმნეს არმია და გაატარეს სამხედრო რეფორმა. პრუსიაშიც გახშირდა ნაპოლეონის ფრთიანი ფრახა — „არტილერია ომის ღმერთია“.

1812 წელს პრუსიამ თავისი ჯარი მიახმარა რუსეთისაკენ დაძრულ ბონაპარტს, ხოლო 1813 წელს ხელახლა უკანა და მის წინააღმდეგ შექმნილ ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. ასე რომ, ლაიფციგთან გამართულ ბრძოლაში („ხალხთა ბრძოლა“), სადაც ნაპოლეონმა მარცხი განიცადა, პრუსიელი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ.

პრუსიელი კლერიკალები და ბიურგერობა ზეიმობდნენ, ჰაინეთა ოჯახი კი სევდამ მოიკვა — ჯერ ერთი, მისი წევრები ხომ აღმერთებდნენ ნაპოლეონს, როგორც სწორ-რუმოვარ მხედართმთავარსა და ევროპაში პროგრესის მებაირახტრეს, და მეორეც...

მეორე ის იყო, რომ ჰაინრიხის დიდებაზე მეოცნებე ფრაუ ბეთი უფროსი ვაჟიშვილის მომავალს იმთავითვე ნაპოლეონის არმიის ოფიცრის ოქროსფერ სამბრეებში ხედავდა, უფრო მეტიც, მტკიცედ სწამდა, რომ ბონაპარტის სასახლის კარზე ბრწყინვალე თანამდებობას მოიპოვებდა. სწორედ ამიტომ ლიცეუმის მოსწავლე პარის გაძლიერებით ასწავლიდნენ მათემატიკურ საგნებს და პარალელურად კერძო პედაგოგ-სპეციალისტებთან ამზადებდნენ სამხედრო დისციპლინებში.

იმპერიის დაცემასთან ერთად ფრაუ ელიზაბეთის ოცნებებიც დაიმსხვრა. ამიერიდან შვილის სამხედრო კარიერაზე ოცნება ფუჭი და ზედმეტი იყო (მისი ებრაელობის გამო, რაც პრუსიაში ადამიანს ნაკლად ეთვლებოდა). ჰაინრიხს სწრაფად შეაწყვეტინეს სამხედრო დისციპლინების შესწავლა. ახლა იგი უცხო ენებს, გეოგრაფიას, ბუნება-ტერიასა და საზღვაო-სახმელეთო ვაჭრობისათვის საჭირო და გამოსადეგ სხვა საგნებს დაწაფეს, რადგან, მშობლების გადაწყვეტილებით, ყველაათვის სასარგებლო იქნებოდა, თუ ჰაინრიხი ცნობილი დიდვაჭარი გახდებოდა.

სხვათა შორის, ჰაინრიხის უმცროს ძმას, მაქსიმილიანსაც წინასწარ განუსაზღვრეს ცხოვრების გზა და მოგვიანებით იგი მართლაც ცნობილი კომერსანტი და ბანკირი გახდა. რაც შეეხება შარლოტას, შუათანა დას (პარი მოფერებით ლოტხენს რომ უწოდებდა), მომხიბვლელი ქალიშვილი ადრე გათხოვდა, ზედიზედ სამი ვაჟი გააჩინა და, მისთვის რომ გეკითხათ, დედობაზე უკეთესი პროფესია ამ ქვეყნად არ არსებობდა.

დიუსელდორფში ლაიფციგის ბრძოლის ამბავი რომ მოვიდა, მეორე დღესვე მოხდა გახმაურებული კონფლიქტი პარისა და ლიცეუმის რეჟ-

ტორს, პროფესორ შტეფან შალმაიერს შორის, რომელიც მოსწავლეებს ფილოსოფიას უკითხავდა. შალმაიერი ჭოკივით აწოწილი და თხელ-თხელი კაცი იყო. აუდიტორიაში იმ დილით წელგამართული და ამაყად თავაწეული შევიდა, რის გამოც კიდევ უფრო მაღალი ეჩვენათ მოსწავლეებს. თავის კათედრასთან შეჩერდა და ღიმილით, რომელიც წინათ მის სახეზე არასოდეს უნახავთ, ყმაწვილებს მზერა მოაელო.

— ბონაპარტი დამარცხდა. საფრანგეთის იმპერიის მზე ჩაესვენა. გერმანია თავისუფალია. მომილოცავს! — მზერა პაინრიხზე შეაჩერა. — საინტერესოა, როგორ გუნებაზე ბრძანდება დღეს პაინე?

პარის სახეზე სისხლმა აასხა, ცისფერ თვალთა გუგები ერთიანად დაუწითლდა, ხელის თითები გაეყინა. მერხის კუთხეს ჩაეჭიდა და მკვეთრი მოძრაობით წამოდგა.

— ჩემი განწყობილება გაინტერესებთ, პერ?! — გამომწვევი კილოთი კკითხა.

— დიახ, დიახ! — იმავე ყინულიანი ღიმილით მიუგო შალმაიერმა.

— მაშინ მოგახსენებთ, პერ! იმპერატორი დამარცხდა, მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე ვდგავარ, — პარი თითქოს ხმლით ჰკვეთდა ჰაერს, მკვახედ და მკაფიოდ გამოთქვამდა ყოველ სიტყვასა და ბგერას. — იგი უდიდესი მხედართმთავარი და პროგრესული პიროვნებაა და ყველა პრუსიელი ფილისტერი, ერთად აღებული, მის ფერხთა მტერადაც კი არა ღირს! — ეს თქვა და მტკიცე, სწრაფი ნაბიჯით დატოვა აუდიტორია.

ჩვიდმეტიოდე წლის ჭაბუკის ეს საქციელი ხანშიშესულ პროფესორს, თანაც ლიცეუმის რექტორს, რა თქმა უნდა, გულზე არ დაეხატებოდა. პაინეს, ებრაელობისა და ბონაპარტისადმი სიმპათიის გამო, ისედაც ვერ იტანდა, კარგა ხანია, მასთან ანგარიშის გასწორების მიზეზს ეძებდა და აკი არც გაუშვია ხელიდან შურისძიების შესაძლებლობა — იმავე დღეს დაწერა ბრძანება ლიცეუმიდან პარის გარიცხვის შესახებ.

ბეთი და სამსონ პაინებს მთელი დიუსელდორფელი ნაცნობების შეწუხება დასჭირდათ, რათა პაინრიხისათვის გამოსაშვები გამოცდების ექსტერნად ჩაბარების უფლება მოეპოვებინათ. დიპლომში პარის ჩაუწერეს, რომ მან „მოისმინა დიუსელდორფის ლიცეუმის პროგრამული კურსი“.

ებრაელისათვის ისედაც ჭირდა სახელმწიფო სამსახურში შესვლა. ახლა კი მით უმეტეს — პარისათვის სამუდამოდ დახშული აღმოჩნდა დიუსელდორფის ყველა სახელმწიფო დაწესებულების კარი.

რჩებოდა ერთადერთი (ყოველ შემთხვევაში — პაინრიხის მშობლებისა და ახლობლების აზრით) გზა — ვაჭრობა, კომერცია, ფინანსები.

და პარის აიძულებენ, დღედაღამ თავი ჰქონდეს ჩარგული წიგნებში, რომლებიც მას არ აინტერესებს; გაერკვეს მამის კომერციულ საქმიანობაში, დაეთრებსა და ანგარიშებში, რაც მას არ აინტერესებს; მას აინტერესებს სულ სხვა რამ, თუმცა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს „სულ სხვა რამ“ მომავალში ცხოვრების აზრად და მთავარ მაგისტრალურ საზად იქცევა. ეს კია, რომ ხელახლა დაბრუნდა და გატაცებით კითხულობს და სწავლობს გერმანულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას.

ამის პარალელურად კი...

პირველი სიყვარული პარის ადრე ეწვია. თუმცა მანამდეც ჰქონდა ბავშვური გატაცებები. პაინრიხი თავისი ასაკის პირობაზე ტანადი და სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი იყო, ხუმარა, ჭკუამახვილი, ენაკვიმატი, თან — ლექსებსაც წერდა, ამიტომ გოგონები ისე ეხვეოდნენ, როგორც ფარვანები — სანთლის ალს... მას შეეძლო, ერთდროულად „ჰყვარებოდა“ რამდენიმე ლამაზი გოგო, ან, ასევე ერთდროულად, რამდენიმეს ჰყვარებოდა იგი; მაგალითად, შესანიშნავად გრძნობდა თავს სამი დის — ცეცხლივით მხურვალე ტურფა პერტრუდას, ნაზად მოკისკისე კათარინასა და მორცხვი, თვალჭუჭუნა ჰედვიგის გარემოცვაში... მაგრამ პარი მხოლოდ თამაშობდა სიყვარულობანას. აი, რას წერდა იგი მოგვიანებით მშვენიერ პედვიგზე: „მე, რა თქმა უნდა, ამ გოგონასთან გამიჯნურებას შევეცდებოდი, ის რომ ჩემს მიმართ ყოფილიყო ოდნავ გულგრილი... და მე გულგრილი ვიყავი, რადგან ვიცოდი, მეტრფოდა იგი... ვისაც სურს, მე შევიყვარო, ვიგინდარასავით უნდა მომეპყრას“.

პირმშვენიერი იოჰანა, ამ დების ნათესავი, პარიზე ორიოდე წლით უმცროსი იქნებოდა, მაგრამ ისეთი ტანმორჩილი და გამსდარი იყო, თან ისეთი დიდრონი, გულუბრყვილო ცისფერი თვალები ჰქონდა, მთლად ბავშვი გეგონებოდა კაცს. გარეგნული სიმპათია — გარეგნულ სიმპათიად, მაგრამ მთავარი მაინც ის სულიერი სიახლოვე იყო, რაც ყმაწვილებმა გაცნობისთანავე აღმოაჩინეს ურთიერთშორის. პარი, რომელსაც გადია ურსულას წყალობით გულსიგულამდე ჰქონდა გათავისებული გერმანული ფოლკლორი, განცვიფრებული და მოხიბლული უსმენდა პაწია იოჰანას, როცა იგი უამბობდა ჯადოსნურ ამბებს, მთებისაკენ ფერმკრთალ ხელს გაიშვერდა და პაინრიხის თვალწინ ციხედარბაზებიდან მწყობრად გამოდიოდნენ ხელშუბიანი და რკინის მუზარადიანი მხედრები, რაინისპირა მაღალ კლდეზე თავის მაცდურ სიმღერას მღეროდა ლორელაი...

„ლორელაი“! სულ სხვაგვარად ჟღერდა იგი, პაწია იოჰანას მიერ წამღერებით წაკითხული! და როგორც ლორელაი აცდუნებს რაინელ მე-

ნავეებს, ასევე მოხიბლა და მოაჯადოვა იოჰანამ ჭაბუკი ჰაინრიხი — თუმცა, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად.

ამ გოგონამ თითქოს ყველაფერი იცოდა, ისიც კი, რაც, წესით, არ უნდა სცოდნოდა; მაგალითად, მას ესმოდა ჩიტების ენა; ახსოვდა ყველა სასელი, რაც პარის უნდა ხსომებოდა, მაგრამ უკვე დავიწყებოდა; ხოლო როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ (მერე აღმოჩნდა, რომ — სამუდამოდ), იოჰანამ პარის გაუწოდა „ორი თეთრი, ნაზი და უფლის ნემსტივით სუფთა ხელი“ და უთხრა:

— შენ კეთილი ხარ. და თუ ოდესმე გაბოროტდები, გაიხსენებდე შენს ვერონიკას, ცივ სამარეში ტკბილად რომ სძინავს.

ვერონიკა — ოცნებისეული ქალის სახელი! ალბათ, ჩიტუნებმა თუ აუწყეს იოჰანას იგი!

იოჰანა მალე მოკვდა.

ვერონიკა აღარ იყო ცოცხალთა შორის.

მრავალი წლის შემდეგ თავის „მოგზაურობის სურათებში“ ჰაინე დაწერს:

„ძალად თუ წარმოიდგენთ, რაოდენ მშვენიერი იყო პატარა ვერონიკა, როდესაც პატარა კუბოში იწვა... როდესაც მაგიდაზე სანთლებსა და ყვავილებს შორის მიცვალებულის პატარა სხეული დავინახე, ჯერ მეგონა, რომ ეს ცვილისაგან ჩამოსხმული გამოსახულება იყო რომელიმე წმინდანისა... მაგრამ მალე შევიცანი საყვარელი ხატება და სიცილით ვიკითხე, რატომ იყო პატარა ვერონიკა ასე გარინდებული, და ურსულამ მიპასუხა: სიკვდილმა მოიმოქმედაო ეს“...

ხოლო შემდეგ...

იმ ხანად დიუსელდორფში ცხოვრობდა ქალი, სახელად — გოხენკი. მასზე ქალაქში საშინელი ხმები დადიოდა — ჯადოქრობსო. ყველას სჯეროდა, რომ მისი სახლი კუდიანებისა და ჭინკების ბუდე იყო.

იმასაც ამბობდნენ, ამ ქალის ქმარიც ჯადოქარია, მათი სახლი კი სისხლის სუნითააო გაჟღენთილი.

ჰაინრიხისათვის ეს სახლი იდუმალეებით იყო მოცული. ინტერესი ბუნებით ცნობისმოყვარე ჭაბუკს დღითიდღე უცხოველდებოდა.

ერთხელაც ფრაუ ციპელი დაიმართოხელა და სთხოვა:

— გადია, თქვენ როგორმე უნდა გამაცნოთ ქალბატონი გოხენკი...

გადია ურსულა ართცუ ხალისით, მაგრამ მანც დაემორჩილა პარის სურვილს. შეხვედრა და გაცნობა ყველასგან მალულად მოხდა.

ეს იყო და, ამ შეხვედრის შემდეგ ძალზე ხშირად აკითხავდა ხოლმე ცნობილი ჯადოქრის სახლს ჰაინრიხს ჰაინე.

ხოლო ერთ საღამოს, ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას პარიმ იმ სახ-
ლში მხრებზე დაყრილი წითელი თმებით, ჭორფლიანი პირისკანიოა და
იღუმალი მწვანე თვალებით შემკული ახალგაზრდა ქალწული აღმო-
აჩინა. ზეფხენი მონუსხულივით შეკეურებდა ვაჟს და პარისაც ვერ მო-
ეშორებინა ქალისთვის მონუსხული მზერა. გაოგნებულმა კარგა ხანს
ვერ ამოიღო სმა. გაფითრდა, მერე უცებ წამოწითლდა, ჯერ თითქოს
გაუჩერდა გული, მერე საგულეში ველარ დაეცია. სისხლი მოაწვა სა-
ფეთქლებში, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და...

სახჯლის დარტყმას ჰგავდა ის მწვავე ტკივილი.

ისინი ყოველ საღამოს ხვდებოდნენ ერთმანეთს. გულისფანცქალით
ელოდნენ შეხვედრის ჟამს.

განმარტოებით უყვარდათ ყოფნა — ჩუმად, მალულად. უკაცრიელ
მყუდრო ადგილს ირჩევდნენ. განსაკუთრებით დიუსელის თვალწარ-
მტაცი ნაპირები იზიდავდათ.

მტრისას, მათი სიყვარული რომ გამეღავენებულებიყო! სამუდამო სირ-
ცხვილი იქნებოდა ჰაინრიხის განაჩენი: საქმე ისაა, რომ წითურა აღ-
ქაჯის მამა ქალაქის ჯალათი იყო. ციხესა და სასამართლოს ჯალათის
სამსახური აუცილებლად სჭირდებოდა, მაგრამ მოქალაქენი შორიდან
უვლიდნენ გარს ჯალათის სახლს. მას თითქოს ტაბუ ედო, მის ზღურბ-
ლზე გადაბიჯება მკრეხელობად ითვლებოდა, ხოლო ვინც მის წევრებს
დაუახლოვდებოდა, მოკვეთა არ ასცდებოდათ.

მიუხედავად ამისა, ჰაინრიხი არა თუ არ შეუშინდა ამ საფრთხეს,
პირიქით, ხშირად ხვდებოდა ხოლმე ზეფხენს და თავბრუ ეხეკოდა მისი
კოცნა-აღერსით.

ამ ამბის შესახებ უკვე ხანში შესული ჰაინე ასე წერდა:

„მე ვაკოცე მას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაზად მიყვარდა, არა-
მედ ძველი საზოგადოებისა და მისი ყველა შავნელი ცრურწმენისადმი
ზიზლის გამოც, და იმ წუთს ჩემში იფეთქა იმ ორი ენების ცეცხლმა,
რომელთაც მივუძღვენი მთელი ჩემი შემდგომი სიცოცხლე: სიყვარულ-
მა ქალებისადმი და სიყვარულმა საფრანგეთისადმი, ჩვენი დროის იმ
ფრანგული ენთუზიაზმისადმი, რომლითაც ვიყავი შეპყრობილი შუასა-
უკუნებრივ ლანდსკნესტებთან ბრძოლაში“.

მშვენიერი ზეფხენი პარის ახალი მთაგონების წყარო გახდა. ვაჟი
ლექსებით იოსებდა დაკოდილ გულს.

პოეზია... საოცნებო მწვერვალები — პომეროსი, ვერგილიუსი,
პეტრარკა, დანტე, შექსპირი, გოეთე, შილერი და... გერმანული ხალ-
ხური ზეპირსიტყვიერება...

არავინ იცის, საიდან შეიტყო ფრაუ ელიზაბეთმა პარისა და ზეფხენის უილბლო სიყვარულის ამბავი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, გადია ურსულა არ გასცემდა თავის სათაყვანო გაზრდილს.

ასე იყო თუ ისე, ერთ დღით ფრაუ ბეთმა სასაუბროდ წინ დაისვა შვილი.

განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა დედას თავისი პირმშო. ლოტხენიც ხომ უყვარდა და მაქსიმილიანიც, მაგრამ პარი სულ სხვა იყო. მზე ამოსდიოდა შვილზე დედას, მასზე ლოცვით იღვიძებდა და იძინებდა. პარისაც თავზე უფრო მეტად უყვარდა დედა, საოცარი რიდიც ჰქონდა მისი. აკი — ცოტათი წინ წავალ და — ორი მშვენიერი სონეტი მიუძღვნა მშობელს. აი, ერთი მათგანი:

ჩემს დედას ბ. კაინეს,
ფონ ბელდერნის ასულს

მიჩვეული ვარ, რომ ამაყად მეჭიროს თავი,
სიტყვა აღმოვთქვა გამომწვევი და კადნიერი.
ხელმწიფე რაა, ვერ მიცვალოს მანაც იერი,
იმის მხერასაც შემიძლია ვუსწორო თვალი.

მაგრამ შენ — ჩემო საყვარელო, უტკბესო დედავ,
რა სიამაყეც და სიმტკიცეც არ უნდა მქონდეს —
შენს მაგ მადლცხებულ, ნათელ თვალებს შევხედავ ოდეს,
ხათრით და რიდით — სიტყვის დაძვრას ველარა ვბედავ.

ასე რომ მიპყრობს, შენი სულის ძალაა იგი,
მაღალი სულის, ხან მღელვარის და ხანაც მშვიდის,
ციურ ნათლისკენ ვინც თვალმომჭრელ კაშკაშით მიდის.

იმ ძველთა დღეთა მე ვიგონებ წუხილად ჩემდა,
როცა ემაგ გულს ჩემი ქცევით ვუმატე სევდა,
იმ გულს, რომელსაც ასერიგად ვუყვარდი, დედა!*

დაახ, აშკარად ჩანს ამ ლექსში უზარმაზარი, ყოვლისმძლე და ყოვლისმომცველი მშობლიური სიყვარულიც და ის რიდი და ხათრიც, რომ-

* აბულაშვილის თარგმანი.

ლთაც ჰაინრიხი — სხვებთან ამაყი, შეუპოვარი და მალაღპრინციპული ჭაბუკი — დედისადმი იყო გამსჭვალული.

და აი, დედამ სასაუბროდ წინ დაისვა შეილი. მარტონი იყენენ. მზის სხივებით იყო სავსე ვრცელი სასტუმრო ოთახი.

— ჰარი, — ცისფერი, მუქიანი თვალები შეანათა ბეთიმ. ერთი ფერის თვალები ჰქონდათ დედა-შვილს. — შენ ხომ კარგად იცი, რომ ჩემი უსაყვარლესი შეილი ხარ...

— ვიცი, დედა! — ჰაინრიხი დედის ხელს დასწვდა, ხელისგულებში მოიქცია, მოეფერა. — მოხდა რამე?

ბეთიმ მწარედ ჩაიციხა.

— კარგად ხედავ, როგორ აეწყო ჩვენი ცხოვრება, ჰარი! სამსონი საქმეს თავს ვერ ართმევს, კანტორასა და მალაზიაში მუშაობას ქეიფი და დროსტარება ურჩევნია. — დედამ წამით იყუჩა, ღრმად ამოისუნთქა. — მიჭირს ამის თქმა, მაგრამ დროა, მხარში ამოუდგე ოჯახს. მე ვიცი, შენ სულ სხვა რამ გიტაცებს — პოეზია, ფილოსოფია... მე ზოგი რამ სხვაც ვიცი, ჰარი. — ბეთიმ მზერა გაუსწორა შეილს. თბილი, გამგებინანი და სევდიანი იყო ის მზერა. ჰარიმ თვალები დახარა. — სოლომონი, ბიძაშენი, მზადაა, საქმეში გვერდით ამოგიყენოს, ოღონდ ჯერ საჭიროა, გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება შეიძინო...

— რა საქმეში, დედა? ვაჭრობაში? — შეკითხვას გულის ნაწილიც ამოაყოლა ჰაინრიხმა.

— ჰო, ჰარი, სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. არც შენ გვაქვს. მინდოდა, ოფიცრის სამხრეებით მორთული მეხილე, მაგრამ... სახელმწიფო სამსახურში არ მიგიღებენ. ამიტომ სოლომონს უნდა დაუფუჯეროთ. თანაც, მე მინდა, დროებით დატოვო ეს ქალაქი. ასე აჯობებს.

— სად მგზავნი, დედა?

— ფრანკფურტში, ჰარი, მაინის ფრანკფურტში. მამაშენი უკვე მოელაპარაკა ბატონ იოჰან რინდსკომფს. გავლენიანი ბანკირია, რამდენიმე კანტორა და კომერციული მალაზია აქვს. კარგ პრაქტიკას მიიღებ. ერთი წელი საკმარისი იქნება.

ჰარი დუმდა.

— ეს ერთი წელი ჩემთვის საუკუნედ გაიწვლება, ჰარი, — ფრაუ ბეთის ხმა აუკანკალდა. — გამიჭირდება. მაგრამ ასეა საჭირო. ვიცი, არც შენთვის იქნება იოლი ოჯახთან განშორება. მაგრამ შენ ხომ ძლიერი ბიჭი ხარ, ჰაინრიხ!

„ჰაინრიხ“ — ასეთნაირად იშვიათად მიმართავდა დედა — მხოლოდ

გადაწყვეტ და სერიოზულ წუთებში. და პარიმ თანხმობის ნიშნად თავი დახარა...

უკანასკნელი საღამო ზეფხენთან. განშორების ცრემლები, გამოთხოვება პერტრუდასთან, ფრიდერიკესთან, ჰედვიგთან, კათარინასთან.

და აი, მაინის ფრანკფურტი! პესენის მხარის ცენტრი. ძველი გერმანიის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი.

მოეწონა პარის მაინის ფრანკფურტი. დიუსელდორფს ერთი ცენტრი ჰქონდა — ბაზრის მოედანი. აქ კი... თვალს იტაცებდა რომანული პფალცი — ძველ რაინდ თავადთა გამაგრებული რეზიდენცია; ბრწყინვალე ზალპოფი — XII საუკუნის ძეგლი; XV—XVI საუკუნეებში აგებული გოტიკური ტაძარი სანკტბართლომეუსი; რომერი — ქალაქის რატუშა, რომელიც XV—XVIII საუკუნეებში ნაგები შვიდი შენობისაგან შედგებოდა; უცნაურად მახინჯი და ასევე უცნაურად მიმზიდველი, ფანტასტიკური „ქვის სახლი“ — მე-15 საუკუნის ძეგლი... განვითარებული მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, მნიშვნელოვანი სამდინარო ნავსადგური, ფრანკფურტი — ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საბანკო ცენტრი...

მაგრამ თავისი საქმე კი არ მოეწონა პარის: საბუხპალტრო ფოლიანტები, დებიტი და კრედიტი, მოგება და წაგება, ვალი და სარგებელი, ციფრები, ციფრები, ციფრები...

მთელი დღის ნაშრომი და ნერვებაწეწილი ჰაინრიხი კაფეებში, მეგობრებსა და კისკისა ქალიშვილებს შორის იოხებდა გულს. უფრო ხშირად კი კითხულობდა და წერდა, უმთავრესად — სიყვარულზე.

„მოწყენილი ვარ, დედა, — სწერდა ერთ წერილში ფრაუ ბეთის. — მენატრები. ლოტხენი და მაქსიმელიანიც მენატრებიან. ხანდახან, შენ წარმოიდგინე, მამაც კი მენატრება“, — სხვის მიმართ ირონიული, არც საკუთარი თავის გაკილვას გაურბოდა პარი.

ჭაპანწყვეტაში გაიარა თერთმეტმა თვემ. მხოლოდ ერთი თვე დაჰყო დიუსელდორფში ჭაბუკმა. მამის ძმა, სოლომონ ჰაინე ჩამოვიდა და პამბურგში წაიყოლია პარი — კომერციული და საბანკო გამოცდილების გასაღრმავებლად.

ახლა — პამბურგი

გერმანიის ერთ-ერთი უძველესი, უმდიდრესი და უდიდესი ქალაქი.

პამბურგი გაშენებულია დიდი გერმანული მდინარის, ელბის ორივე ნაპირსა და კუნძულებზე, რომლებიც ერთმანეთს ხიდებით, ბოვირები-

თა და ბორნებით უკავშირდებიან. იგი ელბის შესართავიდან, ანუ ჩრდილოეთის ზღვიდან, 110 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ჰამბურგი, როგორც სტრატეგიული ციხესიმაგრე, დააარსა კარლოს დიდმა 811 წელს. თავის დროზე იყო პანზის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი წევრი. 1815 წელს, როგორც თავისუფალი ქალაქი, შევიდა გერმანიის კავშირში.

ჰაინრიხს არ მოეწონა ჰამბურგი. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დაათვალიერა და შეისწავლა მისი ხუროთმოძღვრული ძეგლები — კათარინენკირხეს (XIV ს. ბოლო), იაკობსკირხეს (XIV ს. დასასრული), მიხაელსკირხეს (1750—1762 წ.წ.) ეკლესიები, „დიდი მიხელის“ კოშკი (სიმაღლე 132 მ.), 1678 წელს აგებული ოპერის თეატრის შენობა, მაგრამ ქალაქმა, საერთოდ, მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. „ჰამბურგი ჩარჩული ქალაქია, — სწერდა იგი თავის მეგობარს, პანს ქრისტიან ზეტეს, — სადაც ვერ ნახავ პოეტური გრძობის ნატამალსაც კი“. ცაადია, პარის, რომელიც ჩარჩობას (resp. ვაჭრობას) ვერ იტანდა, „ჩარჩული ქალაქი“ არ მოეწონებოდა.

ამას დაეუმატოთ ის საქმიანობა, რომელშიაც, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოუხდა ჩაბმა პოეტური სულის ჭაბუკს.

სოლომონის ოჯახმა ჰაინრიხი საკმაოდ გულგრილად მიიღო. ფრანუ მარგარეტმა ოდნავ გახსნა ბაგეები — ვითომ გაიღიმა — და საკოცნელად თეთრხელთათმნიანი ხელი გაუწოდა ქმრის ძმისწულს. ამაღია ჰაინემ, სოლომონის უფროსმა ქალიშვილმა, ტანადმა (თითქმის პარის სინალემ), თეთრფეროვანმა, მაგრამ შავთვალწარბა პირმშვენიერმა ქალიშვილმა ამაყად, ოდნავ დამცინავად ასხედ-დასხედა პარის, ლამაზი ტუჩები ენის წვერით გაილოკა და, ვითომდა მოულოდნელობით გაკვირვებულმა, იკითხა:

— მაშ, ეს არის ჩემი ბიძაშვილი, ცნობილი დიუსელდორფელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე?! რა ბედნიერი ვარ!

პარიმ ენის წვერზე დაიჭირა მკვასზე სიტყვა. ერთი საათის შემდეგ კი უკვე უყვარდა ეს ქედმაღალი, მაგრამ საოცრად მომხიბვლელი და ანდამატივით მიმზიდველი ქალიშვილი.

სოლომონმა ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ მისცა პარის — მეორე დღესვე კანტორაში წაიყვანა და საქმეში ჩააბა.

ამბობენ, თუ გული გულობს, ქადა ორჯე ხელით იჭმევდო, პარისა კი არც გული გულობდა და არც ის „ქადა“ მოსწონდა, ბიძის კანტორაში რომ დასხედა.

ამლიას სილამაზემ ისე დაატყვევა, არათუ ეწერა, ლამის ლექსად დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ — საქმე, საქმე, საქმე...

ერთ დილას სოლომონმა სასწრაფო დავალება მისცა ჰაინრიხს — საღამოსთვის მიმდინარე ანგარიშის შედგენა უნდა დაემთავრებინა. თვითონ ცენტრალურ ბანკში წავიდა და დავალება გაუმეორა, თან გააფრთხილა, როგორც კი დავბრუნდები, შევეამოწმებო.

ერთ საათს კი იმუშავა ანგარიშზე პარიმ, შეიძლება, ცოტა მეტ ხანსაც. მერე კი დავთრები გვერდზე მისწია და სუფთა ფურცლები დაილაგა წინ.

ისევ აცდუნა მუხამ — ლორელიამ — ჭაბუკი. რითმებისა და მხატვრული სახეების ძიებაში შეუმჩნევლად გაფრინდა დრო, საუზრეც არ გახსენებია. არც ბიძის დაბრუნება შეუნიშნავს, სოლომონს კი ესიაშოვნა, ძმისწული ქალღმერთში თავჩარგული, საქმით გართული რომ დაინახა. უჩუმრად მიუჯდა მეზობელ მაგიდას და საქალღმერთად გადაშალა.

როდის-როდის ასწია თავი პარიმ. ჯერ ისევ რითმების ბურუსში იყო გახვეული და თუმცა ბიძას უყურებდა, ვერ კი ხედავდა. მერე ვიღაცის ხმამ გამოარკვია, ბურუსი გაიფანტა და ზონზროსა ბანკირის მოღიძარი სახე დაინახა.

— დამთავრე? — კითხვა გაუმეორა სოლომონმა.

— რა? — დაიბნა ჰაინრიხი.

— რა და მიმდინარე ანგარიში! მთლიანად მორჩი თუ კიდევ დაგრჩა სამუშაო? — ჩაეძია ბიძა.

— რა ანგარიში? ა ა ა! — საბოლოოდ გამოფხიზლდა პარი. — იცით რა, პერ სოლომონ...

— რა?! მოუთმენლად ჰკითხა სოლომონმა. — შენ ალბათ... მოიცა! — წამოდგა, ჰაინრიხის მაგიდაზე გამლილ ფურცლებს დახედა. -- ისევ ლექსები, არა?! ასეც ვიცოდი! არა, შენგან არაფერი გამოვა! დედაშენის ხათრით კიდევ გაძლეე სამიოდე თვეს. ან ისე მოიქცევი, როგორც მე მინდა, ან...

„ჩარჩი! ჩარჩების ქალაქის ღირსეული მოქალაქე!“ — ბოღმიაანად გაივლო გულში ჰაინრიხმა და ლექსებით აჭრელებული ქალღმერთის ფურცლები მოხვეტა ორივე ხელით. ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა და ხვალვე გაიქცეოდა ჰამბურგიდან, მაგრამ დედის თხოვნა?.. და კიდევ — ამაღლია...

თითქოსდა მარმარილოსგან ნაქანდაკევი სახე. მწვანე თვალეზის სუსხიანი, ცივი მხერა, ასევე ცივი ღიმილი... ბიცოლას ყალბი ღიმილი

და ასევე ყალბი, ნაძალადევი ყურადღება... სოლომონის ყალბი ზრუნვა...
სიყალბე, სიყალბე, სიყალბე...

და აი, სონეტი, რომელიც ჰაინრიხმა, უკვე ცნობილმა პოეტმა, და
უკვე საწოლს მიჯაჭვულმა, მიუძღვნა „ძვირფას“ ნათესაეებს...

მკოცნიდნენ ყალბად ორგულები და მგესლაეები,
შემომთავაზეს სიყვარული და ყურძნის წვენი,
შემომპარეს მასთან შხამი შავი და მწველი —
ასე მომექცნენ სტომაქი და ნათესაეები.

მიღება წელი საცოდავი და ვერა ვდგები!
ჭირის დღეში ვარ, არვინ მივის ნუგეშის მცემი.
რა ვერაგულად მოიპარეს ცხოვრება ჩემი —
ასე მომექცნენ სტომაქი და ნათესაეები.

ვარ ქრისტიანი — ეკლესიის წიგნში სწერია —
ამიტომ, ვიდრე მიდგას პირში ჯერ კიდევ სული,
მინდა ძმურად და ღვთისნიერად შევინდოთ ყველას.

მაგრამ... ვაიმე, როგორ მიჭირს, და რა მწარეა!
მე ვისურვებდი უმალ თქვენთვის კრულვას და წყევლას,
ღმერთმა შეგრისხოს და გარგუნოს დაღუპვა სრული!*

რა ტკივილიანი ამოძახილია ცხოვრებისაგან გატანჯული სწეული
კაცისა!

ამალია ჰაინე...

ისე ათამაშებდა იგი ჰარის, როგორც კატა — თაგვს.

როცა შინ წვეულება ჰქონდათ — დაბადების დღეს ან რომელიმე
სადღესასწაულო თარიღს თუ აღნიშნავდნენ — ამალია სტუმრების და-
სანახავად თბილად და გულისყურით ეპყრობოდა თავის კუზენს, უცნო-
ბებს წარუდგენდა, როგორც ბრწყინვალე მომავლის მქონე ახალგაზრ-
და პოეტს, ცეკვისას მთელი სხეულით აეკვროდა სისხლანაირად ჭა-
ბუკს, ამონასუნთქით აბრუებდა და ალერსიან სიტყვება ეჩურჩუ-
ლებოდა. მაგრამ მოთავედებოდა ყველაფერი, სტუმრები წავიდ-წამოვი-
დოდნენ და ქედმაღალი ამალია ისევ მუდმივი თოვლით დაფარული
მწვერვალის სიმაღლითა და სიცივით დაჰყურებდა თავგზააბნეულ ბი-

* აკ. გელოვანის თარგმანი.

ქაშვილს, რომელიც აქამდე სხვა ქალიშვილების ყურადღებითა და სითბოთი იყო განებივრებული.

— რატომ მაწამებთ ასე, ამალია? — ჯიქურ ჰკითხა ერთხელ ჰაინრიხმა, როცა მარტონი დარჩნენ.

— გაწამებთ? მე? თქვენ? რანაირად? — ყასილად გაიკვირვა ქალიშვილმა.

— თქვენ ხომ ხედავთ, რომ მიყვარხართ!

— მეც მიყვარხართ — აკი ბიძაშვილები ვართ. განა ასე არ არის?

— ამალიამ სარკეში შეათვალიერა საკუთარი გამოსახულება. თვითონ სხვაზე უკეთ იცოდა, ლამაზი და მიუწვდომელი რომ იყო.

— ამალია, თქვენ ხომ იცით, რომ ჩემი სიყვარული სულ სხვაა, ვიდრე...

— იცით, რა, ჰაინრიხ! — მკვასხედ შეაწყვეტინა ამალიამ. — ტყუილად გაქვთ „სხვა სიყვარულის“ იმედი! მე და თქვენ ფრიად განსხვავებული ადამიანები ვართ, თქვენ ოცნებებისა და მუშების სამყაროში დაცურავთ, მე კი პრაქტიკული გონების ქალი ვარ. ვთქვათ და, ცოლად გამოგყევით, პიპ... — ჩაიქირქილა. — რა შევიძლიათ მომკვთ თქვენ მე? ერთი-ორი სონეტი მომიძღვნათ და კარტოფილის პიურეთი მკვებოთ — ეგ არის და ეკ. მე კი... მოდი, მოეშვიტ მაგ უსაგნო ოცნებას, პერ პოეტო! — ეს „პერ პოეტო“ ისეთი გამანადგურებელი სარკაზმით მიახალა, ჰარის ძარღვებში სისხლი გაეყინა, მკვეთრად შებრუნდა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ულთოდ და უიმედოდ შეყვარებული ჭაბუკის მესსიერებაში ღროდადრო გაიღევებდა ზეფხენის — სათნო და, იმავდროულად, ზაფხულის მზესავით თაკარა საყვარელი არსების ხატება. მაგრამ მაინც მისი ოცნების დედოფალი ამალია იყო, სასტიკი და გულცივი არსება, პოეტის მრავალი ლექსის შთამაგონებელი და ადრესატი.

სოლომონი პირქუში მდუმარებით შეხვდა ძმისწულის „თავხედური“ სიყვარულის ამბავს, რომელიც მეუღლემ გაანდო.

სოლომონ ჰაინე — ფრაუ ბეთის:

„ფრაუ ბეთი, ძვირფასო რძალო!

ვმიშობ, რომ დედურ გრძნობებს ტკივილს მივაყენებ, მაგრამ იძულებული ვარ, ჰაინრიხზე სიმართლე მოგწეროთ.

პირდაპირ გეტყვით, მიუკიბ-მოუკიბავად: ჰარით ძალზე უკმაყოფილო ვარ! მის ნიჭსა და უნარზე არაფერს ვამბობ. საქმე ისაა, რომ იოტისოდენა სურვილიც კი არა აქვს, საბანკო-საკრედიტო და კომერ-

ციული საქმე შეისწავლის. არადა, თქვენც მოაქვსენებათ, ეს საქმე ყოველდღიურ კირკიტსა და სრულ გულსყურს მოითხოვს. მივცემ რაიმე დავალებას, თუნდაც სულ უმარტივესს, საესებით უმნიშვნელოს, ის კი ნახევარ საათში ყველაფერს გვერდზე გადასდებს და ლექსების თხზვით ერთობა. მართალია, პოეზიაში ბევრი არაფერი ვამეგება, მაგრამ იმდენს კი ვხვდები, რომ მჯეროდეს — მაგისგან არც გოეთე გამოვა და არც შილერი... აღარ ვიცი, როგორ მოვექცე. დაყვავებაც ვცადე, მკაცრადაც მოვეპყარი, მაგრამ — უშედეგოდ.

კიდევ ერთი რამ, უფრო უარესი — თურმე ამალიაზე ყოფილა შეყვარებული, თანაც უგონოდ და უსაშველოდ. იმ თავისი ლექსების უმრავლესობასაც, ეტყობა, ამალიას უძღვნის. მე კი, ფრაუ ბეთი, თუნდ გეწყინოთ და, პარის სიძეობა სულაც არ მაძლევს ხელს: მე სიძედ ისეთი კაცი მჭირდება, რომელიც ჩემსავით წელმაგარი და მუყაითი მშრომელი იქნება, რომელიც მხარში ამომიდგება, რათა ერთად შრომით საქმე წინ წაგვიწიოთ და კიდევ უფრო მოვალონიეროთ. ასე რომ, ჩიტირეკია პოეტს, თუნდ გეწყინოთ, ქალიშვილს ცოლად ვერ მივათხოვებ.

ცხადია, სამსონის იმედი არა მაქვს. ისევ თქვენ უნდა მოსწეროთ ჰაინრიხს და დედაშვილურად დაარიგოთ, იქნებ თქვენი ხათრით მაინც შეიცვალოს საქმისადმი თავისი დამოკიდებულება. სხვა გზას მე ვერ ვხედავ. ეს უკანასკნელი ხერხი თუ გასჭრის — გასჭრის, თუ არადა, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს!..“

ფრაუ ბეთი — სოლომონ ჰაინეს:

„ქვირფასო ძმაო სოლომონ!

მართალი გითხრათ, დიდი იმედი არცა მქონია იმისა, რომ პარი საბანკო საქმით დაინტერესდებოდა და მამა-ბიძის გზას გაჰყვებოდა. ჩემზე უკეთ, აბა, ვინ შეიძლება იცოდეს, რა უღივს პარის გულსა და გონებაში. მერწმუნეთ, ქვირფასო ძმაო, იგი სულ სხვაგვარი ნიჭით — ზეგარდმო მოვლენილი ნიჭითაა დაჯილდოებული და ამქვეყნიური, ცხოვრებისეული ინტრიგები და ყოველდღიური წვრილმანები მისთვის უცხოა. იგი პოეტია, და ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ დიდი მომავალი აქვს. მე ეს მისთვის არასოდეს მითქვამს პირადად. ჯერ იყო და, სამხედრო კარიერისთვის ვამზადებდი, მერე მინდოდა, დიდი ბანკირი და დადგაჭარი გამხდარიყო... ახლაც მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ ვხედავ — ჩემს ამ ოცნებასაც ასრულება არ უწერია. ამიტომ, ძმაო სოლომონ, გთხოვთ, შემწყნარებლურად მოექცეთ პარის. კი ბატონო, ერთხელაც მოვწერ, ერთხელაც ვთხოვ... კიდევ მივცეთ დრო... მაგრამ თუ

არაფერი გამოვა, მერე იქნებ დამეხმაროთ და რომელიმე უნივერსიტეტში მივიბაროთ — ცოდნა მას ისევე სჭირდება, როგორც შევარდენს — ფრთები...

რაც შეეხება სიყვარულს...

ამალია, მართლაც, მშვენიერი ქალიშვილია — ლამაზი, განათლებული, პატიოსანი... მაგრამ იგი (ამაში საესებით გეთანხმებით) სულ სხვაა და პარი კიდევ — სხვა. მათ დაქორწინებას არც მე დავუჭერდი მხარს, რადგან დარწმუნებული ვარ: ისინი ერთმანეთს ბედნიერებას ვერ მოუტანენ..."

ქორწინება, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მართლაც არ შედგა: ამალია ჰაინე მდიდარ პრუსიელ მემამულეს, ჯონ ფრიდლენდერს გაჰყვა ცოლად. სოლომონმა სიძის სახით ღირსეული პარტნიორი შეიძინა — სწორედ ისეთი, როგორზედაც ოცნებობდა.

ჭაბუკ პოეტს დიდხანს გაჰყვა ამალიას დაკარგვით გამოწვეული მწვავე ტკივილის გრძნობა.

დედას ხათრი ვერ გაუტეხა და ცდილობდა, სოლომონისთვის დაენახებინა, რომ დაინტერესდა საბანკო თუ კომერციული საქმიანობით; ზიზღით, მაგრამ მაინც მეტი მონდომებით ჩაჰკირკიტებდა ყოველდღიურ თუ ყოველკვირიურ ანგარიშებს. ამავე დროს, მეგობრები გაიჩინა და თავისუფალ საათებს ზოგჯერ მათ წრეში, კაფეებსა და ბარებში ატარებდა და გულს იოსებდა. ღამით კი, როცა სახლში ყველა დასაძინებლად დაწვებოდა, მაგიდას მიუჯდებოდა და სულიან-ხორციანად პოეზიის სამყაროში გადაინაცვლებდა.

ერთხელ ისე მოხდა, რომ რესტორან „ინგლისის მეფეში“, რომლის მუპატრონეც კეთილი და გულისხმიერი ადამიანი (მაგრამ — ცუდი დრამატურგი), ბატონი მარი იყო (ჰაინე ხშირად სტუმრობდა და კიდევ მეგობრობდა მასთან), მეგობრებთან ერთად სადილობისას ჰაინრიხს გააცნეს ბერლინელი ლიტერატორი (მოგვიანებით — ცნობილი დიპლომატი), პოეზიისა და, კერძოდ, გოეთეს დიდი თაყვანისმცემელი ავგუსტ ვარჰანგენ ფონ ენზე. როცა ენზე პარის ლექსებს გაეცნო, ძალზე მოეწონა ისინი და ავტორს ურჩია, „გეზელშაფტერისთვის“ შეეთავაზებინა, რომლის გამომცემელიც მისი მეგობარი ფრიდრიხ ვილჰელმ გუბიცი იყო — მწერალი, ბერლინის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

გუბიცი „გეზელშაფტში“ ჰაინრიხის რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა. ეს იყო 1817 წელს, როცა პარის დაბადებიდან ოცი წელი შეუსრულდა.

აქედან დაიწყო ნარ-ეკლიანი, აღმართ-დაღმართიანი, სიხარულითა

თუ ტკივილებით საესე ორმოცწლიანი გზა, რომელმაც გერმანელი პო-
ეტი პაინრიხ პაინე უკვდავების საუფლოში შეიყვანა.

სოლომონმა ყურად იღო თავისი სათნო რძლის არაერთგზისი თხოვ-
ნა და ამჯერად სხვა კუთხიდან მოსინჯა პარის კომერციულ შესაძლებ-
ლობათა არეალი — ადგა და პამბურგის („ჩარჩთა ქალაქის“) ერთ-ერთ
პრესტიჟულ უბანში ინგლისური ქსოვილების (ევროპაში სახელგან-
თქმული საქონლის) საკომისიო მაღაზია გაუხსნა, თან დაარიგა — თუ
ჭკვიანად და უნარიანად მოიქცევი, შენი მომავალი შენს ხელთაა, მე
„საქმე“ რომ დავიწყე, მაგის მესუთელიც არ გამაჩნდა; ახლა კი თავად
ხედავ, პამბურგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკირი ვარო. პარიმ მად-
ლიბა მოახსენა ბიძას და „საქმეს“ შეუდგა, მაგრამ...

მაგრამ პოეზიის „სენით“ სამუდამოდ „დაავადებული“ ჭაბუკი ვერც
საკუთარმა მაღაზიამ და სწრაფი გამდიდრების პერსპექტივამ მოხიბლა,
სავაჭრო საქმეები მალე მთლიანად თავის ნოქრებს გადააბარა, თვითონ
კი ისევ პოეტურ ბურუსში ჩაიძირა და სხვა აღარაფერი აინტერესებდა
(კისკისა და თვალუუუნა ქალიშვილების გარდა).

პაინრიხის მაღაზია გაკოტრდა.

ბიძისთვის ამკარა და ნათელი გახდა ის, რაც ადრევე იცოდა: პაინ-
რიხისგან ფინანსისტი და კომერსანტი არ დადგებოდა.

ამიტომ გადაწყვიტა, პარისთვის ყოველწლიურად ოთხასი ტალერი
დაენიშნა და ნებაზე მიეშვა: უფლება მისცა, რომელიმე უმაღლეს სას-
წავლებელში შესულიყო, ოღონდ ერთი პირობით — აუცილებლად იური-
დიულ ფაკულტეტზე.

თანხა მცირე იყო. იმდენად მცირე, რომ ფრაუ ბეთი იძულებული
გახდა, თავისი ძვირფასეულობა და სამკაულები გაეყიდა.

მილიონერ ბიძას შეეძლო, ერთი ხელის გაქნევით გადაეწყვიტა ძმის-
წულის პრობლემები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ იგი მილიონერიც
არ იქნებოდა! მას გაგონებაც არ სურდა პაინრიხისთვის შემდგომი დახ-
მარების გაწევის თაობაზე, მაშინვე პარის მიერ წამოსროლილ მკვასხე
სიტყვებს გაიხსენებდა: „როცა დედა ჩემზე ორსულად იყო, მხატვრულ
ნაწარმოებებს კითხულობდა და მეც პოეტი გავხდი, ბიძაჩემზე ორსუ-
ლობისას კი დედამისი კარტუშზე ავაზაკურ მოთხრობებს კითხულობდა
და ძია სოლომონიც ბანკირი გახდაო“!

ცხადია, ძნელი იყო ასეთი მწარე ნათქვამის პატიება, მით უმეტეს
ასეთი პიროვნებისათვის, როგორც ქალაქში სახელგანთქმული და პა-
ტივდებული სოლომონ პაინე ბრძანდებოდა.

სიღუხჭირის ობობა ჰაინეების ოჯახს თანდათანობით ითრევდა თავის მარწუხებში. სამსონ ჰაინემ ვერა და ვერ ააწყო საქმე.

ბუტიაობის პერიოდი, საბედნიეროდ, მოკლე აღმოჩნდა — გალხვა სოლომონის ყინულივით ცივი გული. რა დაინახა, როგორ გაჭირვებაში უხდებოდა მის ძმას ცხოვრება, გადაწყვიტა, თავის ურჩ ძმისწულს დახმარებოდა, დააფინანსა იგი და აი, 1819 წელს ჰაინრიხი უმაღლესი ბანათლების მისაღებად ბონს გაემგზავრა, გერმანიის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესასვლელად.

ბონი — ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი — იგი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დააარსეს რომაელებმა. ჩრდილო რაინვესტფალიის მხარის ცენტრი. გაშენებულია რაინის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. 1814 წლიდან მიიკუთვნა პრუსიამ. მდიდართა არქიტექტურული ძეგლებით (XIII—XVIII სს.), საუნივერსიტეტო ქალაქია მეცამეტე საუკუნიდან.

ჰამბურგის შემდეგ, რომელიც სულაც არ ეხატა გულზე ჭაბუკ პოეტს, ბონი ცივ და პირქუშ ქალაქად მოეჩვენა. არც უნივერსიტეტის გარემო მოეწონა, თუმცა გამოცდები წარმატებით ჩააბარა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

საბანკო საქმისა და კომერსანტობისა არ იყოს, ვერც იურისპრუდენციამ დააინტერესა ჰარი, მით უფრო, რომ სწავლება აქაც (ისევე, როგორც მთელ იმდროინდელ გერმანიაში) ძველებური, დახვეწებული მეთოდებით მიმდინარეობდა, ყველა საგნობრივ დისციპლინას თითქოს ობის სუნი ასდიოდა. მაგალითად, ერთსა და იმავე სემესტრში ერთდროულად ოთხ კურსს ისმენდა, რომელთაგან აქტუალურობითა და, ნაწილობრივ, სიახლით გერმანული ენის ისტორია აამოირჩეოდა, რომელსაც ავგუსტ გუსტავ შლეგელი უკითხავდა, დანარჩენი სამი კი... ნახევრად გამოყრუებული პროფესორი არნტი ტაციტუსის „გერმანიას“ კითხულობდა, პიულმანი — გერმანულ სახელმწიფო სამართალს, რადლოვი — გერმანიის უძველეს ისტორიას... არადა, მთელ ევროპაში უკვე პროგრესული რევოლუციური ძვრები იყო დაწყებული...

და ვერ მიიღო ჰარის გულმა ვერც იურისპრუდენცია და ვერც „ხვესიანი“ დისციპლინები, ამიტომ ლექციებს ხშირად აცდენდა, რასაც არაერთი უსიამოვნება მოჰყვა თან.

მხატვრულ ლიტერატურაზე შეყვარებული ჭაბუკი დიდი სიამოვნებით ისმენდა ლექციებს გერმანული ენისა და პოეზიის ისტორიის შესა-

სებ, რომელსაც, აკრეფვე, გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი და ბურჟი შლეგელი კითხულობდა. აღფრთოვანებული ახალგაზრდა პოეტი მისი ლექციების მუდმივი მსმენელი გახდა.

თავის მხრივ, შლეგელიც დაინტერესდა ნიჭიერი ახალგაზრდით. და სულ მალე მათი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა.

ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა ჰაინრიხზე, როგორც მომავალ პოეტზე. მისი ყოველი ახალი ლექსი შლეგელის, როგორც მკაცრი კრიტიკოსისა და გამსწორებლის ხელში იწურებოდა, იწმინდებოდა.

ყოველი მისი შეჯეღრა პროფესორთან ჰაინრიხისთვის ახლის მომტანი იყო. შლეგელმა კიდევ უფრო მეტად შეაყვარა ჭაბუკს გერმანული ფოლკლორი, მოტლანდიური ბალადები და იტალიური კანცონები.

გამოხდა ხანი და მოხდა საოცარი რამ: ავგუსტ ვილჰელმი მისმა ნიჭიერმა მოსწავლემ, რომელიც სწრაფად სწავლობდა ევროპისა და გერმანიის ხალხების ფოლკლორსა თუ მხატვრულ ლიტერატურას, გარკვეული თვალსაზრისით უკან ჩამოიჭოვა — მან იმთავითვე უფრო დამაგაიო ხალხური პოეზიის სული, ვიდრე მის მასწავლებელს ესმოდა.

თუ აქამდე პროფესორი ჰარის კერპი იყო, რომლის იქით იგი ველარვის და ველარაფერს ხედავდა, ახლა, თითქოს ახალმა სიომ დაჰბერაო, ჰარიმ თავისი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი სულ სხვა თვალთ დაინახა, თანდათან გულგრილი გახდა მის მიმართ და მოგვიანებით საბოლოოდ, პრინციპულად დაუპირისპირდა რეაქციული რომანტიზმის მეთაურს. ეს არც არის გასაკვირი — ჰაინე ხომ პროგრესული, რევოლუციური რომანტიზმის ერთ-ერთი მდროშე გახდა.

სხვათა შორის, ჰაინეს დამოკიდებულება შლეგელისადმი ემთხვევა გოეთეს შეხედულებებს. ეკერმანთან საუბარში (1827 წლის მარტი) „ფაუსტის“ გენიალურმა ავტორმა თქვა: „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ შლეგელმა უსაზღვროდ ბევრი იცის, და შეგეშინდება კიდევ მისი უსაზღვრო ცოდნისა და ნაკითხობისა, მაგრამ ეს არ კმარა. საერთოდ, განსწავლულობა ჯერ კიდევ არაა მსჯელობა“. შლეგელის, როგორც პიროვნების შეფასებაში, იგრძნობა გოეთეს გაღიზიანება მისი ბოლოდროინდელი მოღვაწეობის გამო...“ „ისეთ კაცუნას (პერსონსენ), როგორიც შლეგელია, არ შეუძლია შეაფასოს ეს დიდი და დიადი ტალანტები“ (საუბარია შექსპირსა და კალდერონზე).

მიუხედავად ამისა, ჰაინრიხი ავგუსტ ვილჰელმ შლეგელს მაინც თავის ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგად თვლიდა, რაც მოგვიანებით არაერთხელ აღუნიშნავს.

მიიწურა სტუდენტური ცხოვრების ერთი წელი. ჰაინრიხს ბონში

გული აღარ უდგებოდა. დღითიდღე აუტანელი ხდებოდა მისთვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციების მოსმენა, მას უფრო და უფრო მეტად აღიზიანებდა „ობისა და ჭაობის სუნი“.

ყველასათვის მოულოდნელად ჰაინრიხმა მკვეთრი გადაწყვეტილება მიიღო — შიატოვა ბონის უნივერსიტეტი. მიზეზი მისი მეგობრებისა და პედაგოგებისათვის სამუდამოდ ამოუხსნელ საიღუმლოდ დარჩა.

გვერდი აუარა დიუსელდორფს, მაინის ფრანკფურტს, ჰამბურგს, და გეტინგენში ჩავიდა.

გეტინგენი...

ქვემო საქსონიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. გაშენებულია პატარა მდინარე ლაინეს ნაპირებზე. გერმანული მათდის წარმოების ცენტრი. ჰანზის წევრი XVI საუკუნიდან. ცნობილია თავისი უნივერსიტეტით, რომელიც 1737 წელს დაარსდა.

შემოდგომა იდგა გეტინგენში. ჰარი უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ნიჭიერმა და ერუდირებულმა ახალგაზრდამ პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება დაიმსახურა. მაგრამ ჰაინრიხის დაუდეგარი, მაძიებელი ბუნება ვერც გეტინგენში არსებულ სიტუაციას შეეგუა, რომელიც ბონისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. აი, როგორ აღწერს იგი თვით ქალაქსა და იქ არსებულ ვითარებას მოგვიანებით თავის „მოგზაურობის სურათებში“:

„ქალაქი გეტინგენი, განთქმული ძეგვებითა და უნივერსიტეტით (ძეგვისა და უნივერსიტეტის გვერდიგვერდ ხსენება ცხადყოფს ჰაინეს დამოკიდებულებას უნივერსიტეტში არსებული ატმოსფეროს მიმართ, საერთოდ, გეტინგენის აღწერა ჰაინეს სარკაზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. — ვ. მ.) ჰანოვერის მეფეს ეკუთვნის და მოიცავს 999 კომლს, მრავალნაირ ეკლესიას, ერთ სამშობიარო სახლს, ობსერვატორიას, კარცერს, ბიბლიოთეკას და სამიკიტნოს, სადაც ერთობ კარგი ლუდია... ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ქალაქი ხალხთა გადასახლების ხანაში იქნა აგებული, რომ კოველმა გერმანულმა ტომმა აქ თითო დაუდეგარი ნაშინიერი დატოვა, და რომ მათგან წარმოდგენენ ყველა ეს ვანდალები, ფრიზები, შვაბები, საქსები, ტევტონები, ტიურინგიელები და ა. შ., რომლებიც გეტინგენში დღესაც დაძრწიან ჯგუფ-ჯგუფად ვენდერშტრასეზე და... გამუდმებით აწყობენ ხოცვა-ჟლეტას რაზენმიულეს, რიჩენკრუგისა და ბოვდენის სისხლიან ბრძოლის ველებზე...“

ყურადღება, რომელიც ჰარიმ გეტინგენში მიიქცია, მხოლოდ მისი მაღალნიჭიერების შედეგი როდი იყო. მეგობრების წრეში (მეგობრები კი საკმაოდ ჰყავდა) იგი ხშირად აკრიტიკებდა უნივერსიტეტში გამეფებულ

რუტინას (თუმცა, ისევე, როგორც ბონში, აქაც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლები). „მოგზაურობის სურათებში“ იგი იხსენებს იმ შეხედულებას, რომელიც გეტინგენში ყოფნისას ჩამო-
უყალიბდა: „საერთოდ, გეტინგენს მკვიდრნი სტუდენტებად, პროფესო-
რებად, ფილისტერებად და პირუტყვებად გაიყოფიან, ამასთან ეს ოთხი
წოდება ერთმანეთისაგან არცთუ ისე მკვეთრადაა გამიჯნული. პირ-
უტყვთა წოდება უმრავლესობას შეადგენდა. ყველა სტუდენტისა და
ორდინალური თუ არაორდინალური პროფესორის აქ ჩამოთვლა შორს
წაგვიყვანდა. თანაც ამ წუთში ყველა სტუდენტის გვარი არ მახსენდება,
პროფესორთა შორის კი ზოგი ისეთიც არის, რომელსაც ჯერ კიდევ არა-
ვითარი სახელი არ გააჩნია“. რასაკვირველია, როცა ეს გამანადგურე-
ბელი სარკაზმით სავსე გამონათქვამი უნივერსიტეტის პროფესორთა
სმენამდე მიაღწევდა, ისინი პარისადმი სიყვარულით ვერ განიმსჭვალე-
ბოდნენ.

გარდა მეგობრებისა, ჰაინრიხმა ქალაქში მტრებიც გაიჩინა. იგი
სამართლიანია, მაგრამ, ამასთან, პრინციპული და პირდაპირი პიროვნება
იყო, რომელიც, თუ თავს მართლად გრძნობდა, უკან არაერთარ შემთხ-
ვევაში არ დაიხევდა. გარდა ამისა, თავისი ეფექტური გარეგნობის წყა-
ლობით (ტანმაღალი, მკერივად ჩასხმული, ლამაზი პროფილი — ოდნავ
კეხიანი ცხვირი, ენერგიული ნიკაპი, ვნებიანი ტუჩები, გრძელი წამწა-
მებით მოწრიდებული, დაცინვით მოშხირალი თვალები) ქალიშვილებში
წარმატებით სარგებლობდა. თავისი მკვასე და გამომწვევი შეფასებით
ბევრი გეტინგენელი ფრაუს გულისწყრომა გამოიწვია. აი, კიდევ ერთი
ამონარიდი „მოგზაურობის სურათებიდან“, სადაც ჰაინე „ეწინააღმდეგე-
ბა მცდარ შეხედულებას, თითქოს გეტინგენელ ქალებს ღიდი ფეხები
ჰქონდეთ... დიახ, ამ შეხედულების სერიოზულად უკუგდებისათვის ხან-
გრძლივი შრომაც კი გაეწიე“, რომელშიაც, როგორც ჰაინე ამბობს, ლა-
პარაკია: „1. საერთოდ ფეხების შესახებ; 2. წინაპართა ფეხების შესა-
ხებ; 3. სპილოების ფეხების შესახებ; 4. გეტინგენელი ქალების ფეხების
შესახებ; 5. თავს ვუყრი ყველაფერს, რაც კი რამ თქმულა ამ ფეხების
ირგველი უღრისის ბაღში (ბაღი და ლუდხანა გეტინგენის ცენტრში. —
ვ. მ.); 6. განვიხილავ ყველა ამ ფეხს მათ ურთიერთკავშირში და, ვსარ-
გებლობ რა შემთხვევით, ფეხებს, აგრეთვე, წვივებს, მუხლებს და ა. შ.
დაბოლოს 7. საჭირო ზომის (! — ვ. მ.) ქალაღის შოვნა თუ შევძელი,
დავურთავ რამდენიმე გრავიურას გეტინგენელ ქალთა ფეხების ფაქსი-
მილეთი“.

აშკარა სიძულვილს ამჟღავნებდა პარი პუდელების (ანუ პედლების),

გერმანულ სტუდენტთა ჯარგონით — უნივერსიტეტის მოხელეების, სტუდენტთა ზედამხედველების მიმართ, ამათრახებდა „ნახევარწლიურ ნაწერებს“, ანუ სიებს, რომელთაც „პუდელები“ სემესტრის ბოლოსათვის ადგენდნენ და რომელთა საფუძველზე ამა თუ იმ დანაშაულში „მხილებულ“ სტუდენტებს კარცერში სვამდნენ, დასცინოდა „ობმოკიდებულ“ პროფესორებს და მათ „პროფოკუსებს“ უწოდებდა, ყბას უქცევდა „მოსპეკულიანტო პრივატ-დოცენტებს“...

ყველაფერი კი გეტინგენელ სტუდენტთან, ქალაქში ცნობილ მოკრივესთან და მჭლქოსანთან, ვილჰელმ ლუდერთან კონფლიქტმა დააგვირგვინა. ვილისა და ჰარის შორის იმთავითვე ცივი ურთიერთობა დამყარდა, ხოლო როცა ერთხელ ლუდერმა ჰარი ულრიხის ბაღში ქალიშვილთან ერთად იხილა, მწარედ გაკილა, ჯერ მისი შელახული რუხი სერთუკი დაიწუნა, მერე მიაწარმოძველობას გადასწვდა, ბოლოს კი პორაციუსს შე-ღარა — ცხადია, დაცინვით. ჰარიმ სილა გააწნა თავზედს, მეგობრებმა ლუდერს სელები გაუკავეს და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოჩხუბრები დუელზე შეთანხმდნენ. დუელი სოფელ ბოვდენში უნდა გამართულიყო, გეტინგენის ახლოს, მაგრამ ეს ამბავი გახმაურდა, უნივერსიტეტის რექტორატის ყურამდე მივიდა და ჰაინრიხი გარიცხეს სტუდენტთა რიგებიდან. მის დასაცავად მხოლოდ პროფესორმა კარლ ფრიდრიხ აიხპორნმა, გერმანული ისტორიის მკვლევარმა აიმაღლა ხმა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

1821 წლის გაზაფხულზე ჰაინრიხმა გეტინგენი დატოვა და ბერლინისკენ აიღო გეზი.

ჰარი — ფრაუ ბეთის:

„ერთი სიტყვით, დედა, ბონი და გეტინგენი ტყუპისცალებივით ჰგავნან ერთმანეთს — უნივერსიტეტების ატმოსფეროს ვგულისხმობ. ამიტომ გადაწყვეტილება თქვენთან შეუთანხმებლად მივიღე (არცერთი სიტყვა დუელსა და გარიცხვაზე! — ვ. მ.), მაგრამ რაკი ვიცოდი, რომ საბოლოოდ მაინც დამეთანხმებოდით, წერილით აღარ შეგაწუხეთ.

ბერლინის უნივერსიტეტი იმიტომ ავირჩიე, რომ ახალგაზრდაა და, რაკი დიდი ტრადიციების არმქონეა, შედარებით პროგრესულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლებთან მექნება ურთიერთობა. იგი სულ თორმეტიოდე წლისაა და ისეთი ვეებერთელა სახელის მქონე პიროვნება უდგას სათავეში, როგორც პროფესორი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი...

ვიცი, რომ ჰერ სოლომონი, ღრმად პატივცემული ბიძაჩემი, რომე-

ლიც კრუხივით გადაფოფვრია თავის ტალერებს, გამინაწყენდება და იქნებ ის სტიპენდია, მე ლუდის ფულადაც რომ ძლივს მყოფნის, შემიწყვიტოს, მაგრამ რაც მოსახდენია, დაე, მოხდეს.

მამაჩემი რომ კარგად გრძნობს თავს, ეჭვი არ მეპარება. როგორღა არიან გადია ურსულა, ლოტხენი, მაქსიმილიანი?..

გეხვევი...“

ამრიგად — ბერლინი.

გაშენებულია მდინარე შპრევეზე, მდინარე ჰაფელის შესართავთან. დაარსებულია XIII საუკუნის პირველ ნახევარში, 1480 წლიდან ბრანდენბურგის (შემდეგ — პრუსიის) დედაქალაქია. დაგეგმარება — რადიალურ-წრიული (შუა საუკუნეების ტრადიციისამებრ). უძველესი არქიტექტურული ძეგლები — გოტიკური ეკლესია მარიენკირხე (XIII-XIX ს.ს.), ისტორიის მუზეუმი (XVIII ს. დასაწყისი), ოპერის თეატრი (XVIII ს.). სწორედ იმ წელს, როცა ახალგაზრდა ჰაინე ბერლინში ჩავიდა, დასრულდა ბერლინის დრამატული თეატრის მშენებლობა (არქიტექტორი კ. ფ. შინკელი).

აპრილის ბერლინი. ნეკერჩხლის, ცაცხვის, წაბლის, ცხენისწაბლას ნორჩი ფოთლების ხასხასა სიმწვანე, წითელ-ყვითელი ყვავილებით მოჩითული გაზონები, სუფთა ქუჩები და ტროტუარები, ლამაზად შეღებილი შენობები.

უნტერ-დენ-ლინდენი — ბერლინის მთავარი არტერია.

უნივერსიტეტი — ოდნავ პირკუში, მაგრამ შთამაგონებელი არქიტექტურით.

უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს კითხულობს გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი, პროფესორი გეორგ-ფრიდრიხ-ვილჰელმ ჰეგელი. იგი სტუდენტებს ასწავლის ლოგიკას, მეტაფიზიკას, ბუნების ფილოსოფიას, რელიგიის ფილოსოფიას, ანთროპოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიის ისტორიას...

ჰაინრიხი გატაცებით უსმენდა იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების ტიტანს, აღფრთოვანებული იყო მისი დიდებული ლექციებით, ცდილობდა, არ გამორჩენოდა არცერთი მისი სიტყვა, გამოთქმა, აზრი.

მეცნიერისა და პედაგოგის გამჭრიახ თვალს მხედველობიდან არ გამოჩენია ნიჭიერი სტუდენტის მისდამი ლტოლვა და დაიხსლოვა იგი. ხშირად ჰქონდათ ხოლმე ხანგრძლივი საუბარი, ზოგჯერ კამათობდნენ კიდევ.

ერთხელ, მასწავლებლისა და სტუდენტის საუბრისას, ჰაინრიხმა დე-

ლიკატური საყვედური გამოთქვა დიდი ფილოსოფოსის შემდეგი დებულების გამო: „ყველაფერი, რაც არსებობს, გონიერულია“. თუ ასეა, მაშინ რა გამოდისო, — შეჰბედა პარიზ პროფესორს, — ბოროტებაც გონიერული ყოფილა, ქონებრივი უთანასწორობაც და რასობრივი ჩაგვრაცო. ჰეგელმა, რომელიც თითქმის ოცდაათი წლით უფროსი იყო თავის მოწაფეზე (უკვე 53 შესრულებოდა), თავისი ცივი, ფოლადისფერი თვალების გამჭოლი მხერა მიაპყრო მას, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და მშვიდად ჩამომარცვლა: „შეიძლებოდა, ეს აზრი ასედაც თქმულიყო: „ყოველივე, რაც გონიერულია, არსებობის ღირსია“. პარი წამით ჩაფიქრდა და, თავისდამოულოდნელად, სახტად დარჩა: მისთვის უცებ ნათელი და გასაგები გახდა გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის პროგრესულობა.

ფრიად ნაყოფიერი გამოდგა ახალგაზრდა პოეტისათვის ჰეგელთან ურთიერთობა. უფრო სისტემური და მტკიცე გახდა მისი მსოფლმხედველობა. ნაწილობრივ სხვა თვალით შეხედა ცხოვრებას — გარემომცველ სამყაროს, ფარდა აეხადა ბევრ, აქამდე ბურუსით მოცულ პრობლემას.

„მართლაც რა ვირტუოზია! მის გვერდით ყოფნა უდიდესი ბედნიერებაა ყველა მოკვდავისათვის — თითქოს გიმსუბუქებს, გიადვილებს ამქვეყნიურ ყოფას, თითქოს ადვილად გადაგაქვს მხრებზე ამქვეყნიური ცხოვრების ყოველგვარი სიძნელე, — ფიქრობდა თავისი დიდი მასწავლებლით აღრფთოვანებული პარი და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა ჰეგელის შრომებს.

ნაყოფიერი გამოდგა პარის ლიტერატურული მოღვაწეობაც ბერლინის უნივერსიტეტში. უკვე ჩამოყალიბებული შემოქმედი ქმნის საინტერესო ნაწარმოებებს და .აი...

მკითხველს უთუოდ ესსომება, რომ ჰაინრიხის პირველი ლექსები ფრიდრიხ ვილჰელმ გუბიცმა, „გეზელშაფტერის“ რედაქტორ-გამომცემელმა გამოაქვეყნა. ჰაინეს ამ გამომცემლობასთან კავშირი არ გაუწყვეტია, მაგრამ პირველი კრებული თავის. ლექსებისა, ბერლინში რომ ჩავიდა, მხოლოდ მაშინ შესთავაზა (იქნებ ესეც იყო ბერლინისკენ სწრაფვის ერთ-ერთი მიზეზი?).

1821 წლის დეკემბრის დასაწყისში ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების კრებულმა მზის სინათლე იხილა.

იმავე წლის 21 დეკემბრის გაზეთ „გეზელშაფტში“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელსაც კრებულის გამომცემელი ფრიდრიხ მაურერი აწერდა ხელს. იგი თითქოს წინასწარ ამზადებდა მკითხველ საზოგადოებას ახალბედა პოეტთან შესახვედრად, თუმცა შეფასებისას საკმაო სი-

თამამეც (სწორედ პარის ახალბედობის გათვალისწინებით) გამოიჩინა. „ჩვენმა გამომცემლობამ, — წერდა იგი, — ამ დღეებში გამოაქვეყნა ჰაინეს ლექსები. როგორც უნდა იმსჯელონ ამ წიგნის ღირსებაზე, ერთი რამ ცხადია: წიგნის ავტორი უაღრესად ორიგინალურია, ამას მოწმობს გრძნობათა სიღრმე, ცოცხალი იუმორი და გაბედული ნოვატორობა“.

პირველმავე კრებულმა სახელი მოუტანა მის ავტორს.

პარისტვის გაიღო ყველა ცნობილი ლიტერატურული სალონის კარი. უმთავრესად რაქელ ფარნიჰაგენის ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმარი იყო. აქ იგი კითხულობდა თავის ახალ პოეტურ კმნილებებს და დიდი მოწონებით სარგებლობდა. რაქელ ფარნიჰაგენი და მისი მეუღლე განსაკუთრებულ სითბოსა და თავაზიანობას იჩენდნენ მის მიმართ.

ჰაინრიხი დაუახლოვდა ბერლინის „ებრაელთა კულტურისა და ერის კავშირს“. მას ურთიერთობა ჰქონდა ისეთ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ ედუარდ ჰანსი და მოზეს მოზერი. კავშირში აქტიურად ჩაბმული ჭაბუკი პოეტი მის წევრებს პოეზიის ისტორიის კურსს უკითხავდა და ნაყოფიერ პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდა.

პარის პირველ კრებულს, რომლის ლექსების მთავარი თემა და საზიცი სიყვარული იყო, პირველი შემფასებლები გამოუჩნდნენ.

1822 წლის დასაწყისში ჰაინეს თანამოკალმე, პირველი კრიტიკოსი და — მომავალში — მისი მეგობარი კარლ ლებრეჰტ იმერმანი თავის სტატიაში წერდა, სიყვარულის თემა ამ ლექსში მოჩვენებითია, სინამდვილეში პოეტის შეგნებას სხვა, უფრო მძლავრი მოტივები აღელვებსო.

არადა, თავად ჰაინრიხი მოგვიანებით აღნიშნავდა, ჩემი პირველი ლექსები სიყვარულის ნაყოფიაო.

კრიტიკოსებმა შენიშნეს, რომ თავის შეხედულებებში ჰაინე საკმაოდ დაშორდა შლეგელს, რომლის მიმდევრადაც და თანამოაზრედაც თვლიდა თავს არცთუ დიდი ხნის წინათ. მაგალითად, 1822 წლის ივნისში „Kunst und Wissenschaft“-ი წერდა: „ბატონმა ჰაინემ ერთხელ ამ უურნალის ფურცლებზე განაცხადა, რომ შლეგელის მიმდევარია. თავის ლექსებშიც ხშირად ამბობს ამას. მაგრამ ჩვენ გესურს, ბატონი ჰაინეს ყურადღება მივაპყროთ ერთ გარემოებას: როგორ საფუძვლიანადაც უნდა გაველო მას შლეგელის სკოლა, როგორც უნდა იყოს აღფრთოვანებული მასწავლებლის „კეთილგანწყობილი“ სიტყვებით, სულერთია, ჰაინე არ შეიძლება მიეკუთვნოს შლეგელის სკოლას“.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაინრიხი იმ დროს მხოლოდ ოცდახუთიოდე

წლისა იყო, როგორც ზემონახსენები ციტატიდან ჩანს, იგი უკვე ანგარიშგასაწევ პიროვნებად და ლიტერატორად მიაჩნდათ.

1823 წლის შემოდგომა. ბერლინი. მოდური კაფე „ფროილიან მაიერი“. საკმაოდ ვრცელი, მაგრამ მაინც მყუდრო, ინტიმური ატმოსფეროთი სავსე დარბაზი. აღრიანი საღამო. ქუჩის მხარეს, კედელთან მიდგმულ მაგიდასთან ორნი სხედან — პაინრიხ პაინე, უკვე ცნობილი პოეტი, რომლის მეორე წიგნი „ტრაგედიები ლირიკული ინტერმეცოთი“ ახლახან გამოვიდა, და მისი მეგობარი, წარმოშობით პოლონელი ევუენ ფონ ბრეზა. მაგიდაზე — ცარიელი არყის სირჩები და ლუდით სავსე ორი ტოლჩა.

— კი მაგრამ, პარი, — შეწყვეტილ საუბარს განაგრძობს ფონ ბრეზა, თან ხარბი მზერით მიაცილებს კაფეს მიმტან ქალს, რომელმაც, ეს წუთია, ლუდი მოართვა ახალგაზრდა სტუმრებს. — რამდენადაც ვიცი, ამ ლორელაის თემა ათასჯერაა გადამღერებული და ახლა შენ რაღად აიკვირებ, მომკალი და, არ მესმის!

პაინრიხმა ლუდი მოწრუპა.

— იცი, რა, ევგენ, — ცისფერი თვალები მიანათა მეგობარს, — სიტყვა „ლორელია“ პირველად ჩემი გადიის ბაგეებიდან გავიგონე. შესაძლოა, იმან იცოდა ამ ლეგენდის რომელიღაც ხალხური ვარიანტი, მაგრამ უფრო მგონია, რომ ბრენტანოს წიგნში ექნებოდა წაკითხული.

— ეგ რომელი ბრენტანოა?.. — თვალები მოჭკუტა ბრეზამ.

— ცნობილი ბრენტანო ერთია — კლემენსი, რომან „გოდვის“ ავტორი. ეს წიგნი, მე რომ ხუთიოდე წლისა ვიყავი, მაშინ გამოვიდა. „ლორელიაც“ იქაა შეტანილი, მერე ეს ლეგენდა თუ ზღაპარი სხვებმაც აწვალეს — ფოგტმა, ოტო ლიობენმა, კიდევ ვიღაცამ, გვარი აღარ მაგონდება.

— აიხენდორფი?

— მაგანაც, მაგრამ მე რომ არ მახსოვს, ის სხვაა. ოტო ლიობენმა სულ ახლახან, ორიოდე წლის წინათ დაბეჭდა ახალი ვარიანტი.

— და ახლა შენ... — დაცინვით გადახარა თავი ფონ ბრეზამ.

პაინრიხმა მსუბუქად დაჰკრა მუშტი მაგიდას.

— დი-ახს! — დამარცვლა სიტყვა. — მე ახალი ვარიანტი შევეკმენი, რომელსაც გერმანელი ხალხი შეიყვარებს და სხვას კი არა, სწორედ ამ ლექსს იმღერებს!

— აქა გაქვს?

პარიმ სერთუკის გულისჯიბეზე დაიდო ხელი.

— წამიკითხე, — სთხოვა ფონ ბრეზამ.

ჰაინრიხმა ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და გაშალა. დაბალი, სასიამოვნო ხმით, ოდნავ წამლერებით წაიკითხა:

ლორეალი

მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს:
არ მასვენებს სევდა მწველი
და ღღემუდამ ხსოვნას ნისლავს
ეს ზღაპარი ძველთაძველი.

ღამდება და ველზე გრილა,
მოსდევს რაინს ტალღა წყნარი,
მწუხრის მზეში შეფერილა
მოღიმციმე მთა და ბარი.

ზის ქარაფზე ტურფა ქალი,
გაუშლია დალალები,
ბზინავს ძვირფას მძივთა რკალი,
თმას ივარცხნის გამალებით.

ხელთ აქვს ოქროს სავარცხელი,
ზის და მღერის ჯადოსნურად,
მძლავრი ვნება და ნაღველი
მაცდურ პანგად ჩამოსხმულა.

მოხიბლულა ნაოსანი,
ის ხმა ტანჯავს და იმონებს,
ხედავს, მღერის ჯადოსანი,
ალარ ხედავს წყალში ლოდებს.

ვიცი, ნავიც, ნაოსანიც
ჩაეხვევა მდორე რაინს —
ასე სურდა საოცარი
სიმღერებით ლორე-ლაის!*

* აკ. კელოვანის თარგმანი.

ეგგენ ფონ ბრეზა თვალდახუჭული იჯდა — ასე იცოდა ყოველთვის, როცა პარი თავის ლექსებს უკითხავდა. ჰაინრიხი სახეში შეჰყურებდა მეგობარს და სურდა, მისი გამომეტყველებით შეეტყო, რა შთაბეჭდილება მოახდინა. მიმტანი ქალი მოუახლოვდათ, რაღაც იკითხა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, მხრები აიჩინა და მაგიდას გაშორდა.

— როგორია? — გაჭიანურებული ღუმელის შემდეგ ხმა ამოიღო ჰაინემ.

ფონ ბრეზამ თვალეზი გაახილა. ერთხანს უყურა მეგობარს, მერე წინ გადაიხარა და ხელზე ხელი დაადო.

— შენ გენიოსი ხარ, ჰაინრიხ ჰაინე! — თითქმის ჩურჩულით თქვა. პარიმ გადაიხარხარა.

— მართლა გეუბნები! გენიოსი ხარ! — გაიმეორა ფონ ბრეზამ. — ასე მარტივად და ასე შთამბეჭდავად მხოლოდ ხალხს შეუძლია ჩვეულებრივი სიტყვებით დიდი ამბის გადმოცემა. შენ წელან მართალი თქვი: გერმანია ამ ლექსს იმღერებს...

მკითხველმა ალბათ იცის, რომ ზუსტად ასდა ჰაინესა და ფონ ბრეზან წინასწარმეტყველება: — მთელი გერმანია — გუთნისდელა თუ ფეიქარი, დიდი თუ პატარა მართლაც ჰაინეს „ლორელაის“ მღერის, ოღონდ მათმა დიდმა უმრავლესობამ არ იცის, რომ იგი ჰაინეს ეკუთვნის, და ხალხური — ანუ თავისი შექმნილი — ჰგონია.

ჰაინეს „ლორელაი“ 1824 წელს გამოქვეყნდა.

1823 წლის ბოლოს ჰაინრიხმა ბერლინის უნივერსიტეტი დატოვა, ორიოდ თვე მშობლებთან, გადაი ციპელთან, და-ძმასთან დაჰყო, ხოლო 1824 წელს, დედ-მამის დაყენებული თხოვნით, ისევ გეტინგენის უნივერსიტეტს დაუბრუნდა.

გეტინგენში იგი, როგორც გერმანიაში უკვე ცნობილი პოეტი, საკმაო თავაზიანობით მიიღეს, თუმცა არ დავიწყებიათ, რომ ჰაინრიხი ეროვნებითა და რწმენით ებრაელი იყო, წარმომავლობით — ვაჭრის შვილი, ხოლო მსოფლმხედველობით — პროგრესული რომანტიზმის, ახალი ფილოსოფიის მიმდევარი და, მაშასადამე, ბიურგერული პრუსიის, რეაქციული რუტინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე. ამიტომ მისი სწავლა და მოღვაწეობა გეტინგენის უნივერსიტეტში ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

1824 წლის შემოდგომაზე პარიმ ფეხით იმოგზაურა პარცის მთებში, მაგრამ ამაზე — შემდეგ...

1825 წლის გაზაფხულზე, აპრილში, ჰაინრიხმა სადოქტორო გამოცდების ჩაბარების უფლება მოიპოვა. საკუთარი გამოცდილებით მან

უკვე იცოდა, რომ მაშინდელ გერმანიაში ეზრავლისთვის ძნელი (თითქმის შეუძლებელი!) იყო სახელმწიფო სამსახურში შესვლა, მით უმეტეს — იურისპრუდენციაში მუშაობა. ამიტომ საკუთარ თავთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ და მეგობართა (ე. ფონ ბრეზა, ვ. ჯაგემა-ნი...) რჩევით, არაორდინალური ნაბიჯი გადადგა — გამოცდებამდე ერთი თვით ადრე პროტესტანტობა⁵ მიიღო, რითაც მშობლების საყვედური და ბიძის, სოლომონ ჰაინეს რისხვა დაიმსახურა.

1825 წლის 20 ივლისს ჰაინრიხ ჰაინემ გეტინგენის უნივერსიტეტში ლათინურ ენაზე დაიცვა დისერტაცია და იურისპრუდენციის დოქტორის წოდება მოიპოვა.

თუმცა ამით როდი დასრულებულა მისი სწავლა-განათლების გზა. პირიქით, ეს იყო ცოდნის მწვერვალისაკენ მიმავალი დიდი გზის დასაწყისი.

„დიდი გერმანელი“ და ჰაინე

„დიდი გერმანელი“ — იოჰან ვოლფგანგ გოეთე იმთავითვე, თითქმის ბავშვობიდანვე ჰაინრიხ ჰაინეს კერპი იყო და მას ისეთ მაღალ მწვერვალთა რიცხვში აყენებდა, როგორებიც იყვნენ დანტე, სერვანტესი, შექსპირი, ლესინგი, შილერი...

ჰაინემ გოეთეს არაერთი ლექსი მიუძღვნა. მაგრამ ამ ბუმბერაზი მწერლისადმი მისი განუზომელი პატივისცემა ყველაზე ცხადად „მოგზაურობის სურათებში“ ჩანს (კერძოდ — „ჩრდილოეთის ზღვაში“), რომელიც 1826—1831 წლებში იწერებოდა. გოეთეს ჰაინესეული შეფასება განსაკუთრებით ფასეული და საყურადღებოა მით უფრო იმიტომ, რომ ისინი თანამედროვენი იყვნენ, იმდროინდელ ლიტერატორთა შორის კი გოეთეზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

„გოეთე, რადგან იგი ყველას მზერისათვის ხელისგულივით გადაშლილი სამყაროა, ჩვენთვის ადამიანთა შეცნობის საუკეთესო საშუალებად იქცევა“, — ამბობს ჰაინე და მერე განაგრძობს: „გოეთე ნათელი ელინური ხედვით ყველაფერს ხედავს, ბნელსაც და ნათელსაც; არ აფერადებს საგნებს განწყობის კოლორიტით და ქვეყანასა და მის მკვიდრთ იმ ჭეშმარიტ ყოფაში, იმ ჭეშმარიტ ფერებში გვიხატავს, როგორადაც ღმერთის მიერ ქმნილან ისინი“.

ჭეშმარიტად! დიდი შემოქმედი — დიდი შემოქმედის მიერ დახატული!

საინტერესოა, რომ, ჰაინეს რწმენით, თანამედროვეობას არ ძალუძს,

დამსახურებისამებრ შეაფასოს და დააფასოს გოეთე, ეს მხოლოდ მომავალში გახდება შესაძლებელი. „დიდი გერმანელის“ მახვილ ხედვასა და რეალიზმზე მსჯელობის შემდეგ ჰაინე წერს: „ეს გოეთეს ისეთი დამსახურებაა, რომელსაც მხოლოდ უკეთესი მყოფადი აღიარებს“... ჩვენ „სწეულნი ვართ იმისათვის, რომ უშუალოდ შეგვეძლოს დავინახოთ, რაოდენ ჯანსაღი, მთლიანი და პლასტიკურია გოეთე თავის თხზულებებში; თვითონაც ნაკლებად ამჩნევს ამას. თავის შესაძლებლობათა გულუბრყვილოდ არმცოდნე, იგი გაოცებულია, როცა „საგნობრივ აზროვნებას“ მიაწერენ, და სურს რა, ავტობიოგრაფიის სახით მოგვეცეს თავის ნაწარმოებთა შეფასებისათვის კრიტიკული სახელმძღვანელო, არსებითად არავითარ საზომს არ იძლევა და მხოლოდ ახალ ფაქტებს გვასწავლის, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის შესახებ. და ეს ხომ სრულიად ბუნებრივია: განა რომელიმე ჩიტს ძალუძს, საკუთარ თავს გაუსწროს ფრენაში“?

ნიშანდობლივია გოეთეს ფრინველთან შედარება.

დასასრულ, გოეთეს ნამდვილ ვაგებასა და დაფასებას ჰაინე მომავალ თაობებს ანდობს:

„მომავალი თაობები გოეთეში, პლასტიკური ჭერეტის, გრძნობისა და აზროვნების გარდა, ბევრ სხვა ისეთ რამესაც აღმოაჩენენ, რაზეც ჩვენ წარმოდგენაც კი არ გავაჩნია“.

გოეთესადმი ჰაინეს უდიდესი პატივისცემისა და მოწიწების ნათელსაყოფად გავიხსენოთ მხოლოდ ერთი სტროფი პოემიდან „ატა ტროლი. ზაფხულის ღამის სიზმარი“ (1841 წ.):

„აქ მოაზროვნე გმირთა დასიდან
ვიხილე ბევრი ბრძენი, სწავლული,
ელვარე თვალთა ნათელი შუქით
ვიცან დიდოსტატ ვოლფგანგის სახე“.*

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰაინეს გოეთეს მიმართ, როგორც შემოქმედისადმი, (კალსახა, ერთგვარი დამოკიდებულება არ ჰქონია. რა თქმა უნდა, მისდამი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა არასოდეს განელებია, მაგრამ იყო დრო, როცა გოეთეს, როგორც პიროვნების, ერთმა ნაბიჯმა ჰაინე საკმარისზე მეტად გააღიზიანა — მას არ მოსწონდა, დიდი პოეტი სასახლის კარის მრჩეველის თანამდებობას რომ „დახარბდა“.

* აკ. გელოვანის თარგმანი.

ჰაინე ორჯერ შესვდა გოეთეს.

მან თავისი ლექსების პირველი კრებული გაუგზავნა „დიდ გერმანელს“. კარგა ხანს ელოდა გამოსმაურებას.

და აი...

1824 წლის 2 ოქტომბერი.

თბილი, ლამაზი შემოდგომა იდგა გერმანიაში. ჰაინრიხმა „დიდი გერმანელისაგან“ მიწვევა მიიღო და დაუყოვნებლივ ვაიმარს გაემგზავრა.

ღელავდა და გზაში სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მიიღებდა ბუმბერაში პოეტი.

იმხანად იოჰან ვულფგანგ გოეთეს ვაიმარის პრინციის საიდუმლო მრჩევლის თანამდებობა ეკავა — ფრანკფურტელი პატრიცის ვაჟი იმდროინდელი გერმანიის საზოგადოების მაღალ წრეებში დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა, არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფო მოღვაწის მაღალი ტიტული ჰქონდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ უკვე სახელმოსხვეჭილი უნიჭიერესი პოეტი და მოაზროვნე, განმანათლებელი და ახალი გერმანული ლიტერატურის ფუძემდებელი იყო.

ჰაინრიხი პატივით მიიღეს გოეთეს სახლში. მომცრო ოთახში გემოვნებით ნაკეთები ავეჯი იდგა: წითელი ხის სავარძლები, დივანი, პატარა მაგიდა, ზედ — რამდენიმე გადაშლილი წიგნი და ჟურნალები; კუთხეში შავი ლაქით შეღებილი წიგნების კარადა, მოპირდაპირე მხარეს — ასევე შავად გალაქული, მოჩუქურთმებული საწერი მაგიდა თავისივე სავარძლით, მაგიდაზე — წიგნები და სუფთა თუ წვრილი ნაწერით დაფარული ფურცლები. იქვე იღო ბატის ფრთა, რომელზეც ჰაინრიხის დაკვირვებულ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია მელნის წვეთი — ეტყობოდა, დიდი პოეტი სულ ცოტა ხნის წინ ამდგარიყო თავისი სავარძლიდან.

ლაქიამ ჰაინრიხი ოთახში შეიყვანა და გაუჩინარდა. გავიდა რამდენიმე გრძელი წუთი და გოეთე შემოვიდა. ჰარი იმდენად დაიბნა, რომ მისალმებაც კი ვერ მოახერხა, აღარ იცოდა, ხელები სად წაეღო, ბიჭვივით გაწითლდა.

გოეთემ შეატყო დაბნეულობა, გამამხნეველად გაუღიმა და ხელი გაუწოდა, მერე — დაბრძანდითო, — სავარძელზე მიუთითა.

კარგა ხანს ისაუბრეს — პოეზიაზე, გერმანულ და, საერთოდ, ევროპულ ლიტერატურაზე. გოეთეს, ეტყობა, არცთუ ძალიან მოსწონებია ჰაინრიხის. პირველი კრებული, მაგრამ დაინდო ახალგაზრდა პოეტი და მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა მისცა. ერთმანეთს საკმაოდ ცივად, მაგრამ თავაზიანად დაშორდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, გოეთე ვაიმარის პრინცის კარზე მსახურობდა, რაც ჰაინრიხის, მემბოხე სულის პოეტის, გაღიზიანებას იწვევდა. შესაძლოა, ამ გაღიზიანებაში წილი პირველი შეხვედრის სიცივესაც ედო. ასეა თუ ისე, ვიმეორებ, ჰაინეს წარმოდგენა გოეთეზე, როგორც ბუმბურაზ პოეტზე, არ შეცვლილა.

ჰაინრიხი მეორედ რომ ჩავიდა ვაიმარში, თავისი „სიმღერების წიგნი“ (1827 წელი) უკვე გამოცემული ჰქონდა. საოცარია, მაგრამ ცნობილი ამბავია, რომ „დიდი გერმანელი“ არც ამ წიგნზე იყო მაღალი აზრისა.

გოეთემ მოწყალე თავაზიანობით მიიღო ახალგაზრდა პოეტი. ილაპარაკეს პოეზიაზეც, სავსებით ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბებზეც.

უცებ გოეთემ ჰკითხა:

— რაზე მუშაობთ ამჟამად?

— მე ჩემს „ფაუსტს“ ვწერ! — არც კი დაფიქრებულა, ისე მიუგო ჰაინრიხმა.

გოეთემ, ეტყობა, ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს „ჩემი ფაუსტი“ (ეტყობა, ჰაინე შემოქმედების მწვერვალს გულისხმობდა). იგი იმეამად „ფაუსტის“ მეორე ნაწილზე მუშაობდა. ჰაინრიხის პასუხი რატომღაც კადნიერად ჩათვალა და, ცოტა არ იყოს, მკვასხედ ჰკითხა:

— სხვა საქმე არაფერი გაქვთ ვაიმარში, ჰერ ჰაინე?

ჰაინრიხმა იწყინა — ნათქვამი ვიზიტის დამთავრებას ნიშნავდა. წამოდგა.

— როცა თქვენი აღმატებულების სახლის კარს გავცდები, — „თქვენი აღმატებულება“ ხაზგასმით წარმოთქვა, — ვაიმარში ყოველგვარა საქმე დამთავრებული მექნება, ჰერ ვოლფგანგ!

გოეთეც წამოდგა.

— მაშ, მიბრძანდებით?

— დიახ. — თავისდამოულოდნელად ჰაინრიხმა გაიხუმრა: — მართალია, იენისა და ვაიმარის გზაზე ძალიან გემრიელი ქლიაფი იცის, მე მაინც საქსონური მირჩევნია... — და გამომშვიდობების ნიშნად თავი დახარა.

გოეთემ ხელი გაუწოდა და მოწყალედ გაუღიმა.

ხოლო როცა თავის საწერ მაგიდას მიუბრუნდა, დღიურში სამად სამი მშრალი სიტყვა ჩაწერა: „ჰარი ჰაინე დიუსელდორფიდან“.

გოეთე ბოლომდე გულგრილი დარჩა ჰაინესადმი. საინტერესოა, რომ იოჰან ეკერმანთან საუბრისას (1830 წლის 14 მარტი), როცა სიტყვა ჰაინეზე ჩამოვარდა, „დიდ გერმანელს“ (სხვათა შორის, ეს ეპითეტი

ჰაინესეულია) პოეტის შემოქმედებაზე კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ მისი ნიჭიერება აღნიშნა, ოღონდ სულ სხვა კონტექსტში: „მხოლოდ ჩლუნგი ბრბო რომ დევნიდეს მეორეს, ვინც მასზე მაღლა ავიდა! როგორ გეკადრებთ! ერთი ნიჭი დვენის მეორეს. პლატენი უმწარებს სიცოცხლეს ჰაინესს, ჰაინე — პლატენს. ყოველი შემოქმედი ღამობს, მეორე გააშაოს, დაამციროს, შეაძულოს ქვეყანას, თუმცა ჩვენი დედამიწა საკმაოდ დიდი და ვრცელია, რომ ყველა დაეტიოს, მშვიდად იცხოვროს და მშვიდად იშრომოს. დამატებით კიდევ ყოველ კაცს საკუთარი ნიჭის სახით ჰყავს მტერი, რომელიც მცირე საზრუნავს როდი უჩენს!“

მიუხედავად ამ გულცივობისა, ჰაინეს უყვარდა გოეთე — შემოქმედი, და არა მარტო უყვარდა, არამედ გააფთრებით ებრძოდა მის არაკეთილმოსურნეთ (ბურჟუაზიულ დემოკრატებს — ბერნესს, მენცელს, პუსტუხენსა და სხვებს) და გოეთეს ბევრ მტერსაც ჩააქმენდინა ხმა.

მოგზაურობა პარცის მთებში

ჰაინრიხმა რამდენიმე თვეს დაჰყო მშობლებთან, დიუსელდორფში. გული იჯერა მათთან სიახლოვით, მიესიყვარულა ლოტხენსა და მაქსიმელიანს.

მიუხედავად განცდილი სიხარულისა და სიამოვნებისა, ოცნება არ ასვენებდა — ოცნება ეეროპის ნახვისა.

ვიდრე ეეროპას გაემგზავრებოდა, პარცის მთებს მიაშურა.

მშობლებმა მოუწონეს გადაწყვეტილება და ყველანაირად შეუწყეს ხელი, რომ ეს მოგზაურობა შემდგარიყო.

ეკონომიკურად ხელმოკლე სამსონმა დახმარებისათვის ისევ ძმას მიმართა. გულმომბალმა სოლომონმაც ძმისწულს რამდენიმე ასეული ტალერი გამოუგზავნა.

ფულის მიღებისთანავე ჰაინრიხი პარცის მთებისკენ გაემგზავრა. იგი ამ მთებში ჯერ კიდევ 1824 წლის შემოდგომაზე იყო ნამყოფი, ესე იგი მანამ, ვიდრე „დიდ გერმანელს“ შეხვდებოდა. აღფრთოვანებული იყო მისი ბუნებით. როგორც წინათ, ამჯერადაც ჰაინრიხმა ფეხით აირჩია მოგზაურობა. სიხარულს ვერ მალავდა ნაცნობ ადგილებთან შეხვედრისას. აღტაცებაში მოჰყავდა ცას მიბჯენილი მთების სიღიადეს, ირგვლივ დაეანებულ ზღაპრულ სილამაზეს, ესიყვარულებოდა ყოველ ხესა თუ ბუჩქს, ბალახსა თუ მინდვრის ყვავილებს. ხან ახლად ამოზინებულ კორდზე წამოჯდებოდა და ჰაერში გაცელქებული ტოროლას წკრიალს

უგდებდა ყურს, ხან ხმაურიანი, ბობოქარი მდინარის ნაპირას ჩაიმუხლებოდა და წყლის შხუილს მიუგდებდა ყურს.

სიამოვნებით სტუმრობდა იქაურ გლეხებთან. ისინი ყურადღებით უსმენდნენ ჭაბუკ პოეტს და, კმაყოფილნი, ლუღითა და შაშხით უმასპინძლდებოდნენ.

ამ მოგზაურობისას დაიბადა მისი „მოგზაურობა პარცზე“, მოგზაურობის პროზაული აღწერა, შიგადაშიგ ჩართული მშვენიერი ლექსებით.

უკვე მაშინ, რაკი ევროპაში მოგზაურობა და ამ მოგზაურობის აღწერა ჰქონდა გადაწყვეტილი, „პარცზე მოგზაურობას“ მომავალი წიგნის ნაწილად თვლიდა. ამიტომაც წერდა:

„მოგზაურობა პარცზე“ ფრაგმენტია და ფრაგმენტადვე დარჩება, და ფერად-ფერადი ძაფები, ეგზომ ლამაზად რომ არიან შივ ჩაქსოვილნი, რათა ერთ პარამონიულ მთლიანობაში გაერთიანდნენ, უეცრად წყდებიან, თითქოს უღმობელმა პარკამ გადაჭრაო მაკრატლით. იქნებ ჩემს მომავალ სიმღერებში განვაგრძო მათი ქსოვა და რასაც ამჟამად დუმილით ავუარე გვერდი, მაშინ მაინც არ დამრჩება უთქმელი. ოღონდაც კი თქვას კაცმა სათქმელი და განა სულერთი არ არის, სად იტყვის და როდის?“

მოგზაურობა მისი „სიძულველი გეტინგენიდან“ დაიწყო (პარის სიტყვებია). ბროვდენი, ნორტენი, ნორდჰაიმი, ოსტეროდე, ლერბახი, კლაუსთალი, მადაროელთა ქალაქი ცელერფერდი, გოსლარი, ბროკენის მთა⁶ — აი, მისი მარშრუტი.

პარცზე მოგზაურობა პრუსიელი მეშჩანინზმისაგან მისი დროებითი თავდალწევა იყო. „გეტინგენელ ფილისტერთა წოდება, — ზიზლიანი სარკაზმით წერს იგი, — მეტად რიცხვმრავალი უნდა იყოს, ისევე როგორც ქვიშა, ან, უფრო უკეთ, როგორც ტალახი ზღვის ნაპირზე. მართლაც, როცა მათ ჭუჭყიანი სახეებითა და პირმოწმენდილი ანგარიშებით აკადემიური სასამართლოს კარიბჭესთან ვხედავდი, ვერ გამეგო, როგორ შეძლო ღმერთმა ამდენი არამზადის შექმნა.

(სიძულველი — სიძულველის წილ!.. ცხადია, გერმანული ფილისტერობა მათს ესოდენ მოძულე პოეტს სიძულველითვე უპასუხებდა!).

მოგზაური პოეტი, ბუნების საოცარი, პირველყოფილი სილამაზით აღფრთოვანებული, ხვდება კეთილ, მშრომელ ადამიანებს, მაგრამ მის თვალს არც ზოგიერთთა სავალალო კომიზმამდე დაცემული სულიერი თუ გონებრივი სიჩლუნგე გამოპარვია. ამიტომაც ამბობს მწარე ირონიით: „...ეს იყო ხალხური მხიარულებისა და მელანქოლიის უცნაური ნა-

რევი, რაც განსაკუთრებით იმ მგრძნობიარე კომიკურობაში გამოქვეყნდა, რომლითაც შესანიშნავი ხალხური სიმღერა შეასრულა: „ღობის თავზე ხოჭო იჯდა, ზუმ, ზუმ, ზუმ!“ გერმანელებს ერთი კარგი თვისება გვაქვს — რაგინდ გადარეულიც არ უნდა იყოს ჩვენს შორის ვინმე, მაინც მონახავს კიდევ უფრო მეტად გადარეულს, რომელიც მას გაუგებს. მხოლოდ გერმანელს შეუძლია, განიცადოს ეს სიმღერა და სიცილითა და ტირილით სიკვდილის პირას მივიდეს“.

ჰაინეს ბასრი კალამი არ ინდობს არავის და არაფერს, საზოგადოების არცერთ ფენას, თუკი იგი კრიტიკას იმსახურებს. ესაა არისტოკრატის ფუქსავატობა და სასულიერო წოდების სიმდაბლე, სქოლასტიკური მეცნიერება თუ მშრალი, უსიცოცხლო ნაციონალიზმი, უფანტაზიო, „ბლაკვი გონების“ პატრონი გერმანელი ფილისტერი... პარც-ბურგის ახლოს გზაბნეულ მოგზაურს ხედება თვითკმაყოფილი, ლოყებდაჟღაჟა „გოსლარის ნასუქი მკვიდრი“, რომლის სული და გულიც დახშულია ყოველგვარი სილამაზისათვის. ეს კაცი უმტკიცებს პოეტს, რომ „ბუნებაში ყოველივე მიზანშეწონილი და სასარგებლოა, ხეები, მაგალითად, იმიტომ არის მწვანე, რომ მწვანე ფერი თვალებისათვის მარგებელია“. „მე დავეთანხმე მას, — წერს ჰაინე, — და დავუმატე: ღმერთმა მსხვილფეხა საქონელი იმისთვის გააჩინა, რომ ხორცის წვნიანი ადამიანს ამაგრებს, ვირები იმისათვის, რომ ადამიანებმა შედარებისათვის გამოიყენონ, ხოლო ადამიანი კი იმისათვის, რომ მიირთვას ხორცის წვნიანი და არ იყოს ვირი. ჩემი თანამგზავრი ალტაცებაში მოვიდა, თანამოაზრე ვიპოვე“.

აქვე ჰაინე მწარედ დასცინის გერმანიის საიმპერატორო ტახტს (ჰაინესადმი ფილისტერთა სიძულვილის კიდევ ერთი მიზეზი!). აი, ეს ადგილიც: „გოტშალკის „გზის მაჩვენებელში“ ბევრი რამ ამოვიკითხე უძველესი ტაძრისა და გოსლარში დაცული განთქმული საიმპერატორო ტახტის შესახებ, მაგრამ, როდესაც მოვისურვე, ერთიცა და მეორეც შენახა, მითხრეს: ტაძარი დანგრეულია, ხოლო საიმპერატორო ტახტი ბერლინშია გადატანლი. ფრიად ღირსშესანიშნავ დროში ვცხოვრობთ: ათასწლოვან ტაძრებს ანგრევენ, საიმპერატორო ტახტებს კი საკუჭნაოებში ჰყრიან...“

თავისთავად, „მოგზაურობა პარცზე“ პოეტური პროზაა (ჯერ კიდევ კარლ გუტკოვი ამბობდა: — „ჰაინეს პროზა პოეტური გუთნით არის დახნული“). გარდა ამისა, ნაწარმოებში ჩართულია რამდენიმე შესანიშნავი ლექსი (ერთგან პოეტი ამბობს: „ღამე იქ გავათენე და განვიცადე (I)

შემდეგი მშვენიერი ლექსი“), რომელთაგან, მაგალითისათვის, ერთ-ერთს მოვიტანთ:

აღმოსავლეთით გამოკრთა სსივი,
ცის კაბადონზე მზე ამობრწყინდა
და ზეაწვდილი მთის მწვერვალები
ბურუსის ზღვაში შეცურდნენ მშვიდად.

მე რომ ზღაპრული ხალიჩა მქონდეს,
მთებს ფრთაფარფატა სიოზე სწრაფად
გადავიფრენდი და ნაცნობ სახლში
კვლავ ვიპოვიდი ჩემს მშეთუნახავს.

ვეახლებოდი მთვარეზე მიჯნურს,
საწოლის ფარდას გავწვედი თრთოლვით,
ლამაზ შუბლსა და ლალისფერ ტუჩებს
დავუფარავდი ნაზი ამბორით

და შრომანივით პაწია ყურში
სანატრელ ასულს ვეტყოდი წყნარად:
„გენახოს სიზმრად, რომ ერთმანეთი
გვიყვარს და ერთად დავრჩებით მარად.“*

„პარცზე მოგზაურობამ“ გერმანიის რეაქციული საზოგადოების აღ-
მფოთება გამოიწვია. როცა „მოგზაურობის სურათები“ გამოქვეყნდა,
რომელშიაც „მოგზაურობა პარცზეც“ შედის, გეტინგენში დაუყოვნებ-
ლივ აკრძალეს ეს წიგნი, რომელიც ეგზომი მოურიდებლობით აშიშვ-
ლებდა „რიცხვმრავალ ფილისტერთა წოდებას“. მაგრამ რეაქციონერთა
გაცილებით მეტი აღმფოთება გამოიწვია წიგნის მეორე ნაწილმა —
„ჩრდილოეთის ზღვა“ და „იდეები — წიგნი Le Grand“, სადაც აშ-
კარად გამოჩნდა პაინეს რომანტიზმის რევოლუციური ხასიათი, მაგრამ
ამაზე — ცოტა ქვემოთ...

1825—1826 წლებში პაინრისი პამბურგში ცხოვრობდა (მცირე ხნით
— ლუნენბურგში). როგორც ჩანს, სოლომონ პაინემ, ბოლოსდაბოლოს,
ირწმუნა ძმისწულის პოეტური შესაძლებლობანი, და თითქოს მოლბა,
თუმცა საბოლოოდ, ეტყობა, მაინც ვერ აპატია, პარი მამა-ბიძის გზას

* ჯორჯანელების თარგმანი.

რომ არ დაადგა. ასეა თუ ისე, ჰამბურგში ყოფნისას ჰაინრიხი ბიძის სახლში ცხოვრობდა.

ერთხელაც ამალია და მისი ლოყებლავლაჟა ქმარი ჩამოვიდნენ ჰამბურგს.

— ბედნიერი ხართ? — ჰკითხა ამალიას პარიმ, როცა წუთით მარტონი დარჩნენ.

ამალიამ ჩვეული ცივი ღიმილით გაიღიმა:

— ყოველ შემთხვევაში, უბედურად არ ვგრძნობ თავს, — უპასუხა და კითხვა შეუბრუნა. — თქვენ?

დაქალბუღიყო ამალია, კიდევ უფრო დამშვენებულიყო. ახლა უწინდელზე უფრო შორეული და მიუწვდომელი ჩანდა.

— თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემი ბედნიერების ერთადერთი წყარო, — მზერა გაუსწორა პარიმ ქალს, — ალბათ უბედური ვიქნებოდი. მაგრამ მე მყავს ღედა, რომელიც თავზე უფრო მიყვარს, და კიდევ... — აღარ დაამთავრა, მაგრამ სათქმელი მკაფიოდ ითქვა.

ამალიამ მხრები აიჩჩია...

ჰამბურგსა და ლუნენბურგში პარი ბევრს მუშაობდა, წერდა „მოგზაურობას პარცზე“, ლექსებს, ეცნობოდა ახალ ლიტერატურულ მიღწევებს. მიმოწერა ჰქონდა ბერლინელ დიპლომატთან და ლიტერატორთან ა. ვ. ფონ ენზესთან, გოეთეს დიდ თაყვანისმცემელთან. აქვეყნებდა წერილებს თანამედროვე ლიტერატურაზე, ფოლკლორზე — ფოლკლორი ხომ მისი სიყვარული იყო. 1826 წლის ივნისში პარიმ პოეტ ვილჰელმ მიულერს მისწერა: „გერმანული ხალხური სიმღერის გაელენა ძალიან ადრე განვიცადე. უფრო გვიან, როცა ბონში ვსწავლობდი, ავგუსტ შლეგელმა მრავალი მეტრული საიდუმლო ამიხსნა. მაგრამ, ვფიქრობ, მხოლოდ თქვენს სიმღერებში ვიგრძენი ჭეშმარიტი უბრალოება, რომლისკენაც ყოველთვის ვისწრაფოდი“. აქვე აღნიშნავედა: „მხოლოდ ფორმაა ჩემი ლექსებისა ხალხური, მათი შინაარსი თანამედროვე ცხოვრებისაგან არის აღებული“.

თავისუფალ დროს პარი ბატონ მარს ეწვეოდა ხოლმე მის რესტორან „ინგლისის მეფეში“, სადაც არა მარტო სადილობდა, არამედ მეგობრებსაც ხედებოდა, და მათთან ერთად პოეზიასა და უბრალო ხალხის ყოველდღიურ ყოფაზე საუბრობდა.

ლუნენბურგიდან ჰაინრიხი დიუსელდორფს დაუბრუნდა, მცირე ხნით ოჯახში დარჩა, შინაურებს მიესიყვარულა, მერე გამოემშვიდობა და ევროპაში სამოგზაუროდ გასწია. 1827 წლის იანვარი იდგა.

პირველად დიდ ბრიტანეთს ეწვია, სადაც რამდენიმე თვე დაჰყო.

მის წინაშე გადაიშალა ლონდონი — ახდენილი ოცნება: პარლამენტის გრანდიოზული შენობა და ტაუერი, ბაკინგემის, ჰემპტონ-კორტის, სენტ-ჯეიმზის სასახლეები, უესტმინსტერის მონასტერი, უესტ-ენდის არისტოკრატიული კვარტალი, სიტის აღმოსავლეთით გაშლილი ისტ-ენდი — დოკებისა და მუშათა რაიონები, მდოვრედ მომდინარე მღვრიე თემზა...

აღმოჩნდა, რომ ლონდონის ლიტერატურული წრეები უკვე იცნობდნენ ჰაინრიხის ლექსებს. ჰაინე დაუახლოვდა ლონდონელ პოეტებს, სტუმრად დადიოდა მათ ოჯახებში, გაიცნო ინგლისელი პოლიტიკოსები, რომელთა დახმარებითაც რამდენჯერმე დაესწრო პარლამენტის სხდომებს. ბიურგერულ გერმანიასთან შედარებით ინგლისი განვითარებული ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყანა იყო და მისი პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრების ფონზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა პრუსიული ნახევრად ფეოდალური ყოფის სიღამძლე. პოლიტიკურ დისკუსიებში, რომლებშიაც არცთუ იშვიათად წამოიჭრებოდა ხოლმე გერმანიის საკითხი, ჰაინრიხიც მონაწილეობდა და მის შეგნებაში კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა პრუსიულ რუტინასთან ბრძოლის აუცილებლობა.

მართალია, ჰაინე ინგლისს, კაპიტალიზმის ამ ციტადელს, თავისუფლების ქვეყანას უწოდებდა, ლონდონში გატარებული ოთხი თვის განმავლობაში იგი დარწმუნდა, რომ მსხვილი ბურჟუაზიაც ისევე თელავდა უბრალო ხალხის უფლებებს, როგორც ფეოდალური არისტოკრატია. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა პოეტის რევოლუციური სულისკვეთება.

ინგლისი მან გაორებული გრძნობით დატოვა — კმაყოფილიც იყო და იმედგაცრუებულიც. გზად პოლანდიაში გაიარა, სადაც სულ რამდენიმე დღე დაჰყო და იქაურ თანამოაზრე პოეტებს გაეცნო, რომლებთანაც ადრე მიმოწერა ჰქონდა. იქიდან ისევ ჰამბურგს დაბრუნდა.

1827 წლის სექტემბერში ჰაინე ცნობილი გამომცემლის, ბარონ კონტის მიწვევით, მიუნხენში ჩავიდა.

იმავე წლის ბოლოს გამოვიდა ჰარის „სიმღერების წიგნი“, რომელსაც „ჰაინეს პირველი შემოქმედებითი ათწლეულის ქრონიკას“ უწოდებენ. წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში — „სიჭაბუკის ვნებანი“ — შესული ლექსები 1822—1824 წლებში იწერებოდა, მეორე ნაწილი — „ღირიკული ინტერმეცო“ — 1822 წელს დაიწერა, მესამე — „შინ დაბრუნება“ — 1823—1824 წლებში, ხოლო მე-

ოთხე — „ჩრდილოეთის ზღვა“ — 1825—1826 წლების შემოქმედებითი წეის ნაყოფია.

1828 წელს პაინრიხი იტალიას გაემგზავრა. წიგნის პონორარი, ცხადია, სამოგზაუროდ არ ეყოფოდა. ამჯერადაც ქვაწვია სოლომონმა გამეტა რამდენიმე ასეული ტალერი.

ვერონა, მილანი, გენუა, ლივორნო, ლუკა, ფლორენცია — აი, პოეტის სამოგზაურო რუკა.

თითქმის ერთი წელი დაჰყო იტალიაში პაინრიხმა. ეს იყო უდიდეს, განუმეორებელ შთაბეჭდილებათა წელიწადი. დადიოდა მზის ნათელით სავსე იტალიური ქალაქების ქუჩებში და ლინდონისა და კუნძულ ნორდეაის მრუმე პეიზაჟები ახსენებოდა. მოსწონდა რომაული არქიტექტურა, პალასოები,⁷ თალიანი ხიდები, გალერეები, ესოდენ რომ განსხვავდებოდნენ გოთური სტილის გერმანულ ნაგებობათაგან. აქ ხალხიც სხვანაირი იყო — მოძრავი, სმამალა მოლაპარაკე, თავაზიანიც და, ზოგჯერ — თავხედიც. პაინეს მახვილ თვალს არც კარგი გამოპარვია და არც ავი, მშვენიერსაც ხედავდა და მახინჯსაც, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტი იყო და მხოლოდ პოეტს თუ შეეძლო შეექმნა ასეთი პასაჟი: „ლაოკონის ქანდაკებას მიყრდნობილი იდგა ლაურა ტერასის ბოლოს, წითელი ვარდის ჯადოსნურ ბუჩქთან, სად შორიასლო გამდინარე წყლის ზედაპირზე მწვანე დალალი ჩამოშლოდათ მწუხარე ძეწნებს და ასე იდგა იგი ღიმილით — ეს სიყვარულის ნაზი ხატება, ვარდის სურნელით გარემოცული“.

მაგრამ მხოლოდ არქიტექტურული ძეგლების ხილვით მიღებული ტკბობითა და პოეზიით როდი შემოფარგლულა პაინრიხი იტალიაში; იგი, 31 წლის ვაჟაკი, უკვე ცნობილი პოეტი, პოლიტიკაშიც საკმაოდ გარკვეული იყო და რაკი გერმანიის, ბრიტანეთის, პოლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებას იცნობდა, ცხადია, იტალიის პოლიტიკური ყოფითაც დაინტერესდა. ამიტომ არა მარტო იქაურ პოეტებს დაუახლოვდა, რომელთაგან ზოგიერთს დაუმეგობრდა კიდევ, არამედ პოლიტიკურ წრეებთანაც დაამყარა კავშირი, სადაც თამამად მსჯელობდნენ ევროპაში ნაპოლეონის მიერ წამოჭრილ პროგრესის ქარიშხალსა და აქა-იქ შემორჩენილი ფეოდალური რუტინის ნგრევის აუცილებლობაზე. აკი წერდა სამშობლოში დაბრუნებული: იტალიაში პოლიტიკური ცხოვრება ჩქეფს; ნეტა ჩემს სამშობლოს თუ ეღირსება გამოღვიძება? ყველგან გაზაფხულის სუნი ტრიალებს, გერმანიას კი ისევე ზამთრის ძილით სძინავსო...

რომში შეატყობინეს თავზარდამცემი ამბავი — მოულოდნელად გარდაცვლილიყო სამსონ (სიგიზმუნდ) პაინე, ცხოვრებაში ხელმოცარული

კაცი, უგერგილო კომერსანტი, მაგრამ მოყვარული მამა. დეკემას მაქსიმოლიანი აწერდა ხელს.

იმ საღამოს რაღა იქნებოდა, მეორე დილითვე დატოვა იტალია და გეზი დიუსელდორფისაკენ აიღო.

დედა და შვილი

სამსონ ჰაინეს გულმა უმტყუნა. გარეგნულად უდარდელსა და მხიარულს, ენამახვილსა და მოქეიფე კაცს, ეტყობა, თავისი უგერგილობა და სავაჭრო ასპარეზზე წარუმატებლობა, რაც მისი ოჯახის ეკონომიკური ხელმოკლეობის მიზეზი გახდა, სხვათა დაუნახავად ახლოს მიჰქონდა გულთან და აი, ბოლოსდაბოლოს, ამ გულმაც ველარ გაუძლო გადატვირთვის.

— შენ განატრობდა, — უთხრა მაქსიმოლიანმა ძმას, როცა ჰაინრიხი იმ ოთახიდან გავიდა, სადაც მიცვალებული ესვენა. — უკანასკნელად შენ მოგიკითხა და შენი სახელის წარმოთქმას ამოაყოლა სული...

ჰარის თითქოს გაქეავებოდა სახეც და გულიც. მამა არა მარტო უყვარდა, ეცოდებოდა კიდევ მისი წარუმატებლობის გამო. რა თქმა უნდა, არცთუ ისე ხანშესული მშობლის სიკვდილი მოულოდნელი ელდა იყო მისთვის, მაგრამ, საოცარია, წვეთი ცრემლიც არ დასდენია თვალთაგან.

სამსონ ჰაინე ღირსეულად დაიტირეს და დაკრძალეს ყოველგვარი აუცილებელი წესის დაცვით. გერმანიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ჰაინეთა გვარის ნათესავეები და ახლობლები. სოლომონ ჰაინემ, რაოდენ ხელმოჭერილიც უნდა ყოფილიყო, თავისი საფულე ფართოდ გახსნა, დაკრძალვის ხარჯები მთლიანად იკისრა და ჰამბურგს გამგზავრების წინ დაზარალებულ ოჯახს ათასამდე ტალერი დაუტოვა.

სოლომონის შემდეგ შარლოტა გაემგზავრა ფრანკფურტს მეუღლესთან ერთად, მაქსიმოლიანი თავის საქმეებს დაუბრუნდა. სახლში ფრანგ ბეთი, საკმაოდ მოტყეხილი გაღია ურსულა და ჰაინრიხი დარჩნენ.

გამუდმებულმა ეკონომიკურმა ხელმოკლეობამ, სამსონის უთავბობობამ და უსაყვარლესი შვილის — ჰარის მუდმივად შორს ყოფნამ ნაადრევად მოტყეხა ფრანგ ბეთი, ხოლო მეუღლის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მთლად მოუთაყა ხელი. დაკრძალეს თუ არა სამსონი, მუხლებმოკვეთილი ქალი ლოგინად ჩაწვა.

გაღია ციპელი ოთახიდან ოთახში დაფარფატებდა და, თვითონვე მოსაველელი, ყურადღებას არ აკლებდა ოჯახის დედას. ჰაინრიხი კი საათო-

ბით იჯდა დედის საწოლთან, ხან ლექსებს უკითხავდა, ხან თავისი მოგზაურობის ეპიზოდებს უყვებოდა, ხან ათასგვარ სახუმარო ამბებს იგონებდა და ასე, თანდათან, ენერგიასა და საკუთარი ძალების რწმენას უბრუნებდა საყვარელ მშობელს. ორიოდ თვეში დედას გამოკეთების ნიშნები დაეტყო.

მკითხველს ალბათ ახსოვს — ზემოთ ზოგი რამ ვილაპარაკეთ ფრაუ ბეთისა და პარის დედაშვილობაზე, ამიტომ მოგვიტევეს, თუ ახლა ისევ ამ თემაზე ვისაუბრებთ და ზოგი რამის გამეორებაც მოგვიძღება.

ჩვენ ვთქვით, რომ ფრაუ ბეთი, რომელსაც ეწინოდა ბავშვის ფანტაზიის არასასურველი გზით განვითარებისა, პარის უკრძალავდა სერიოზული მხატვრული ლიტერატურის კითხვას, უფრო მეტიც, გაღია ურსულაც და სხვა მსახურებიც გააფრთხილა, ამ მხრივ მკაცრად ეღვენებინათ თვალი ბიჭისათვის. მაგრამ ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს დედას ეს უვიცობით მოსდიოდა.

ფრაუ ბეთი ფრიად განათლებული, ერუდირებული ქალი იყო. მან ადრევე შენიშნა თავის ვაჟში პოეტური სული და რაკი შვილის სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა (მერე კი ნაპოლეონის მარცხის შემდეგ — სავაჭრო-ფინანსურ კარიერაზე), ცდილობდა, პარის ნიჭი და უნარი სწორედ ამ მხრით წარემართა, თუმცა კი გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ყველაფერი ამო იყო და პარის პოეტური ბუნება საბოლოოდ თავისას გაიტანდა (აკი ასედაც მოხდა). ხოლო როცა შვილის პირველი ლექსები დაბეჭდილი იხილა, მას შემდეგ ადრინდელი აქტიურობით უკვე აღარ უცდია ჰაინრიხის დარწმუნება, მამისა და ბიძის გზას გაჰყოლოდა.

როდესაც, 1825 წლის ივნისში, პრუსიის ქალაქ პოლიგენშტადტში პარიმ პროტესტანტობა მიიღო და ლუთერანული ქრისტიანი — იოჰან ჰაინრიხ ჰაინე გახდა, სოლომონი ამას ყალყზე შემდგარი შეხვდა, სამსონი სამი დღის განმავლობაში სვამდა და არ გამოფხიზლებულა, ფრაუ ბეთიმ კი, როცა პარი შინ დაბრუნდა, ოღნავ გააქნია თავი, შვილი მკერდში ჩაიკრა და უთხრა:

— ოღონდ შენ გზა გაგეხსნას, შვილო...

გავიგეორებთ: მაშინდელ გერმანიაში ებრაელისთვის მჭიდროდ იყო დახურული სახელმწიფო დაწესებულებათა კარი. კომერციასა და საბანკო საქმეშიც მხოლოდ ძლიერი პიროვნებები აღწევდნენ წარმატებას, ისეთები, როგორიც, მაგალითად, სოლომონ ჰაინე იყო და როგორიც, მაგალითად, არ იყო პარის მამა სამსონი თავად ჰაინრიხისათვის მინც-დამინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა სარწმუნოებას, მისთვის მთავარი ადამიანი, პიროვნება იყო, ამიტომაც, როცა საქმე მისი დისერტა-

ციის არსებობა-არარსებობაზე მიდგა, ადვილად დათმო მამაპაპისეული რჯული, თუმცა არც ამით შემსუბუქებია მდგომარეობა: რეაქცია ხომ თანაბრად სდევნიდა ყველა დისიდენტს, გინდ ებრაელი ყოფილიყო იგი, გინდ პროტესტანტი და გინდ მართლმადიდებელი ქრისტიანი.

დედის დაკვირვებული თვალი ნათლად ხედავდა, რომ მისი ვაჟი არ იყო სამსახურისთვის დაბადებული. ისიც იცოდა, რომ პონორარი, რომელსაც პარი თავის ლექსებსა თუ სტატიებში იღებდა, ბინის დასაქირავებლადაც კი არ კმაროდა. დიდად საგრძნობი და ფასეული არც სოლომონის დახმარება იყო, ამიტომ ფრაუ ბეთი წელზე ფეხს იდგამდა და დანაზოგს მთლიანად შეიღს აძლევდა ხოლმე. მაგრამ ტალერები — ტალერებად, მთავარი, რაც პაინრიხს სწავლის დროსაც და ლიტერატურული მუშაობის წუთებშიც ძალას აძლევდა, დედისეული გულის სითბო იყო, რომელიც პოეტს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჰყვა.

გარდა იმ მშვენიერი სონეტისა, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს, პარიმ ბევრი ლექსი თუ პროზაული სტრიქონი უძღვნა დედას. ჩვენ ახლა ფრაუ ბეთი გელდერნისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი სონეტით დავკმაყოფილდეთ (იგი ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დაიწერა):

შმაგი ოცნებით ატანილმა, მე თითქოს გუშინ
დაგტოვე, დედა, რომ დამეველო ქვეყანა ვრცელი,
რომ ამა სოფლად სიყვარული მენახა წრფელი
და სიყვარული სიყვარულით ჩამეკრა გულში.

რა მოსახვევეში არ ვეძებდი ყარიბ კაცივით,
რომელ კარებთან არა მქონდა ხელი გაწვდილი!
ვითხოვდი მცირე მოწყალებას, ბედით დაცდილი,
და ცივ სიძულვილს მთავაზობდა ყველა დაცინვით.

მარად სიყვარულს ვესწრაფოდი, ვეძებდი მარად,
ვერსად ვიპოვნე სიყვარული ნუგეშად, ფარად,
და შინ დაბრუნდი დაქანცული, დარდით სწეული.

შენ შემეგებე, მიღიმოდა მე შენი სახე,
და, ღმერთო ჩემო! შენს თვალებში დაბოლოს ვნახე
ტკბილი, ნანატრი სიყვარული, დედისილოოი.*

* აკ. გელოვანის თარგმანი.

ფრაუ ბეთი გამოკეთდა და მალე ფეხზე დადგა. პაინრიხი ისევ მიუჯდა საწერ მაგიდას, წერდა ლექსებს, სტატიებს, მუშაობდა „მოგზაურობის სურათებზე“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე აკრძალეს მეტერნისის ავსტრიაში, პრუსიასა და გერმანიის მრავალ პატარა სახელმწიფოში.

მალე გარდაიცვალა პარის საყვარელი გადია — ურსულა ციპელი. იგი პატივით დაკრძალეს დიუსელდორფის სასაფლაოზე. პარი ბავშვებით ტირიდა.

დედა მარტო რომ არ დარჩენილიყო დაცარიელებულ სახლში, პარიმ, დის და ძმის დაჟინებული რჩევით, გადაწყვიტა, დაოჯახებულიყო.

ცოლად მატყილდა ზონტაგი შეირთო, გეტინგენელი ადვოკატის ქალიშვილი.

ლენა

პაინრიხის თავზე თანდათან იქუფრებოდა ცა, მუქარით იგრავნებოდნენ შავი ღრუბლები.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ როცა „მოგზაურობის სურათების“ მეორე ნაწილი — „ჩრდილოეთის ზღვა“ და „იდეები“ — ცალკე წიგნად დაიბეჭდა, იგი გამოსვლისთანავე აკრძალეს, იმდენად აშკარად იყო მასში გამოკვეთილი პაინეს რომანტიზმის რევოლუციური ხასიათი.

მკითხველს ახსოვს პაინეთა ოჯახის აღფრთოვანებული სიმპათია ნაპოლეონისადმი, რაც პარის ბოლომდე გაჰყვა და ზემონახსენებ წიგნშიც მკაფიოდ იგრძნობოდა (ისევე, როგორც პოეტის ადრინდელ ბალადაში „ორი გრენადერი“). ნაპოლეონი პაინესათვის შექმნილია „იმ მასალი-საგან, რომლისგანაც ღმერთებს გამოჰკვეთენ ხოლმე“, ბონაპარტი მას გამოჰყავს ძველი სამყაროს რღვევის სიმბოლოდ. პარის სურდა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეები თავისი ქვეყნის გამოსაღვიძებლად მიემართა. 1830 წლის 1 ივლისს იგი დღიურში წერდა: „მართალია, მე შევძელი ამ მხვრინავი გიგანტის (გერმანიის. — ვ. მ.) სუსტი ცხვირისცემინება გამომეწვია, მაგრამ სულ ვერ შევძელი მისი გამოღვიძება“.

პაინე მხოლოდ ზოგადად რეაქციას რადი ებრაოდა. მისი სატირის მახვილი არ ინდობდა არა მარტო იმ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც რეაქციას კბილებით იცავდნენ, არამედ იმ ლიტერატორებსაც, ვინც რევოლუციური რომანტიზმის ამა თუ იმ წარმომადგენლის წინააღმდეგ გამოდიოდა (პლატენს, ბერნეს, ტიკსა და სხვებს).

ღიას, ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჰაინე მარტო პრუსიულ რეაქციას ებრძოდა. აი, რას წერდა იგი ინგლისის, „თავისუფლების ამ ციტადელის“ შესახებ: „წყეული ქვეყანა, სადაც მანქანები ისე იქცევიან, როგორც ადამიანები, ხოლო ადამიანები — როგორც მანქანები“, ამერიკას კი „თავისუფლების ვეებერთელა საპყრობილეს“ უწოდებდა, სადაც „მონობის უხილავი ჯაჭვები“ უბრალო ადამიანს სულს უბორკავენ და უხუთავენ.

აღფრთოვანებით შეხვდა პარი 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციას. ეს ამბავი მან კუნძულ ჰელგოლანდზე შეიტყო, სადაც დასასვენებლად და სამკურნალოდ იმყოფებოდა (კუჭ-ნაწლავი და ღვიძლი აწუხებდა). აი, როგორ აღწერს იგი ამას: „მატერიკიდან მივიღე ახალი გაზეთების პაკეტი, რომელიც სავესე იყო ცხელ-ცხელი ამბებით. ეს იყო გაზეთში გახვეული მზის სხივი...“ ჰაინე ახალი ენერგიითა და ბრძოლის უინით აღივსო. „მე შვილი ვარ რევოლუციისა, — წერდა იგი. — სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ გვირგვინით შევიმკობ თავს და ჩანგი, ჩანგი მომეცით, რომ ვიმღერო საბრძოლო ჰიმნი!.. მე მთლიანად სიმღერა და სიხარული ვარ, მე ვარ მახვილი და ცეცხლის ალი!“

რაღა თქმა უნდა, ასეთი იდეებითა და მისწრაფებებით აღსავსე პოეტს რეაქცია დიდხანს არ გაახარებდა და მხოლოდ მისი ამა თუ იმ ნაწარმოების აკრძალვით არ შემოიფარგლებოდა.

ღიას, პოლიციას არ ეძინა...

იმ დილას საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა პარი. ესიზმრა, ვითომ ქალაქის ფართო მოედანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. თვითონაც მათ შორის იყო, ოღონდ არ იცოდა, რა ხდებოდა. ვისაც კი გამოელაპარაკა, ყველამ პირი იბრუნა მისგან. გაბმული ზუზუნი და ყაყანი იდგა. უცებ მზეს შავი ღრუბელი აეფარა და ირგვლივ თვალშეუდგამი წყვილიაღი გამეფდა. ხალხის სმაური მიწყდა — ყველანი ერთბაშად გამქრალიყვნენ და პარი მარტოდმარტო დარჩა უკუნ სიბნელეში. ერთბაშად იჭექა, იქურობა შეზანზარდა. პარიმ აიხედა — ციდან მისკენ ვერცხლისფრად მოლაპლაპე ვეება ურჩხული მოჰქროდა, ღია პირიდან ცეცხლის შადრევანს აფრქვევდა, საცრისოდენა თვალები ავად უელავდა. იგი პარის წინ, მოედანზე დაეშვა და უცებ სისხლით მოსვრილ, ნაჯახშემართულ ჯალათად იქცა. მოჩვენებამ გადაისარსარა, ნაჯახი მოიქნია და... პარი საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. ოფლში ცურავდა, თუმცა ხელ-ფეხი გაყინული ჰქონდა. გულს ბაგაბუფი გაუდიოდა.

„ეს რა საშინელეზა ვიხილე! — გაიფიქრა პარიმ, გონს რომ მოეგო,

და მეუღლის საწოლს გადახედა. მატილდა ამდგარიყო და, ეტყობა, სამ-
ზარეულოში საქმიანობდა. — სიზმრისა დიდად არ მჯერა, მაგრამ... რა-
ღაც წინათგრძნობები მაქვს და ვაითუ ეს კომშარი ცუდად ამიხდეს...“
— ოფლით დანამული შუბლი შეიმშრალა და საწოლიდან წამოდგა.

დედასთან ყოველთვის და ყოველივეში გულახდილი იყო. მაგრამ ახ-
ლა გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა ფრაუ ბეთისათვის — დედა ახალნა-
ავადმყოფარი იყო და ჯერაც სუსტად გრძნობდა თავს.

ცოლსაც დაუმალა კომშარის ამბავი.

— აბა, ერთი გახედე, უკვე ღვას ქუჩის კუთხეში ჩემი მეგობარი? —
ჰკითხა მატილდას, როცა საუზმის შემდეგ მეუღლემ სერთუკი მიუმარ-
ჯვა ჩასაცემლად.

— შენი მეგობარი, ხომ? — მწარედ გაეცინა ქალს. — უკვე გავი-
ხედე. არაეინ ჩანს.

პარის „მეგობარი“ — პოლიციის დაქირავებული ჯაშუში დროდა-
დრო გამოჩნდებოდა ხოლმე და, აგურისფერი უშნო სახლის კედელს ზურ-
გით აკრული, ჰაინეების სახლს უთვალთვალებდა. ჰაინრიხმა მეგობრები
გააფრთხილა და ისინი ამ ბოლო ხანს იშვიათადღა დადიოდნენ მასთან
სტუმრად.

— ლუდის გადასახუხაყად წავიდა ალბათ, — თქვა პარიმ. — მასაც
ხომ აქვს უფლება, შეისვენოს და ყელი გაისველოს!

— სულ ხუმრობ, პარი... მე კი შიში მიპყრობს...

— უფრო ძლიერი მეგონე, ეჰ! — დასცინა ქმარმა.

— საით მიდიხარ ასე ადრიაანად?

— გამომცემლობაში. მაურერი მელიოდება. დედას მოუბოდიშე ჩემს
ნაცვლად, რომ გამოუმშვიდობებლად მივდივარ, — პარიმ ლოყაზე ხე-
ლი მოუთათუნა ცოლს და კარი გაიხურა.

მზე მოძლიერებულიყო, ლაჩვარდისფერ ცაზე ღრუბლის ფთილაც
კი არ ჩანდა, ქუჩაში ყვავილების სურნელი იდგა, ჩიტები ხალისიანად
ჟღერტულებდნენ. პარის კი წუხანდელი კომშარის შემდეგ სული დამ-
ძიებოდა.

თავმართული, წარბშეკრული მიაბიჯებდა. აქა-იქ გამეღეღები ეს-
ალმებოდნენ. თუმცა ზოგი პირს იბრუნებდა მისკან ან ქუჩის მეორე
მხარეს გადადიოდა.

„ესეც ჩემი სიზმარი!“ — გუნებაში მწარედ ჩაიცინა პარიმ.

მოედანზე გავიდა თუ არა, თეატრის შენობის კუთხეში ორი პოლი-
ციელი და ერთი მოქალაქე დალანდა. ჯგუფად იდგნენ და საუბრობ-
დნენ. პარის გამოჩენისთანავე მოქალაქე სწრაფად გაშორდა პოლიცი-

ელებს. ჰაინრიხმა თავისი „მეგობარი“ შეიცნო. შეუჩერებლად განაგრძო გზა, მაგრამ ზურგში კარგა ხანს გრძობდა იმ ორის გამსჭვალავ მზერას.

„გამომცემლობაში მისვლა ახლა არ ივარგებს, ამ ნაძირალას კვალი უნდა აეუბნო!“ — გაიფიქრა ჰაინრიხმა და თავისი კარგა ხნის უნახავი უახლოესი მეგობრის სახლისკენ გასწია. შინ დაუხვდნენ. იქ კარგა ხანს დაჰყო. ამაოდ ელოდა მის გამოსვლას მოპირდაპირე სახლის კედლის კუთხეს ამოფარებული იმედგაცრუებული ჯაშუსი, რომელსაც პარიმ მეტსახელად პოფრატ¹ შეარქვა. როგორც კი ჯაშუსი იქაურობას მოსცილდა, ჰაინრიხმა დრო იხელთა, მსწრაფლ გამოვიდა მეგობრის სახლიდან და გამომცემლობისკენ გაეშურა.

შუადღე გადასული იყო, როცა პოეტმა გამომცემლობის კარი შეაღო. მაურერმა პატივით მიიღო იგი, ფეხზე წამოუდგა, ხელი ჩამოართვა. პარიმ მას თავისი ბოლოხანს დაწერილი ლექსები გაუწოდა და ფანჯარასთან მიდგმულ სეარძელში ჩაეშვა. მაურერი მაუციდას მიუჯდა, ლექსები გადაიკითხა! და აღტაცებული დარჩა.

— მშვენიერია, ბრწყინვალეა, პარი! — გახარებული გამომცემელი კომპლიმენტებით ამკობდა პარის. იქვე ორიოდე უმნიშვნელო შენიშვნაც მისცა.

ლექსებზე საუბარს რომ მორჩნენ, მაურერმა მეგობარი თავის მაგიდასთან მიიწვია და ხმადაბალი საუბარი გაუბა, ეჩყობა, ეშინოდა, ყური არავის მოეკრა მათი ლაპარაკისათვის, თუმცა ოთახში სხვა არაიქნ იყო.

— პარი, მეგობარო! ძალიან მიძნელდება, მაგრამ რადგანაც მეტი გამოსავალი არა მაქვს, ამიტომ პირდაპირ უნდა ითხრა: გუშინ ჟანდარმერიაში დამიბარეს. ვილაყას თაქსმენიყარ პოლიციის შიოთან. შენი ლექსების თაობაზე გამაფრთხილეს. „თუ კიდევ გაბოროდ რა პარის ლექსებს დაბეჭდავ, საპატიმრო არ ატყდებაო“, — ასეთნაირად „დამამიძნელეს“.

პარი მცირე ხანს უხმოდ იჯდა, მერე ნელა წამოდგა და ისე, რომ მეგობრისთვის თვალებში არ შეუხვდავს, ასე უთხრა გვერდით მჯდომ მაურერს:

— ჩემო მეგობარო! მძიმე ვუყარი. რომელიც მე ვიტივრთო. თაჯადვე უნდა ვზიდო. ეს ჩემი ვალია. შენ კი ჩემი გულისათვის განსაცდელში ვერ ჩავაგდებ! — ეს უთხრა, თავისი საქალაღდე აიღო და წასვლა დააპირა, მაგრამ მაურერი სწრაფად გათაოდაა წინ.

— არა, პარი, მეგობარო! — ერთყარი მობოღიშებოო უთხრა და მკლავში ხელი მოკიდა. — თუნდაც მეორე დღესვე ჩამომახრჩონ, ამ ლექსებს მაინც დავბეჭდავ!

ჰაინრიხი მალბა, მაურერს მაგრად ჩამოართვა ხელი, გაულიმა და წავიდა.

შინ რომ დაბრუნდა, უკვე საღამო ივანებდა. ფრაუ ბეთის ესადილა და თავის ოთახში ისვენებდა. პარიმ შეუარა. დელამ ალერსიანი ღიმილი შეაგება თავის საამაყო ვაჟს.

— როგორაა შენი საქმეები? — ჰკითხა.

— კარგად, დედა.

— ღმერთი გფარავდეს, პარი. მაგრამ რატომღაც გული მეკუშმება. ასე მგონია, არც შენა ხარ მშვიდად.

პარიმ მზერა აარიდა.

— მაპატიე, დედა, მცირეოდენი სამუშაო მაქვს. შენც დაისვენე. ნავახშმევს ვისაუბროთ, ბუხართან... მე ნასადილევი ვარ და ჩემს კაბინეტში წავიმუშაებ.

— კეთილი.

ვახშმის მაგიდას სამნი მიუსხდნენ. ორ-სამჯერ უმნიშვნელო ფრაზებით გაეხშირნენ ერთმანეთს. როცა მოახლემ, რომელიც, ამავე დროს, მზარეულის მოვალეობასაც ასრულებდა, მაგიდა აალაგა, ბუხართან გადაინაცვლეს.

ერთხანს დუმდნენ.

— მაურერს ძალიან მოეწონა ჩემი ახალი ლექსები! — ცოლსა და დედას ახარა პარიმ. — შემპირდა, აუცილებლად დაგებეჭდავო.

— თუ ძვირად არ დაუჯდა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მათილდამ.

პარიმ სწრაფი მზერა შეავლო, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა, დედა შეეკითხა:

— დღეს კურტთან იყავი, ჰაინრიხ?

— ვიყავი, — გაკვირვება შეეტყო პარის. — შერე რა? ამდენი ხანია, არ მინახავს და ვიდრე გამომცემლობაში მივიდოდი, შევუარე, — რაც შეეძლო, მშვიდად თქვა, მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, არ უხსენებია.

— რა არის, მოხდა რამე?

ფრაუ ბეთი საქსოვს გადასწვდა.

— შენს დაბრუნებამდე კურტის მეუღლე იყო ჩვენთან, — თქვა მათილდამ. — კურტი დაუკავებიათ, მისი ოთახი გაუჩხრეკიათ.

— რას ეძებდნენ? — მხრები აიჩიჩა პარიმ.

— რასაც ეძებდნენ, უპოვნიათ — შენი „ჩრდილოეთის ზღვა“ და „იდეები — წიგნი Le Grand“. იგი აკი აკრძალულია. წაუღიათ, როგორც ნივთიერი მტკიცება. საცოდავი კათარინა გაგიყუბას იყო.

— ბნელეთის მოციქულები! — კბილები გაასრჭიალა ჰარიმ. — ემ-
მაქსაც დაულახვრავს მაგათი თავი და ტანი! — და თავი ხელებში ჩარგო.

მეორე დილით პარი ადრიანად გაეშურა გამომცემლობისაკენ. გადა-
წყვეტილი ჰქონდა, უკანვე წამოელო თავისი ლექსები, რომ ამით მაუ-
რერისათვის საფრთხე აეცილებინა.

დააგვიანა: მოედინიდან ბლეგმენშტრასეზე შეუხვია თუ არა, გამომ-
ცემლობის შენობის წინ ცხენებშებმული შავი ფურგონი შენიშნა. ფურ-
გონთან სამი პოლიციელი იდგა. პარი სახლის კუთხეს ამოეთარა, და ის
იყო, გამომცემლობის შენობიდან ორმა ჟანდარმმა ზურგსუკან ხელებ-
შემოწყობილი მაურერი გამოიყვანა. მათ კვალდაკვალ შენობიდან „მე-
გობარი“ ჯაშუში გამოძვრა, მიიხედ-მოიხედა, ფურგონს გვერდი აუარა
და უახლოეს შესახვევეში გაუჩინარდა. მეეტლემ ცხენებს შეუძახა, მათ-
რახი გაატყლამუნა და ფურგონი რახრახით დაიძრა ჟანდარმერიის შე-
ნობის მიმართულებით.

პარის რაღაც ჩასწყდა გულის სიღრმეში. თავს დამნაშავედ გრძნობ-
და — ცხადია, მაურერი მისი ახალი ლექსების გამო დააპატიმრეს.

რა უნდათ მისგან, რას ერჩიან?! მას ხომ გერმანია არ სძულს, პი-
რიქით, უნდა, რომ რუტინა დაინგრეს და ქვეყანა პროგრესის გზას და-
ადგეს! ამას უთვლიან დანაშაულად?! ამის გამო ღვენიან?! თუმცა რა
გასაკვირია, ჟანდარმერია ხომ რეაქციული მთაერობისა და ფილისტე-
რების ინტერესებს ემსახურება, ვითომდა საზოგადოების ღირსებას იც-
ავს „უზნეთა“ ხელყოფისაგან!

გავლენ წლები და ლექსში „ბავში“ ჰაინე დაწერს:

ამინდები ცვალებადი არის ჩვენსას,
სასტიკია ჩვენი ძველი პროვინცია,
ბავშვისა თუ ბებრის ტიტვლად გამოჩენას
კრძალავს მკაცრი ზნეობა და პოლიცია...*

განთიადს აღარაფერი უკლდა, როცა ჰაინეების სახლის კარზე ჯერ
ზარი დარეკეს, მერე კი ბრახუნი აუტეხეს კარს.

ოთახში, სადაც პარი შეიყვანეს, არავინ იყო. პოლიცმაისტერის მაგი-
დიდან მოშორებით, თითქმის შუა ოთახში, განცალკევებით იდგა მალალ-
საზურგიანი გრეხილი სკამი. ჰაინრიხი იმ სკამზე დასვეს.

ფანჯრებზე ჩამოფარებული სქელი ფარდებიდან კაბინეტში ძლივს

* აკ. გელოვანის თარგმანი.

აღწედა დღის ნათელი. ნახეკრად ბინდბუნდი იდგა. პაინრიხს შემცივ-
ნულივით შეაურჯოლა. საზიზლარი რამ იყო ეს უცნაური სკამი, ისეთი
შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეშაფოტზე, ადამიანის სისხლით მოთხვრილ
ხის ვეებერთელა საჯალათო კუნძზე მჯდარიყოს. ხელები ისე მომუშტა,
ფრჩხილები ლამის ჩააკვდნენ ხელისგულებს. კარგა ხანს მოუხდა ლო-
დინი.

ბოლოს კარი გაიღო და კაბინეტში ტანდაბალი, საკმაოდ ჩასუქებუ-
ლი, შემელოტებული და ნიანგივით უმოდრაო თვალბდაკარკლული კაცი
შემოვიდა. მას პაინრიხისკენ არც გაუხედავს, ისე მიაშურა ტლანქად ნა-
ხელავ მუქ ყავისფერ საწერ მაგიდას, სავარძელში მოთავსდა და სქელი
საქალაღდე გაშალა. პარიმ იცნო — ნანახი ჰყავდა ეს კაცი, ქალაქის პო-
ლიცმაისტერი.

პარის სკამის გვერდით მდგარმა, ჭოკივით გამხმარმა, აწოწილმა
პოლიციელმა ჩაახველა.

— თქვენი ბრძანებით გაახელით, თქვენო კეთილშობილებავ...

შეფმა თავი ასწია და ვითომ ახლალა შენიშნა მის წინაშე მჯდარი
კაცი.

— ვინა ხართ თქვენ?! — ვირთხასავით წრიბინა ხმით ჰკითხა. პაინ-
რიხს კინალამ გაეცინა, იმდენად არ შეეფერებოდა ამ ხმას მისი პატ-
რონის მბრძანებლური კილო. უცებ დამშვიდდა.

— მე პაინრიხს პაინე ვარ! — მკაფიოდ, თითქმის დამარცვლით თქვა.
— გერმანელი პოეტი პაინრიხს პაინე! — დააზუსტა.

პოლიცმაისტერმა ჩაიქირქილა, მაგრამ მაშინვე დასერიოზულდა.

— ყოფილი ებრაელი. ამჟამად პროტესტანტი. ასეა, არა?!. პრუსი-
ის მოძულე და მოშხამული ბონაპარტისტი. ასეა, არა?!. — წინ გად-
მოიხარა, თვალები კიდევ უფრო გადმოკარკლა. — რეაქციის მტერი და
რევოლუციის ტრიბუნი. ასეა, არა?!. —

პაინრიხი უკვე აღარ ღელავდა, სავსებით მშვიდად გრძნობდა თავს.
ის კი არა, გადახარხარებას აღარაფერი უკლდა, ისეთი სასაცილო და,
ამასთან, საცოდავი ჩანდა ეს პოლიციის ვირთხა! პოლიცმაისტერს მზე-
რა აარიდა და მის ზურგსუკან, კედელზე მიკრულ ორთავიან არწივს
ახედა.

— ვიდრე ეს არწივი თავისი კლანჭებითა და სისხლიანი ნისკარ-
ტით გერმანიის სხეულს ჯიჯგნის, — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით და
მტკიცედ თქვა, — მე ჩემი კალმით დღედაღამ ვიბრძოლებ მის წინა-
აღმდეგ! ვიბრძოლებ მანამ, სანამ მის სულსა და სხეულს რაინის ტალ-
ღები არ წაიღებენ, ხოლო ბუმბულს დასავლეთის ქარი უგზოუკვლოდ

არ მიმოფანტავს ევროპის მინდვრებსა და ხევსუევებში! — პარი წელში გაიმართა. — თქვენ არ შემცდარხართ, პერ — დიას, მე რეაქციის მტერი და რევოლუციის ტრიბუნი ვარ, მე — გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე!

პოლიცმაისტერმა გაშლილი ხელისგულები დააყრდნო მაგიდას, წამოდგა და დაუფარავი ზიზლით შეხედა მის წინაშე გრეხილ სკამზე მჯდომ წელში გამართულ, ამაყად თავაწეულ კაცს, რომლის მხერამიც უტეხი ნება გამოსჭვოდა.

ჰაინრიხის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მას, სახელოვან გერმანელს პოეტს, სამშობლოდან აძევებდნენ! სამიოდე თვეში გერმანიის საზღვრები უნდა დაეტოვებინა! გზა ხსნილი ჰქონდა, წაბრძანებულყო, საითაც სურდა, ოლონდ მისი ადგილი უკვე აღარც დიუსელდორფში იყო, აღარც ბონში, აღარც ჰამბურგში, არც სხვაგან — გერმანიის ოცდათექვსმეტი ჯუჯა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე!..

თითქოს საკუთარ თავზე დაეწეროს ჰაინრიხის ლექსი, რომელიც მან წლების შემდეგ ცნობილ პოლიტიკურ პოეტს გეორგ ჰერვეგს მიუძღვნა. ჰერვეგი, ვისაც პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხემ „პატიოსანი მტერი“ უწოდა, ამავე მეუემ გერმანიიდან გააძევა. აი, ერთი სტროფი ამ ლექსიდან:

მსახურთა ბრბო და ლანძღვა-გინება,
გვირგვინის ნაცვლად — დამპალი ვაშლი!
ყოველი მხრიდან ჟანდარმი დგება
და საზღვარს აღწევ ამ წვაოებაში.*

სერიოზულად ჯანმრთელობაშერყეულ პოეტს მკიმე სულიერი ტრავმაც მიაყენა პრუსიულმა რეაქციამ.

სამიოდე თვეს საზღვარგარეთ იმკურნალა. მერე დაბრუნდა და გასამგზავრებლად სამხადისს შეუდგა.

— მე უკვე საკმაოდ მოხუცი ვარ, პარი! — უთხრა თვალცრემლიანმა ფრანუ ბეთიმ საყვარელ ვაჟს. — დედის გული და სული თან მოგყვება, მაგრამ ამ სახლს ვერ დავტოვებ და უცხოეთში ვერ ვიცხოვრებ. დღენიადაგ შენზე ვილოცებ, ჩემო შვილო...

1831 წლის მაისში ჰაინრიხ ჰაინე, საკუთარი სამშობლოდან გაძევებული დიდი გერმანელი პოეტი, მეუღლითურთ საფრანგეთს გაემგზავრა.

* აკ. კელოვანის თარგმანი.

ამ განდევნით მიყენებული შურაცხმყოფელი ტკივილი გაუზიებულ
ლი არც ჰქონდა, რომ პარიზში ცნობა მიიღო — გარდაცვლილიყო მისი
მასწავლებელი, ყველა დროის გერმანიის სიამაყე, დიდი ფილოსო-
ფოსი ავგუსტ გუსტავ შლეგელი.

ტკივილს ტკივილი დაემატა...

მამ — საფრანგეთი... პარიზი...

კოლიტიკური ენიგრანტი. კირველი წლები

შემთხვევითი როდი ყოფილა ემიგრანტ პაინრის პაინესათვის საცხ-
ოვრებელ ადგილად პარიზის არჩევა. მას უყვარდა ეს ქალაქი, აკი პარი-
ზიდან დაუბერა ევროპაში პროგრესის სიომ, რომელიც ქარიშხლად უნ-
და ქცეულიყო. საფრანგეთის დედაქალაქში საკმაოდ ძლიერი იყო გერ-
მანული დიასპორა, აქ ცხოვრობდნენ გერმანელი ემიგრანტები, ცნობი-
ლი პოეტები, თავისუფლად და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო
მოღვაწენი.

პარის თვალწინ მთელი თავისი დიდებულებით გადაიშალა სენის
ორივე ნაპირზე გაშლილი პარიზი — იმდროინდელი ევროპის ერთ-ერ-
თი უდიდესი, ულამაზესი ქალაქი და პოლიტიკურ-კულტურული ცენტ-
რი. ქალაქი მაისის ალერსიანი მზის სხივებით იყო გაჩახჩახებული და
პაინრისმა სხეულში საოცარი სიმსუბუქე და შვება იგრძნო, როცა ფილ-
ტრებში პარიზის ჰაერმა დაუარა.

ცოლ-ქმარი დროებით ქალაქის ცენტრში, სენის ნაპირას, მაღალი
ხეებით მოჩრდილულ პატარა, მყუდრო სასტუმროში დაბინავდა. ბარგი
გადმოტვირთეს, დაალაგეს, მოეწყვენენ, სამი თვის ქირა წინასწარ გადა-
იხადეს (ამას პარის დანაზოგისა და სოლომონის მიერ „შემოწირული“
თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დასჭირდა). მერე მთელი ორი დღე ქა-
ლაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას მოანდომეს.

— რა საოცრებაა! — ჩურჩულებდა აღფრთოვანებული მათილდა და
გაოცებული ათვალიერებდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის⁹ დიდებულ
შენობას.

— რა სიმდიდრე და ფუფუნებაა! — აღმოსდებოდა ხოლმე ლუკ-
რის,¹⁰ ტიუილრის,¹¹ პალე-როიალის¹² ხილვისას.

— რა სივრცეა! — ამოიკვნესა, როცა ლუი XV-ის ფართო მოედანზე
გავიდნენ.

ხოლო როცა ბასტილიის¹³ ქუფრი შენობა იხილეს, პარიმ მხარზე
ხელი ჩამოადო მათილდას და უთხრა:

— აი, აქედან დაიძრა რევოლუციისა და თავისუფლების ქარიშხალი!.. როგორც თავის დროზე ბასტილია დაეცა, იმგვარადვე უნდა დაეცეს პრუსიული რეაქცია! — და გულში დაუმატა: „ასე მოხდება, თუმცა არ ვიცი, მოვესწრები თუ არა ამას...“

ჰაინე საკმაოდ კარგად იცნობდა და დიდი პატივითაც ეპყრობოდა ფრანგულ მწერლობას. მიუხედავად იმისა, რომ სულითა და გონებით კლასიციზმის წინააღმდეგი იყო, უყვარდა დიდი დრამატურგები — კორნელი და რასინი; აღმერთებდა მოლიერს, რომლის მძაფრი სატირაც ესოდენ ახლობელი იყო მისთვის; აღფრთოვანებული იყო ლაფონტენით. ჯერ კიდევ ბავშვობისას, ყმაწვილობის ასაკში, დედისაგან მალულად კითხულობდა ვოლტერის „კანდიდს“, „ზადიგსა“ და „ბაბილონის პრინცესას“; უყვარდა ჟან-ჟაკ რუსო, რომლის „ემილის“ იდეებს უქადაგებდა შვილს ფრაუ ბეთი, და ბომარშე, რომელიც მამინ გარდაიცვალა, როცა პარი სულ რაღაც ორიოდე წლისა იყო.

ეს — ადრინდელი... ახლა კი პარიზის ლიტერატურული სალონი სულ სხვა ატმოსფეროთი სუნთქავდა. განახლების, პროგრესის, რევოლუციურ ქარტეხილთა და იდეათა ქარიშხალი უბერავდა ყველგან და ყოველმხრივ.

— ახ, ჰაინე?! მამ, ეს თქვენა ხართ?! — ხელი გაუწოდა პარის პიერ-ჟან ბერანჟემ, როცა მას გერმანელი ემიგრანტი წარუდგინეს. — მე ვიცნობ თქვენს „სიმღერების წიგნს“. დიდებულია!..

პარის ესიამოვნა უკვე აღიარებული მეამბოხე რომანტიკოსის ამგვარი შეფასება.

— თქვენი „სიმღერები“, ბატონო ჩემო, უბადლოა, — არა მხოლოდ სამაგიეროს მიძღვნის მიზნით, არამედ სავსებით გულწრფელად მიმართა ჰაინემ, და თავმდაბლად დასძინა: — ჩემი „სიმღერების წიგნი“ თქვენი „სიმღერების“ მხოლოდ უმცროს ძმად შეიძლება ჩაითვალოს...

— და მაინც, — კომპლიმენტისთვის ყურადღება არ მიუქცევია ბერანჟეს, — მე უფრო თქვენი „მოგზაურობის სურათები“ მომწონს, რომელმაც უკვე საკმაოდ შეურყია საფუძველი რეაქციას! საერთოდ, მე თქვენ მომწონხართ, ჰაინე!

ბერანჟეს მიმართვაში, ცოტა არ იყოს, მფარველური კილო იგრძნობოდა, ასეთ რამეს პარი სხვას არ შეარჩენდა, მაგრამ პიერ-ჟან ბერანჟე, ჯერ ერთი, მასზე მთელი ჩვიდმეტი წლით იყო უფროსი, გარდა ამისა, შეურიგებელი მეამბოხის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ამ მეამბოხეობისათვის ბასტილიის ციხის კედლები ახეხინეს ბარეორჯერ,

ამიტომ პაინრიხმა მხოლოდ გაიღმა და მადლობის ნიშნად თავი დაუხარა ბერანეს.

პარიზში ცხოვრების პირველსავე წელს პაინემ გაიცნო ვიქტორ პიუგო. მან იცოდა, რომ პიუგო ადრე როიალისტი იყო, მაგრამ უკვე 1823—1824 წლებში რომანტიკულ გამოცემა „ფრანგულ მუზაში“ მონაწილეობდა, ხოლო მისი დრამა „კრომველი“ ერთხმად აღიარეს დემოკრატიულად განწყობილ რომანტიკოსთა მანიფესტად. როდესაც პარი პარიზს ჩავიდა, ჯერ კიდევ არ იყო განუღებელი პიუგოს „ერნანით“ გამოწვეული ალტაცება, ხოლო მისი ლექსი „პიმნი“, რომელიც 1831 წლის ივლისის რევოლუციას ესმაურებოდა, თითქმის მთელმა პარიზმა ზეპირად იცოდა.

კასინის ქუჩა № 1-ში, სადაც იმხანად უკვე აღიარებული პროზაიკოსი ონორე დე ბალზაკი ცხოვრობდა (ამ დროისათვის, გარდა ბულვარული რომანებისა, მას გამოქვეყნებული ჰქონდა „ქორწინების ფიზიოლოგია“ და „შაგრენის ტყავი“), პაინემ, მასპინძლის გარდა, გაიცნო უორე სანდი (ავრორა დიუპენი), საკმაოდ შეუხედავი, მაგრამ რალაცნაირი შინაგანი ძალით აღსავსე ქალი, რომელიც მომავალში პოპულარული რომანისტი გახდა; ფრანგული პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენელი, პოეტური სიტყვის ვირტუოზად აღიარებული თეოფილ გოტიე; ალექსანდრე დიუმა — მამა, ვისი „ანტონიც“, რომანტიკულ-მეამბოხური სულით აღსავსე დრამა, სულ ცოტა ხნის წინათ პარიმ და მათილდამ პარიზის პრესტიჟული თეატრის სცენაზე იხილეს; პროსპერ მერიმე, რომლის წიგნიც — „კარლ IX-ის მეფობის ქრონიკა“, ძმათამკვლელი ომისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ მიმართული რომანი — გამოცემისთანავე (1829 წელს), გერმანიაში ყოფნისას წაიკითხა, და რომლის „მატეო ფალკონეთი“ და „ტამანგოთიც“ აღფრთოვანებული იყო. გაეცნო სხვა ლიტერატორებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც, რომლებიც საფრანგეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ პაინრიხი პარიზს ჩასვლისთანავე ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ლიტერატორის პოზიციიდან. მახვილი ხედვის მქონე პოეტი მალე დარწმუნდა, რომ ბურბონთა დამხობას ხალხისათვის გამარჯვება არ მოუტანია. 1830 წლის ივლისის რევოლუციამ მხოლოდ ის გააყეთა, რომ ერთი მონარქია მეორით შეცვალა, ფეოდალური არისტოკრატიის ნაცვლად მსხვილი ბურჟუაზია გაბატონდა, უბრალო, მშრომელი ხალხი კი ისევ უუფლებოდ დარჩა.

1831 წლის დეკემბრიდან 1832 წლის სექტემბრამდე პაინე აქტიუ-

რად თასამშრომლობდა აუგსბურგის „საყოველთაო გაზეთში“, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვრცელდებოდა და ათასობით მკითხველი ჰყვოდა. თავისი მიმართულებით გაზეთი რეაქციული იყო, მაგრამ ჰაინრიხს, მაინც ახერხებდა, თავისი სტატიებით სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე ებრძოლა რეაქციის წინააღმდეგ. ეს არ გამოპარვია მეტერნიხს, ევროპული რეაქციის მეთაურს, ვისი დაჟინებითი მოთხოვნითაც „საყოველთაო გაზეთმა“ შეწყვიტა ჰაინეს სტატიების ბეჭდვა. ეს სტატიები, რომლებიც საესე იყო საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებიდან გამოტანილი შთაბეჭდილებებით, მოგვიანებით ცალკე წიგნადაც გამოიცა, სათაურით „საფრანგეთის საქმეები“.

პარიზში ცხოვრების პირველ პერიოდში, თუმცა კი, ცხადია, ლექსებსაც წერდა, ჰაინე უმთავრესად პუბლიცისტად და კრიტიკოსად გვევლინება. სათაურით „სალონი“ მან ოთხ ტომად გამოსცა ფრანგული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვისილი წერილები, რომლებშიც მკაფიოდ ჩანს ჰაინეს პროგრესულ-რევოლუციური ტენდენციით გამსჭვალული ესთეტიკური პრინციპები. ამავე პერიოდში მან დიდი შრომა გასწია იმ მიზნით, რომ გერმანული მკითხველი გასცნობოდა ფრანგულ ხელოვნებასა და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს, და პირიქით, ფრანგი მკითხველისათვის მიეცა წარმოდგენა გერმანულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ხასიათის მისი სტატიები, რომლებიც ცალკე წიგნებადაც გამოიცა („ფილოსოფიის ისტორიისათვის გერმანიაში“ და „რომანტიკული სკოლა“), შორს სცილდებოდნენ ავტორისეული ჩანაფიქრის ფარგლებს და რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული იარაღის როლსაც ასრულებდნენ.

კრიტიკულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად ჰაინრიხი საკმაოდ აქტიურ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. გერმანულიდან ფრანგულად და, პირიქით, ფრანგულიდან გერმანულად თარგმნიდა და, ამრიგად, ფართო მკითხველს აცნობდა და აყვარებდა შილერისა და ლესინგის, ჰიუგოს, ბალზაკისა და ჟორჟ სანდის ნაწარმოებებს.

ჰაინრიხი პარიზის ლიტერატურული სალონების ხშირი სტუმარი გახდა. ფრანგებს მოსწონდათ ჰაინე — ნაზი ლირიკოსიც და, ამავე დროს, დაუნდობელი სატირიკოსიც, პიროვნება, რომელსაც ერთდროულად დიდი სიყვარულისა და გამანადგურებელი, ყოველის დამთრგუნველი სიძულვილის უნარიც ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ჰაინრიხი დაძაბულად, დღედაღამ მუშაობდა, საკუ-

თარ თავსა და სხეულს არ ინდობდა და ისედაც შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუუარესდა. მართალია, როცა საშუალება ეძლეოდა, მცირე ხნით ხან ნიცაში ისვენებდა მეუღლესთან ერთად, ხან იტალიაში მიემგზავრებოდა, მაგრამ დასვენების ეს თითზე ჩამოსათვლელი დღეები მხოლოდ რამდენიმე წვეთი იყო დაძაბული შრომის ოკეანეში. ყოველივე ამას მწვავე ნოსტალგიაც ერთვოდა თან. თითქოს პარადოქსია, მაგრამ მას ენატრებოდა და უყვარდა გერმანია, რომელიც სკულდა...

ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობით მიღებულმა ჰონორარებმა ჰაინრიხსა და მათილდას საშუალება მისცა, ბინა შეეძინათ. ამიერიდან მათ საკუთარი ჭერი ჰქონდათ. როცა შემოსავლის დანაზოგებიდან საგრძნობი თანხა დაუგროვდა, ჰაინრიხმა იგი დედას გაუგზავნა...

პარი — ფრაუ ბეთის:

„ჩემო ივირფასო და საყვარელო დედა!

ერთი თვეა, არ შეგხმიათ ივიართ. უნდა მაპატიოთ — ახალ წიგნზე ვმუშაობ და იმდენი საქმე მაქვს, დრო სადილ-ვახშმისთვისაც ძლივს მჩიება. მათილდა განუწყვეტლივ ბუზღუნებს, მაგრამ თქვენ იცით ჩემი ხასიათი — ვიდრე მიზანს არ მივალწევ, ვერ მოვისვენებ.

ჯანმრთელობის ამბავს მეკითხებით. გიპასუხებთ: ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ (არა და, თითქმის ყოველთვის რაღაც სტაკიოდა მუცლისა და წელის არეში. — ვ. მ.). არაფერი მაწუხებს, თქვენი და გერმანიის, ჩემი დიუსელდორფის მონატრების გარდა.

თქვენ მწერთ, კარგად ვარო. გულით მინდა, რომ მართლაც ასე იყოს, მაგრამ რამეს ხომ არ მიმაღვთ, დედა? გვედრებით, თავს მოუარეთ, ხომ იცით, მუდამ ჩემს გვერდით მეგულებით, ჩემი საყრდენი და იმედი ხართ.

ამასწინათ მესიზმრა: პატარა, სულ პატარა პარი ვიყავი, თქვენ — ჩემი ახალგაზრდა, ყველა დედამიწელ ქალზე ულამაზესი დედა, და ჩვენი სამზარეულოს ყავისფრად შეღებილ კარზე ასოების წერას მასწავლიდით... ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ...

მომწერთ, ყურადღებით გეპყრობიან თუ არა შარლოტა და მაქსიმილიანი.

მცირეოდენ თანხას გიგზავნით, ღვთის მადლით, მალე უფრო მეტს მოვახერხებ.

თავს მიხედეთ, დედა!..“

1834 წლის თებერვალში შვეიცარიის ქალაქ ბერნში დაარსდა ფარული რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოება „ახალგაზრდა გერმანია“. მას საფუძველი ჩაუყარეს უპირატესად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წრებიდან გამოსულმა ინტელიგენტ-ემიგრანტებმა, რომელთა მიზანი იყო გერმანიის აბსოლუტისტურ მთავრობათა დამხობა შვეიცარიიდან გაგზავნილი რევოლუციური რაზმების მეშვეობით. საზოგადოების მეთაურად აირჩიეს მწერალი და პუბლიცისტი, გერმანული პოლიტიკური ფელეტონის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლუდვიგ ბერნე, რომელიც უკვე 20-იან წლებში ილაშქრებდა მონარქისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის პოზიციასზე დადგა.

ჰაინრიხი იცნობდა ლ. ბერნესა და მის შემოქმედებას. შეიძლება ითქვას, მეგობრობდა კიდევ მასთან, თუმცა ბერნე ასაკით უფროსი იყო, და ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროგრესულ ჟურნალისტად თვლიდა მას. ჰაინეს პირველი საყვედური ბერნემ 1829 წელს გამოცემული თხზულებათა კრებულის გამო დაიმსახურა, სადაც გამოიხატა მისი, როგორც წერილბურჟუაზიული რადიკალის, შეხედულებები ზოგიერთი მწერლის შემოქმედების იდეურ-ესთეტიკურ შეფასებაში, განსაკუთრებით კი — გოეთეს შემოქმედებასთან დამოკიდებულებაში.

ჰაინე ინტერესით ადევნებდა თვალყურს „ახალგაზრდა გერმანიის“ და მისი მეთაურის საქმიანობას, უფრო კი მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში გავლენა ხელოსნებმა და მუშათა კავშირების წევრებმა მოიპოვეს. „ახალგაზრდა გერმანიისა“ და ჰაინეს მიზნები უმეტესწილად ერთმანეთს ემთხვეოდნენ და მალე ჰაინრიხი ამ საზოგადოების წევრი გახდა.

რეაქციამ დროებით იმძლავრა: 1836 წლის ზაფხულში გერმანელი ემიგრანტები მასობრივად გაასახლეს შვეიცარიიდან და „ახალგაზრდა გერმანია“ დაიშალა (იგი აღადგინეს 1845 წლის ოქტომბერში; მისი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ 1848—1849 წლების რევოლუციის დროს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის აჯანყებაში; საზოგადოებამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა 1850 წელს).

ჰაინე თავისი კალმითა და სიტყვით მხარში ედგა „ახალგაზრდა გერმანიასა“ და ლ. ბერნეს. როდესაც ვოლფგანგ მენცელი, შოვინისტ-რეაქციონერი მწერალი (ადრე — ზომიერი ლიბერალი), თავს დაესხა „ახალგაზრდა გერმანიას“ და, ამავ დროს, ნაციონალური პოზიციებიდან გააკრიტიკა გოეთე, ბერნემ მას უპასუხა გამანადგურებელი პამფლეტით „ფრანგიჰამია მენცელი“, ხოლო ჰაინრიხმა — მკაცრი წერილით „დამბეზღებლის თაობაზე“.

მაგრამ როდესაც, 30-იანი წლების ბოლოს, ლუდვიგ ბერნე ქრისტიანული სოციალიზმის მიმდევარი გახდა, ჰაინრიხმა, რომლის პრინციპულობაში მანამდეც ვერაინი შეიტანდა ექვსს, მის წინააღმდეგ გაილაშქრა წიგნით „ლუდვიგ ბერნე“ (1840 წ.) და პოემით „ათა ტროლი. ზაფხულის ღამის ზღაპარი“ (1841 წ.).

ბერნესთან და მის იდეებთან ბრძოლაში ჰაინეს მხარს უჭერდა კარლ მარქსი, რომელიც მას 1843 წლის დეკემბერში გააცნო არნოლდ რუგემ. ამ ნაცნობობამ და, საერთოდ, იმ სიმპათიამ, რომელსაც მარქსი და ენგელსი, კომუნიზმის იდეის ფუძემდებლები, ჰაინესადმი, როგორც პირონებისა და შემოქმედისადმი იჩენდნენ, ზოგ მკვლევარს საბაზი მისცა, ემტკიცებინათ, ჰაინე კომუნისტი იყო, მაგრამ ამ მტკიცებას არავითარი ნიადაგი და მყარი საფუძველი არ გააჩნდა. ამის დასტურია, თუნდაც, ჰაინრიხის შიში პროლეტარების წინაშე, რომელთაც შეუძლიათ, ვირთხის გუნდებით გამოძვინენ სოროებიდან და პირწმინდად გაანადგურონ ყოველივე ფსაეული. ისევ გაეუსწრებთ დროს და დავიმოწმებთ ლექსის — „მოხეტიალე ვირთაგვები“ — ფრაგმენტებს:

ქვეყნად არის ვირთაგვების ორი გვარი:
ვირთაგვები დამშეული და მაძლარი.
თუ მაძლრები შინ არიან დამშვიდებით,
მშიერები დაძვრებიან გაგიეებით.

არ იციან სიმშვიდე და დასვენება —
არ იქნება მაშინ მათი შეჩერება,
სულ გარბიან, თუ შიმშილმა ვადარია,
არ არჩევენ, დარია თუ ავდარია...

გამოცნობა სულ არ არის მათი ძნელი,
დრუნჩები აქვთ სახიფათო, საშინელი;
გაკრეჭილან, გეკონებათ მელოტები —
რადიკალურ და ვირთაგვეულ გემოვნებით...

ავხორცია ვირთაგვების ნაშიერი;
როცა იგი მწყურვალა და მშიერი,
არის მხოლოდ ჭამა-სმაზე გადასული,
არ ახსოვს, რომ უკვდავია ჩვენი სულა.

ასეთ ვირთხას უსაშველოდ აქვს სხვა მადა,
არ ამინებს ჯოჯოხეთი და არც კატა;
არც ფული აქვს, არც სამშობლო, არც ქონება,
ლამობს ქვეყნის გაყოფას და დამონებას.*

თითქოს მოულოდნელია „სიღეზიელი ფეიქრების“ ავტორისაგან პროლეტარიატის ვირთხების ჯგროსთან გათანაბრება, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოეტი აქ ზოგადად და კონკრეტულად მუშათა კლასს კი არ გულისხმობს, არამედ კომუნიზმის იდეებით შეიარაღებულ უქონელ მასას, მარქს-ენგელსის უღმერთო და უსამშობლო იდეებით აღჭურვილს, მასას, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი ფასეულობა არც წარსულში და არც აწმყოში.

ხოლო თავის „აღსარებაში“ შორსმჭვრეტელი პოეტი აცხადებს (მოგვიანებით ამასვე იმეორებს „ლუტეციაში“, რომელიც 1855 წელს — გარდაცვალების წინა წელს — არის დაწერილი), რომ იგი კომუნიზმის გამარჯვებაში ხედავს „საფრთხეს მთელი ჩვენი ცივილიზაციისათვის, იმ მონაპოვრისათვის, რომელიც მრავალ საუკუნეთა შრომის შედეგია, წინაპრების კეთილშობილი ძალისხმევის შედეგია“.

ყოველივე ამის შემდეგ, ვიმეორებთ, მძიმე შეცდომა და, უფრო მეტიც, მკრეხელობა იქნებოდა, ჰაინრიხ ჰაინესათვის, რევოლუციური რომანტიზმის დიდი წარმომადგენლისათვის, კომუნისტობა დაგვეწამებინა.

„ატა ტროლი. ზაფხულის ღამის სიზმარი“

თავის „ლუდვიგ ბერნეში“ ჰაინე ისეთი სიმძაფრით დაესხა თავს ბურჟუაზიულ და წერილობრივ ბურჟუაზიულ დემოკრატთა რეაქციულ შეხედულებებს, ისე ცხადად და სწორად წარმოადგინა ისინი კათოლიციზმისა¹⁴ და ტექტომანური ნაციონალიზმის¹⁵ სოციალურ ბაზად, რომ მთელი რეაქციული გერმანული (და არა მხოლოდ გერმანული) საზოგადოებრიობა ერთბაშად ამხედრდა პოეტის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მარქსი იმათ, ვინც „ლუდვიგ ბერნეს“ გამო თავს ესხმოდა ჰაინეს, „ქრისტიანულ-გერმანულ ვირებს“ უწოდებდა.

მაგრამ ჰაინრიხი როდი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც უკანდახვეა სჩვევიათ.

1841 წლის მიწურულს პოეტმა დაასრულა პოემა „ატა ტროლი“,

* თარგმნა აკ. გელოვანმა.

რომელიც ნაწილ-ნაწილ გამოაქვეყნა ჟურნალ „Zeitung für die elegante Welt“-ში (ცალკე წიგნად გამოვიდა 1847 წელს, ოღონდ საფუძვლიანად შეცვლილი ტექსტითა და ქვესათურით — „ზაფხულის ღამის სიზმარი“). პოემას საფუძვლად დაედო 1841 წლის ზაფხულში პირენეის მთებში, კურორტ კოტერეზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი (ივლისში აქ მან დაათვალიერა ცნობილი რონსევალის ხეობა, სადაც, გადმოცემით, ღალატით მოჰკლეს კარლოს დიდის დისწული როლანდი; რონსევალის ბრძოლა აღწერილია ძველ ფრანგულ ეპოსში „სიმღერა როლანდზე“).

ისევე, როგორც „ლუდვიგ ბერნეში“, პოემა „ატა ტროლშიაც“ იგრძნობა ჰაინეს ერთგვარი მსოფლმხედველობრივი კრიზისი. საქმე ისაა, რომ ის სიმპათია, რომელიც მას ადრე პროლეტარიატის მიმართ ჰქონდა, ნაწილობრივ შიშით შეიცვალა. 1841 წლის იანვარში აუგსბურგის „საყოველთაო გაზეთის“ რედაქტორ გუსტავ კოლბს პარი სწერდა: „მე მზარავს პროლეტარული ძალაუფლების საშინელება, და გამოგიტყდებით, შიშისგან კონსერვატორი გავხდი... შესაძლოა, გაგეცინოთ კიდევ ჩემი სიმხდალისა და სიფრთხილის გამო. საგანთა სიღრმეში ჩაეიხედე და უცნაურმა თავბრუსხვევამ შემბიჟრო: ვშიშობ, რომ უკან ვვარდები“.

(აი, კიდევ ერთი არგუმენტი იმათ წინააღმდეგ, ვინც ჰაინეს კომუნისტობას აბრალებდა).

თვით ჰაინრიხი ფრიად მაღალი შეხედულებისა იყო „ატა ტროლზე“. 1842 წლის ნოემბერში ჰაინრიხს ჰაინე ლაუბეს სწერდა: „ჩვენში დარჩე და, ეს ნაწარმოები ყველაზე მნიშვნელოვანია იმათ შორის, რაც კი დღემდე ლექსის სახით დამიწერია (თუ ჰაინრიხი პოემის მხატვრულ მხარესაც გულისხმობს, იგი აქ ნამდვილად არ სცდება. — ვ. მ.). უამრავი თანადროული ურთიერთობა, კადნიერი იუმორი — ხალხისათვის ეს მთელი მოვლენა იქნება“. რაც მართალია — მართალია. ჰაინეს იუმორი (უფრო ზუსტად — სარკაზმი) აქ ჭეშმარიტად „კადნიერია“. პოემის შესავალში ჰაინე მიმართავს თავის მოწინააღმდეგეთ და უმტიციებს: თქვენ ცრუობთ, „როდესაც ამტიციებთ, რომ მე დავცინი იმ იდეებს, რომლებიც კაცობრიობის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენენ და რომლებისთვისაც თვით მე ამდენი ვიბრძოლე და ვიტანჯე. სწორედ იმიტომ, რომ ეს იდეები ასე დიდად, ასე დიდებულად და ნათლად ბრწყინავენ პოეტის თვალთა წინაშე, მას იპყრობს თავშეუკავებელი სიცილი, როცა ხედავს, თუ რა უხამსოდ, მოლქნელად აღიქვამენ მათ შეზღუდული თანამედროვენი. და

პოეტი დასცინის დათვის ტყავს, რომელშიაც გახვეულია ეს იდეები. არსებობს ისეთი მრუდე სარკეები, რომ მათში თვით აპოლონიც კარიკატურული სახით წარმოგვიდგება და ჩვენს სიცილს იწვევს. მაგრამ ჩვენ ხომ მრუდე ანარეკლს დავცინით და არა ღმერთს“.

ათა ტროლი პოემაში, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია როგორც ტევტომანი. თავის უმცროს ბელს იგი საოცარ ბავშვად თვლის, რომელიც ყველაფერში ბაძავს გერმანული ფილოლოგიის მკვლევარ მასმანს, იმ მასმანს, რომელმაც მოვინისტურად განწყობილი გერმანელი ახალგაზრდობისთვის გიმნასტიკური საზოგადოება ჩამოაყალიბა, სადაც მათ ტევტომანურ ნაციონალიზმს უქადაგებდა. იგი აღმერთებს შვილს, რომელიც,

ვარჯიშის ნიჭით მომადლებული,
იგი ყირაზე გადავა მარჯვედ.
ტანმოვარჯიშე მასმანის მსგავსად,
მეტყველებს მართო დედაენაზე,
არ უსწავლია მას ჟარგონები
ძველთა ბერძენთა და რომაელთა.*

ცხადია, პოემის განხილვას აქ არ შეეუდგებით. ერთი რამ: მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ ჰაინე, არგონავტების მითთან დაკავშირებით, რამდენჯერმე ახსენებს „კოლხეთს“, „კოლხეთის მთებსა“ და „ოქროს საწმისს“.

ღეღა და გერმანია

პარის ჯანმრთელობა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესდებოდა. მკითხველს ალბათ ახსოვს, მოგვიანებით, საწოლს მიჯაჭვული, ერთ-ერთ თავის ლექსში როგორ უჩიოდა ნათესავეებსა და საკუთარ „სტომაქს“. გარდა. მუცლის არეში მოხშირებული ტკივილებისა, ბოლო ხანს თავბრუსხვევა დასჩემდა, თვალების ტკივილსა და მხედველობის დაქვეითებასაც უჩიოდა. ეტყობოდა, თანდათან იშლებოდა ღვიძლისა და ნაღვლის ფუნქცია, რაც, ცხადია, არტერიულ წნევასა და სისხლის ნორმალურ ფუნქციონირებაზეც იმოქმედებდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ინტენსიურად მუშაობდა, წერდა ახალ

* აკ. გელოვანის თარგმანი.

ლექსებს, ხეყავდა „ათა ტროლს“, აქვეყნებდა სტატიებს პოლიტიკურ, სოციალურ, ლიტერატურულ თემებზე. ხშირი მიმოწერა ჰქონდა მეგობარ და თანამოაზრე ლიტერატორებთან — ჰამბურველ გამომცემელ იულიუს კამპესთან, ბერლინელ მწერალსა და დიპლომატ ავგუსტ ვარნჰაგენ ფონ ენზესთან, ბარონესა ელიზე დონ პონეპაუზენთან, პოეტ ქალთან, რომელთანაც ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, პოეტსა და კრიტიკოს კარლ ლებრეჰტ იმერმანთან და სხვებთან...

ხომ მთელი არსებით ეძლეოდა მუშაობას, მაგრამ დროდადრო მართო გონებით კი არა, თითქოს თვალნათლივ ხედავდა მშობლიურ გერმანიას, რაინის ამწვანებულ სანაპიროებს, დიუსელდორფს, ჰარცის მთებს და, უპირველეს ყოვლისა, ფრაუ ბეთის — ამდენი ხნის უნახავ დედას, უსათნოეს და უსაყვარლეს პიროვნებას.

ერთხელ ესიზმრა:

ისევ პატარა პარია. გაღია ციბელმა; ეს-ესაა, ასაუზმა. გული სათამაშოდ მიუწევს — გარეთ მაისის მზე კაშკაშებს, ჰაერი ვარდების სურნელითაა გაჟღენთილი, ლაქვარდოვან ცაში მტრედები ფარფატებენ, ქეთი და პიტერი ღობის ძირას ჩაცუცქულან და ჭიანჭველების ჩხუბს უყურებენ... მაგრამ არა, დედამ უთხრა, დღეს ახალი ასოების წერა უნდა ვისწავლოთო. დედას ვერ გააწბილებს. ჰოდა, დგას ცარციტ ხელში სამწარეულოს ყავისფრად შეღებილ კართან და ახალ ასოებს წერს, თან ბუტბუტებს: „ე“, „ეფ“, „ჟე“, „ჰაშ“...

გამოედვიძა. ისე მოენატრა დედა, თვალები ცრემლით ავესო.

გერმანიაც მძაფრად მოენატრა. ლესინგის, გოეთეს, შილერის ხმები ეძახდნენ თითქოს.

ბავშვობა ეძახდა.

და გადაწყვიტა — უნდა წასულიყო გერმანიაში.

— იქნებ ამის მეტად ვეღარც ვიხილო ჩემი სამშობლო და დედაჩემი, — ჰარიმ მეუღლეს მზერა აარიდა, ფანჯარას გახედა — იქ პარიზი გადაშლილიყო, მეორე სამშობლო, რომელმაც სიყვარულითა და პატივისცემით შეიფარა დენილი პოეტი. — იქნებ უკეთესად ვივრძნო თავი...

— როგორც გინდა, პარი, — დაუყვავა მათილდამ. — წადი. შენს საგამომცემლო საქმეებს აქ მე მიეხედავ. ოღონდ დიდხანს არ დაყოვნდე, კარკი?

ჰარიმ ღრმად, თითქოს შვებით ამოისუნთქა.

— კარგი, — უპასუხა მეუღლეს. — შობამდე აუცილებლად ჩამოვალ. მშვიდი და ლამაზი იყო ის საღამო ჰაინეთა ოჯახში. სასადილო ოთ-

ახის ბუხარში მხიარული ცეცხლი გიზიკიზებდა და ნაპერწყმებს ისრად. გარეთ ნისლიანი ოქტომბერი იდგა, ოთახში კი სასიამოვნოდ თბილოდა. ვახშამსაც სულ სხვა ხიბლი ჰქონდა.

სამიოდე მეგობარმა და მეუღლემ გააცილეს პარიზიდან მიმავალი პარი. წყნარი ამინდი იდგა, გრილოდა, სამაგიეროდ, გაცილება იყო თბილი და გულიანი.

ოქტომბრის მიწურულს მიაღვა პაინრიხი გერმანიის საზღვარს. უჩვეულოდ ციოდა, მაგრამ ამას აიტანდა კაცი, მშობლიური მიწა ცივად რომ არ შესვედროდა დაბრუნებულ შვილს — პრუსიელმა მებაჟეებმა მისხალ-მისხალ გაუსინჯეს ბარგი პარის. ეტყობა, მშვენივრად იყვნენ ინფორმირებულები. ყველაფერი გადააქოთეს.

— რას ეძებთ, ბატონებო! ძალზე გულმოდგინედ კი ირჯებით! — დაცინვით ჰკითხა პარიმ ყბამოდრეცილ წითურ მებაჟეს. — რას ეძებთ? — გაუმეორა კითხვა.

— კონტრაბანდას! — მიუგო იმან. — ზოგჯერ ხდება, შემოგვაპარებენ ხოლმე.

— აა! — ჩაიცინა პარიმ. — აგერ, ის ფუთა ოპიუმითაა სავსე!

მებაჟემ თვალები მოჭკუტა და მუქარით გადააქნია თავი. ცხადია, პარის ბარგში საექვო ვერაფერი იპოვეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზღვარზე არ გაატარეს.

მაშინ მარშრუტი შეცვალა, ეტლი მოაბრუნებინა და, ბრემენის გავლით, 29 ოქტომბერს, განთიადისას, ჰამბურგს ჩაივიდა. ნისლი ნელ-ნელა იწვედა ზემოთ და ფერშეცვლილი მთების მიღმა გადადიოდა. თანდათან გამოიკვეთა ნაცნობი სანახები. ესეც ჰამბურგი, მისი ტკივილისა და სიხარულის ქალაქი, ქალაქი, სადაც მას საკუთარი სახლი ჰქონდა, და სადაც მშობელი დედა ელოდა.

როცა პარიმ ფრაუ ბეთი გულში ჩაიკრა, მყისვე იგრძნო, როგორ მოტეხილიყო განშორების ამ ცამეტი წლის განმავლობაში დედა — გამხდარიყო, ამჩატებულიყო. მერე, როცა ხეივნით აგული იჯერეს და ერომანეთის პირისპირ დასხდნენ, უფრო აშკარად დარწმუნდა — ძალზე ობებრებულიყო ფრაუ ბეთი. მხერა ისევე ალერსიანი და გონივრული ჰქონდა, მაგრამ თვალის უპეებსა და ბაგეების კუთხეებში უამრავი ნაკვი გასჩენოდა, თმა კი ერთიანად გასთეთრებოდა.

„როგორ მოტეხილხარ, დედა!“ — სადილობისას სიყვარულით შეკუურებდა და ფიქრობდა პარი.

„როგორ დატყობია ასაკი, შვილო! — გული სტკიოდა დედას. —

მაგრამ ვაი, რომ დედის გული გრძნობს — მარტო ასაკის ბრალი არ უნდა იყოს ეს!”

— ბოლო ხანს ხომ არ ავადმყოფობდი, პარი? — ჰკითხა.

— არა, დედა! — მყისვე მიუგო შვილმა. — უბრალოდ, ბევრს ვმუშაობდი და დავიღალე!

აბა იმას ხომ არ ეტყოდა, ერთი დღეც არ არის ისეთი, რაიმე არ მაწუხებდესო...

არც იმ დღეს, არც მეორე დღეს ჰაინრიხი შინიდან არ გამოსულა, დედას ესიყვარულებოდა. გაიხსენეს პარის პატარაობა, ლოტხენისა და მაქსიმილიანის დაბადება, ლიცეუმი, უნივერსიტეტები, მამის სიკვდილი... სოლომონ ჰაინეს გარდაცვალების ამბავი პარიმ პარიზშივე შეიტყო, ის კი არ იცოდა, რომ ამალიას მეუღლე გარდაცვლოდა და ახლა ქმრის საქმეებს ისე განაგებდა, ტოლს არავის უღებდა თურმე.

მხოლოდ მესამე დღეს გავიდა ქალაქში ჰაინრიხი. ჰამბურგში ბევრი რამ შეცვლილიყო — ახალი შენობები აეგოთ, ქუჩები უკეთ მოეკირწყლათ; ლანგპოფის ცნობილი სტამბა, სადაც „მოვზაურობის სურათების“ პირველი-მეორე ტომები დაიბეჭდა, დამწვარიყო; რატუშის ახალი შენობის შესასვლელი კარის თავზე ისევ მიეკრათ არწივი — პრუსიის სახელმწიფო გერბი — „საზიზღარი, ავი ფრინველი“; აი, ის ადგილი, სადაც სოლომონ ჰაინეს სახლი იდგა — ახლა იქ ახალმშენებლობა წამოეწყოთ. აკი იმ სახლში აკოცა პირველად ამალია ჰაინემ პარის ერთადერთი ცბიერი კოცნით. ყველაფერი ხანძარს გადაებუგა და რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზს დაბრუნებული ჰაინრიხი გულისტკივილით დაწერს:

აქ ნახევარი ქალაქი ცეცხლმა
დაწვა. ხელახლა უშენებიათ;
როგორც ნახევრად გაკრეჭილ პუდელს,
ჩუმ ჰამბურგს სახე დაპლონებია.

გამქრალა ქუჩა აქ ზოგიერთი,
კიდევ ვიგრძენი ტკენა გულისა...
სადაა სახლი, სადაც მაჩუქეს
პირველი კოცნა სიყვარულისა?..*

* კ. ჭიჭინაძის თარგმანი.

პარიმ ნაცნობ-მეგობრები მოინახულა, პარიზული შთაბეჭდილებები გაუზიარა, იმათგან გერმანიის ბოლო ამბები მოისმინა. თავადაც ხედავდა — გერმანიის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილიყო, ისევ მძლავრობდა რეაქცია, პარპაშებდა პოლიცია, სდევნიდნენ პროგრესულ იდეებს. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილიყო ქვეყანა.

რალა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველი მეგობარი, რომელსაც ჰაინრიხი ეწვია, მისი პოეზიის თავყანისმცემელი და პარის წიგნების გამომცემელი იულიუს კამპე იყო, რომელიც, ჰაინეს გარდა, სიამოვნებით ბეჭდავდა ოპოზიციონერთა, ანუ პროგრესულ მოაზროვნეთა წიგნებს.

კამპემ, ტანმალაშა, ხმელ-ხმელმა, ცოცხალთვალემა კაცმა, მკლავები ფართოდ გაშალა და მკერდში მაგრად ჩაიკრა დიდი ხნის უნახავი მეგობარი.

— რამდენ ხანს დარჩები პამბურგში, პარი? — ჰკითხა კამპემ ურთიერთმოკითხვის შემდეგ.

— ეს შენზეა დამოკიდებული! — ჩაიცინა ჰაინრიხმა.

— როგორ?

— გაგზავნი თუ არა სტამბაში ჩემს ორტომეულს, გავემგზავრები.

— მაშინ გავაჭიანურებ ამ საქმეს!

მეგობრებმა გადაიხარხარეს.

საუბარი რესტორან „ინგლისის მეფეში“ განაგრძეს, რომელიც დიდებული სამანწკებით იყო ცნობილი. რესტორნის პატრონი, მარიო ლორენცი, ყველა „პერ მარის“ რომ ეძახდა, სიხარულით შეეგება სტუმრებს, განსაკუთრებით ჰაინრიხს, რომელიც ადრე, პამბურგში ცხოვრებისას, ხშირად სადილობდა „ინგლისის მეფეში“.

— შენი ორტომეულის გამოცემის ხარჯებს მთლიანად მე ვკისრულობ! — უთხრა კამპემ პარის, როცა თითო ბოთლი „რაინვანი“ შესვეს და ოფიციალტს კიდევ ერთი შეუკვეთეს.

— კი მაგრამ, შენ ხომ იმ ხანძრის შემდეგ ამხელა ზარალი ნახე, იულიუს! — მეგობრის დიდსულოვნებამ გული აუჩუყა ჰაინრიხს. — ამ ორი ტომის გამოცემას ცოტა კი არ დასჭირდება!

— არა უშავს, გაეუძლებ, — ღიმილით დაამშვიდა კამპემ. — ოღონდ შეეთანხმდე: შენს ახალ წიგნსაც მე გამომიგზავნი გამოსაცემად. კარგი?

— სიამოვნებით, იულიუს! რომ იცოდე, მე უკვე მოვიფიქრე ახალი პოემა. ალბათ ასე დავარქმევ: „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“. ის კი არა, წუხელ გვიანობამდე ვიჯექი და პირველი თავი დავწერე კიდეც.

— მართლა?

— გერმანიის მიწაზე ფეხი რომ დავდგი, ანთოსივით ძალა მომემატა, იულიუს! აი, მომოსმინე, რამდენიმე სტროფს წაგიკითხავ:

ქალწულ ევროპას ჰყავს დანიშნული
თავისუფლების ტურფა გენია.
მკლავმოსხვეულნი ტკბებიან კოცნით
და ერთმანეთსა ტურფად შვენნიან...

უფრო ახალი, უფრო კარგია
ეს საქორწინო საგალობელი.
უკვე ბრწყინავდა ჩემში იღუმალ
ვარსკვლავთა ხომლი ცხოველმყოფელი.

იმისმა ცეცხლმა და ბრწყინვალეობამ
ამიელვარა სული მთლიანად.
ძალას ვგრძნობ ისეთს, რომ შემიძლიან
მუხის მოგლეჯა ძირფესვიანად.

შევახე ფეხი მშობელ მიწას და
ჯადოსნურ წვენით ვარ ავსებულნი.
დედას ტიტანი შეეხო — ისევ
იგრძნო ძალ-ღონე განახლებული.*

— დიდებულია, პარი! — გაიბადრა კამპე. — ბრწყინვალეა!

მალე სუფრას შემოემატნენ ჰაინეს და კამპეს ნაცნობ-მეგობრები: ქაღალდით მოვაჭრე ედუარდ მიხაელისი, ცნობილი ექიმი ლაზარ შოვპიე, ნიჭიერი პუბლიცისტი და რედაქტორი ფრიდრიხ ფუქსი, ბოლოს პერ მარიც მიუჯდა მხიარულ მაგიდას. კარგა ხანია, ჰაინრისს ასე არ მოუღებია, აღარც სატკივარი ახსოვდა, აღარც პოლიციის ჯამუში, რომელიც, ცხადია, სადღაც უკვე ელოდებოდა.

კამპე იმ დღეს უბედნიერესი კაცი იყო...

გავა მცირეოდენი დრო და პოემაში „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“ ჰაინრისი იუმორშერეულ სამადლობელო სტრიქონებს მიუძღვნის თავის დიდსულოვან მეგობარს (იმ სამახსოვრო სადილის მოკონებისას):

* კ. ჭიჭინაძის თარგმანი.

ჩემი კამპე, ვით ამფიტრიონი,
იჯდა, სიამით გულავსებული,
თვალეზი მისი აფრქვევდა ნათელს,
როგორც მადონა გაბრწყინებული.

მე დიდი მადლით ვსევამდი და ვჭამდი,
და თანაც ასე ვფიქრობდი ჩემთვის:
„კამპე უთუოდ დიდი კაცია—
გამომცემელი ყველაზე მეტი.

სხვა რომელიმე გამომცემელი
ალბათ ჰურის ფულს მომანატრებდა,
ეს ღვინოსაც კი მასმევს და, აბა,
ასეთ კაცს როგორ ელალატება!

იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი,
რომ გააჩინე ეს ყურძნის წვენი
და იულიუს კამპე მალალი
გამომცემელი გახადე ჩვენი!“*

მეორე დღეს ჰაინემ და კამპემ ხელშეკრულება გააფორმეს. წიგნი გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოვიდოდა. ოღონდ საჭირო იყო სი-ფრთხილე, ორტომეული არალეგალურად, ცენზურის გვერდის ავლით უნდა დაბეჭდილიყო. კამპე, ცხადია, რისკზე მიდიოდა, მაგრამ ჰაინეს წიგნი ნამდვილად ღირდა ამად.

დრო სწრაფად მიჰქროდა. გამგზავრების დღეც დადგა. გულისამა-ჩუყებლად თბილი, ოდნავ სევდაშერეული, მაგრამ მაინც ხალისიანი იყო გამოსათხოვარი სადილი.

დიდხანს ჰყავდა ფრაუ ბეთის მკერდში ჩაკრული თავისი საყვარელი ვაჟი. როცა, განშორების წინ, ერთმანეთს ცრემლიან თვალეზში ჩახედეს, ორივემ ერთი და იგივე რამ გაიფიქრა — ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა. იყო, ისინი ველარასოდეს იხილავდნენ ერთიმეორეს...

ცივი, ყინვიანი ზამთარი დატოვა გერმანიაში ჰარიმ. პარიზში იგი იმავე გზით დაბრუნდა — ჰანოვერის, მინდენის, კელნის, ბრიუსელის გავლით.

* კ. ჭიჭინაძის თარგმანი.

7 ღექემბერს ჩაეიდა პარიზს. იქაც ცივი, თოვლიანი ზამთარი დაუხვდა. სუსხიანი ქარი დათარეშობდა დაცარიელებულ ქუჩებში.

ცივი ზამთრის სუსხი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევდა თან „გერმანია. ზამთრის ზღაპრის“ ავტორს.

გაზაფხულის მოლოდინში

თუმცა პირადი საქმეები მშვენივრად მოაგვარა, გერმანიიდან პაინრიხი მაინც სულდამძიმებული დაბრუნდა — სამშობლოში ხომ ყველაფერი უცვლელად დახვდა: მიქელი (ამ სახელით ზოგადად გერმანელს გულისხმობს) მშვიდად ხვრინავს და უდრტივაველად იტანს უუფლებობას, რეაქცია ძველებურად პარპაშობს, მოწინავე აზრებს ახშობენ, დისიდენტებს სამშობლოდან შორს ერეკებიან, ტექტომანური შოვინიზმი ისევე წამლავს ჰაერს, საზოგადოება უბადრუკობის ჭაობშია ჩაფლული... სინათლე თითქოს არსაიდან ჩანს, მაგრამ... პოეტი სასოწარკვეთილებას მაინც არ ეძლევა.

პაინრიხმა სულ რაღაც ერთ თვეში დაწერა „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“, რომელშიაც, გერმანიის სუსხიანი ზამთრის პირობებშიც კი, პოეტმა დაგვანახა მოახლოებული მზიანი გაზაფხულის ჩანასახი. პარიკმაყოფილი იყო თავისი ახალი პოემით. 1844 წლის თებერვალში იგი კამპეს წერდა: „დაბრუნების შემდეგ ძალიან ბევრს ვმუშაობდი. საგანგებოდ გავრითმე იუმორისტული მოგზაურობის ეპოსი — ჩემი მოგზაურობა გერმანიაში... იულიუს, კმაყოფილი დარჩები და მკითხველიც დაინახავს ჩემს ნამდვილ სახეს“. იმავე წლის 17 აპრილს კამპეს წერს: „შენ იცი, რომ მე არ მიყვარს ტრაბახი. მაგრამ ამჯერად სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დავწერე ნაწარმოები, რომელიც უფრო დიდ ფურორს მოახდენს, ვიდრე ყველაზე პოპულარული ბროშურა, და მიუხედავად ამისა, მაინც შეინარჩუნებს კლასიკური ნაწარმოების ფასს“.

პაინე არ შემცდარა — პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ ეს პოემა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს მიაკუთვნა.

ნაწარმოების მთავარი აზრი პირველსავე თავში ხდება საცნაური. სუსხიან ნოემბერში სამშობლოს საზღვართან მდგარ პოეტს მოესმის ხმა პატარა გოგონასი, რომელიც ქნარზე სევდიან სიმღერას ამღერებს. გოგონა ოცნებობს იმქვეყნიურ ბედნიერებაზე. ამ „თმობის სიმღერას“ პოეტი უპირისპირებს „ახალ კარგ სიმღერას“:

ბე კი ახალი კარგი სიმღერით
მსურს, მეგობრებო, დაგიტკბოთ სმენა:
გვინდა, მივიღოთ ამ ქვეყანაზე
იმქვეყნიური შვება და ლხენა.

ბედნიერება მიწაზე გვინდა,
უნდა მოგვშორდეს შიმშილი, ჭირი,
კმარა იმისთვის ხელების დაღლა,
რათა მცონარეს გავუვსოთ პირი.*

პოეტს სწამს, რომ, ადრე თუ გვიან, ამ ქვეყნად მოვა და დაივანებს სანატრელი „იმქვეყნიური“ ბედნიერება; სჯერა, რომ, როგორც 1844 წლის 17 სექტემბერს პოემისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში ამბობს, გერმანია მოსახავს საკუთარ თავში ძალას და მოვა რევოლუცია, რომლის ამოცანაცაა „დაამთავროს ის, რაც დაიწყეს ფრანგებმა“, უფრო ზუსტად — დაამხოს მონობა და გაათავისუფლოს „ღმერთი, რომელიც ადამიანში ცხოვრობს“.

კაშპუქადმი გავზავნილ ბარათებში (დედისადმი მიწერილში სომ — მითუმეტეს) ჰაინრიხს სიტყვაც არ დაუძრავს ავადმყოფობაზე; არადა, პოემის დასასრული თითქმის მთლად დაბრმავებულმა დაწერა. მართალია, ძლიერლინზებიანი სათვალე ცოტათი კი შველოდა, მაგრამ თვალე-ბი აუტანლად სტიკოდა. და განა მართო თვალე-ბი? 1844 წლის მიწურულში ნაწილობრივმა დამბლამ დაჰკრა და ცალი ფეხი თითქმის გაუკავა. სახსრებსა და კუნთებში დაგროვებულმა მარილებმა საგრძობლად შეუბოჭა მოძრაობის უნარი.

მაგრამ პოეტი არ დაცემულა. პირიქით, ფიზიკურმა დაძაბუნებამ კიდევ უფრო განუმტკიცა სულიერი ძალა და გაათკეცებული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას, წერდა სტატიებს, თარგმნიდა, ახალი ლექსებით ავსებდა „თანამედროვე ლექსების“ ციკლს, რომელიც 1831 წელს დაიწყო. სხვათა შორის, ამ ციკლის ერთ-ერთი ლექსი, „გეორგ პერვეგს“, 1843 წელს დაწერა და გადასცა მეგობარ პოეტს, რომელიც პრუსიულმა რეაქციამ ჰაინესავით განდევნა სამშობლოდან და იძულებული გახდა, პარიზში ეძებნა თავშესაფარი. პოეტის ოცნება გაზაფხულზე რეალისტურია, გაზაფხული, მისი რწმენით, არც თავისით მოვა და მასვერც მართო ტკბილი ლექსებით მოიყვან:

* კ. ჭაჭინაძის თარგმანი.

ქერვეგ, რკინის ტოროლა ხარ ფრთაფარფატა,
მიატოვე დედამიწა და ზაფხული,
წმინდა სიერცეს მიაშურე ხალისითა!
ეს ზამთარი აიბარგა თავისითა?
დადგა მართლა გერმანიის გაზაფხული?

ქერვეგ, რკინის ტოროლა ხარ ფრთაფარფატა,
ლაჟვარდებში მონავარდე, ცადასული.
დედამიწა მზის სხივების სითეთრეში
დაგიკარგავს — და მართო შენს ტკბილ ლექსებში
ცოცხლობს შენი შექებული გაზაფხული.*

ამ ციკლის ერთი ნაწილი ჰაინრიხმა თავის პოემასთან — „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“ — ერთად გამოაქვეყნა 1844 წელს, მთლიანად კი იგი 1848 წელს დაასრულა, რევოლუციის წინ.

დაახლოებით ამავე პერიოდში გაეცნო პარი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იდეოლოგიების — ლუი ბლანისა და პიერ პრუდონის მოძღვრებას, რასაც მასში დიდი თანაგრძნობა არ გამოუწვევია.

დრო მიდიოდა. ჰაინეს ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ექიმები ხშირად დაუდიოდნენ, არც მატჩილა აკლებდა ყურადღებას, მაგრამ მრავალსახა სენი თავისას შერებოდა, პარი უკვე იშვიათად გამოდიოდა ქუჩაში, ისიც — ხელჯოხითა და მეუღლის თანხლებით. დროდადრო მეგობარი მწერლები აკითხავდნენ, ემიგრანტებიც და ფრანგებიც — ჰიუგო, ბალზაკი, დიუმა, გოტიე...

ამასობაში ჰაინრიხის ნანატრი რევოლუციაც მოახლოვდა, რომელსაც პოეტის საოცნებო გაზაფხული უნდა მოჰყოლოდა თან...

ქარიშხალი

პარიზის თავზე რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებელი ღრუბლები გროვდებოდა. ქალაქის ცენტრის ხან ერთ, ხან მეორე ქუჩაში ჯერ კანტიკუნტად, მერე და მერე კი უფრო ხშირად ჩნდებოდნენ შეამბოხეთა კოლონები, გაისმოდა რევოლუციური შეძახილები, „მარსელიოზა“, ორატორთა მოწოდებები. აქა-იქ უკვე აჰყარეს ქვაფენილები, ქვებით, ქვიშით საესე ტომრებითა და ცარიელი კასრებით აგებდნენ ბარიკადებს.

* აკ. გელოვანის თარგმანი.

თებერვალი იღვა. ციოდა, დროდადრო თოვლქყაპი მოდიოდა, მაგრამ პაერში უკვე იგრძნობოდა მოახლოებული გაზაფხულის სუნი — ქუფრ ღრუბლის ქულებს შორის ხანდახან წამით გამოანათებდა შემცივნული, ფერდაკარგული მზე.

იმ დღეს პაინრიხი დილიდანვე შეუძლოდ გრძნობდა თავს. თავი სტიკოდა, თვალები საშინლად სტეხდა, გულისრევის შეგრძნება ჰქონდა. ძლივს წამოდგა საწოლიდან, უმადოდ ისაუზმა.

— დაწვები თუ... — ფრთხილად შეაპარა მატყილდამ.

— არა! — მკვეთრად მოუჭრა პარიმ. — წავიმუშავებ. რა ხდება ქალაქში, ხომ არ გაგიგია?

— შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. მეამბოხენი ბარიკადებთან დგანან და თითქოს რალაცას ელოდებიან.

— ქარიშხალს ელოდებიან! — პაინრიხი მძიმედ წამოდგა. — ქარიშხლის წინ სიწყნარე ჩამოვარდება ხილმე, აქე იცის! — და კაბინეტის კარი შეაღო. მაგიდაზე სამუშაო ელოდა.

ბარიკადებზე მართლაც ავის მომასწავებელი ღუმელი ჩამოწვა. შამხანებითა და სანადირო თოფებით შეიარაღებული მუშები და წერილი ხელოსნები ქვიშის ტომრებს შორის ჩაწოლილიყვნენ. მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ხმადაბალი საუბარი.

საფრანგეთის მეფის, ლუი-ფილიპე ორლეანელის ჯარისკაცები კი უკვე ზარბაზნებს ამზადებდნენ ბარიკადების დასანგრევად და მეამბოხეთა გასანადგურებლად.

მაგრამ ივლისის მონარქიის დღეები დათვლილი იყო.

როგორღაც ვერ ააწყო მუშაობა პარიმ. ორიოდ საათს იწვალა, მაგრამ ის, რაც უნდოდა, არ გამოუვიდა. ისედაც ნერვებაწეწილ პაინრიხს ბრაზი მოერიო, ბატის ფრთის კალმით აჭრელებული ქალაღდის ფურცლები ნაკუწებად აქცია და მაგიდაზე მიმოფანტა.

რალაც უცნაური წინათგრძნობა აწვალებად, მოუსვენრობას გრძნობდა, სხეულის ყოველი უჯრედი უთრთოდა.

— ცოტა ხანს წამოვწვები, — სასტუმრო ოთახში გასულმა, უთხრა მეუღლეს, რომელიც, საქსოვით ხელში, მოგიზგიზე ბუხართან იჯდა. — დავისვენებ. მერე კი... იქნებ საღამოს, მცირე ხნით, პარიზის ქუჩებში გავისიერნოთ... ეტლით. მინდა, საკუთარი თვალით ვნახო, რა ხდება...

— კეთილი, პარი, — წყნარად მიუგო მატყილდამ. — კეთილი...

ბინდბუნდში გასვეულიყო საფრანგეთის დედაქალაქი. მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ გამოკრთებოდა ფანჯრებიდან სუსტი სინათლე. ქუჩებში კანტიკუნტად ჩანდნენ გამვლელები. ჩუმად, უსმაუროდ, ლანდებივით დადიოდნენ.

გაიარეს სენტ-ეტიენის მოედანი, მონტესკიეს და ვოლტერის ქუჩები. აი, მონმარტრი... მოედნის ყველა შესასვლელი ბარიკადებით ჩაუხერგათ. მუქად ჩაქუფრულიყო ლუერი...

როცა ეტლი პაინეების სახლთან შეჩერდა, უკვე ათი საათი იყო დაწყებული.

პაინრიხმა ვახშამზე უარი თქვა და საწოლ ოთახს მიაშურა.

მშვიდად ეძინა. ლამაზი სიზმარი ნახა:

მღვრიე რაინი საოცრად დაწმენდილიყო, უჩვეულოდ ლურჯი და კამკამა მოედნებოდა. ნაპირებს ხასხასა მოლი მოსდებოდა, ბურქები ყვაოდნენ, სიმწვანეში ყელყელობდნენ თეთრი, ალისფერი, ლაქვარდისფერი ყვავილები. ჭაბუკი პარი ბურქიდან ბურქისკენ გადადიოდა, რალაცას ეძებდა — თვითონაც არ იცოდა, რას...

ერთ მწვანე კორდზე თეთრსამოსიანი ტანკენარი ქალი შენიშნა. მიუახლოვდა და დედა — ფრაუ ბეთი შეიცნო.

დედა მოეხვია ვაჟს.

— პარი, შვილო, — წყნარად უთხრა, — რასაც ეძებ, აქ ვერ იპოვი, იცოდე!

— მეც ევ არ მინდა, დედა? — აღმოსდა პარის. — ყაყაჩოს ვეძებ, სისხლისფერ ყაყაჩოს, მაგრამ ვერ ვპოულობ. ნუთუ ამხელა ველზე ერთი ყაყაჩოც არ ხარობს?

— არა, შვილო, შენ აქ ყაყაჩოს ვერ იპოვი! აი! — ფრაუ ბეთიმ მზისგულა გვირილების თაიგული გაუწოდა პარის. — მალე გაზაფხული მოვა, შვილო, და მზე გაანათებს ქვეყნიერებას!..

ლაქვარდოვან ცაზე გაზაფხულის მზე კაშკაშებდა. რაინიდან მონაქროლი ნიავეი ქოჩორს უვარცხნიდა ბურქებსა და ბალახს. პარი საოცარ სიმსუბუქეს გრძობდა სხეულში, რაინის ნიავეთან ერთად უალერსებდა მინდორს, ტანში სასიამოვნო ქრუანტელი უვლიდა. მერე ნელ-ნელა მუხლი მოეკვეთა და მსუბუქად, მტრედის ბუმბულივით დაეშვა კორდზე, ყვავილებში...

გაორებული განწყობით გამოეღვიძა. გვირილების თაიგული კარგი ნიშანი იყო, მაგრამ თეთრ სამოსელში გამოწყობილი დედა?! ეს, ალბათ, ვერ იყო კარგის მომასწავებელი...

ფანჯარა გამოაღო. ოთახში სუფთა პაერის ნაკადი შემოიჭრა. ქა-

ლაქი ნისლში იყო გახვეული. ლუერის ზედა სართულები მთლიანად დაეთარა ნისლს და სიზმრისეულ ჩვენებას ჰგავდა.

ისევ ცუდად იგრძნო თავი.

დაწვა.

და თუმცა პარიზი თებერვალ-მარტის რევოლუციამ საფუძვლიანად შეაზანზარა, პაინრიხი საწოლიდან არ ამდგარა. მათილდას მოჰქონდა მასთან ახალი ამბები, დროდადრო მეგობრები მოდიოდნენ და რევოლუციისაგან მიღებულ უშუალო მთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

რევოლუცია! ივლისის მონარქია, რომელიც თითქმის 18 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას ფინანსურ არისტოკრატისთან ერთად, დაემხო! დამყარდა მეორე რესპუბლიკა!

იქნებ ეს იყო პაინეს ბრძოლის მიზანი?..

პაინრიხი — იულიუს კამპეს:

„ჩემო მეგობარო!

მიწა იძრა, ცამ დაიქუხა, პაერი შეზანზარდა — პარიზს რევოლუციის ქარიშხალმა გადაუქროლა.

იქნებ სწორედ ეს არის ის, რასაც ველოდი, რისთვისაც ვიბრძოდი, რისკენაც მივილტვოდი?!

ღმერთმა ჰქნას!

ორად გაიხლიჩა გული!

სამყარო ორად გაიპო, და ნაპრალმა გაიარა პოეტის გულში, პოეტისა, რომელიც სამყაროს ცენტრშია!

აი, ასეთ მდგომარეობაში ვარ ამჟამად.

ასლა — ჩემი წიგნის შესახებ...“

პაინრიხი — ფრაუ ბეთის:

„...ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთაა. ტკივილები თითქმის არ მაწუხებს, მაწუხებს მხოლოდ ერთი კითხვა — შენ როგორ ხარ, დედა? ხომ არ დამიბერდი?

ვმუშაობ, როგორც ყოველთვის — თავგანწირულად. ლექსების ახალ ციკლს ვწერ. მგონი, კარგი გამოდის, ყოველ შემთხვევაში, ადრინდელ წიგნებზე უარესი არ იქნება.

მენატრები, დედა!..“

პარის წერილმა დედას ცოცხალს ვედარ ჩაუსწრო. როცა ფრაუ ბეთი გარდაიცვალა, მაქსიმილიანმა უკვე იცოდა, რომ პაინრიხი სამუდამად

მოდ საწოლს იყო მიჯაჭვული, და აღარ შეატყობინა, ზედმეტად არ ინერვიულოსო.

ეს კი მაისში მოხდა — 1848 წლის მაისის ერთ მშვიდ საღამოს, ივნისის აჯანყებამდე ერთი თვით ადრე...

„ლეიპეგის საფლავში“

თებერვალმა და მარტმა ჩაიარა. აპრილის დასაწყისში მზე მომძლავრდა, ნეკერჩხლის, ცხენისწაბლასა და ჭადრების ტოტებზე კვირტები დაიბერა, მეყვავილეების ჯიხურებში ია-იების თაიგულები გამოჩნდა.

მაგრამ არ იქნა და ვერ გათბა ჰაინრიხი. გერმანული „ზამთრის სუსხი“, რომელიც ძველ-რბილში კქონდა გამჯდარი მთელი განვლილი ცხოვრების განმავლობაში, ვერა და ვერ მოიცილა. არც თებერვალ-მარტის რევოლუციამ უშველა: სულში კი ჩაელვარა სითბო და, ბუნებით ოპტიმისტს, უკეთესი მომავლის იმედი მიუმატა, მაგრამ დაძაბუნებულ სსეულს თავისი გაჰქონდა.

პარიზის რევოლუციის გამოძახილმა გერმანიამდეც მიაღწია. აქა-იქ, თითო-ოროლა ქალაქში, მუშები ქუჩაშიაც გამოვიდნენ, მაგრამ სერიოზული ძვრები არ მომხდარა და პრუსიული რეაქცია ისევ მძლავრობდა, „საზიზღარი ავი ფრინველი“ — ორთავიანი არწივი — კვლავაც ამაყად გადმოსცქეროდა მოედნებს რატუმის ფასადიდან. წვრილბურჯუაზიული რადიკალები და ტევეტომანი ნაციონალისტები უწინდებურად სდევნიდნენ საღ აზრს.

„ნუთუ არ უწერია გერმანიას გაზაფხული? — გული ეკუმშებოდა პარის. — იქნებ უწერია, მაგრამ მე მოვესწრები კი?“

უფრო და უფრო უჭირდა მუშაობა, მაგიდასთან ჯდომა. სტკიოდა თვალები (დროდადრო თითქმის ველარაფერს ხედავდა), ბეჭები, წელი, ყველა სახსარი. თავის მიმოტრიალებაც კი აუტანელ ტანჯვას აყენებდა. ჭამის მადა დაეკარგა, დასუსტდა, ადვილად ცივდებოდა.

მაინც მუშაობდა. ის კი არა, ზოგჯერ, ძილი რომ გაუტყდებოდა, ადგებოდა და საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, რათა ერთი ნაყოფიერი საათი მაინც გამოეგლიჯა უღონობისათვის. ძალიან რომ გაუჭირდებოდა, ძლივძლივობით წამოდგებოდა, ფანჯარასთან მივიდოდა კოჭლობით, ფარდას გადასწევდა, ღამეულ პარიზს გახედავდა. მცირე ხანს დაჰყოფდა ასე, მერე ისევ მიუბრუნდებოდა საწოლს.

ასე გაიღია აპრილი და მაისის ნახევარი.

და ის საბელისწერო დღეც დადგა...

განთიადისას ჩაეძინა პარის. სიზმარი ესიზმრა (ბოლო წლებში ძალზე შემოეჩვია სიზმრები):

დიუსელის ნაპირას თამაშობდა მეგობრებთან ერთად. ზაფხული იდგა. ყველაფერი ჰყვოდა. ჩიტების ქრიაპული იკლებდა იქაურობას. ცა ისეთი ნათელი იყო, მზე — ისეთი კაშკაშა, დიუსელის წყალი — ისეთი კაშკაშა, რომ პარიმ უცებ იგრძნო, როგორ დაკარგა წონა, სხეულში უცნაური სიმსუბუქე იგრძნო და... აფრინდა!

ლივლივით მიიწევდა ზევით და ზევით. მალე თავს მ. აექცა დიუსელდორფს. აი, ცენტრალური მოედანი, აგერ — რატუშა, იქვე — ეკლესია! აი, მისი სახლიც! ნეტავი, დედა თუ ხედავს ლაფეარდოვან სივრცეში მოლივლივე შვილს?.. ღმერთო, რა მშვენიერება ყოფილა ფრენა, რა ბედნიერია ამ წუთს პარი... და უცებ ხედავს — მის შესახვედრად საზიზლარი ორთავიანი არწივი მოფრინავს, მოატყლამუნებს ვეება ფრთებს, ბოროტად უელავს ჩასისხლიანებული თვალები (ორი წყვილი თვალი), კაუჭა ნისკარტები ფართოდ დაულია და ხახებში გველივით ორკაპა ენები უსავსავებს, ხან სისინებს, ხან წივის, ხან ყაშყაშებს. მოდის, მოფრინავს, თვალდათვალ იზრდება... „დედა! სადა ხარ, დედა! მიშველე, დედა!..“

საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. კარგა ხანს ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო. ისევ თვალწინ ედგა „საშინელი ავი ფრინველის“ ბოროტად მოელვარე ორი წყვილი თვალი და გველის ენებივით მოსავსავე წყვილი ორკაპა ენა...

ის თვალისმომჭრელი ნათელი, სიმსუბუქე და ყოვლისმომცველი ბედნიერება სიზმარში დარჩა. უწინდებურად სტკიოდა ყველა სახსარი, დამთრგუნავ სიმძიმეს გრძნობდა სხეულში. ქუჩიდან ხმაური აღწევდა, მეზობელი ოთახიდან ხმადაბალი საუბარი მოისმოდა, მამასადაძამე, უკვე დილა იდგა, მაისის დილა, მაგრამ პარი რუხ ბინდბუნდში ხედავდა ყველაფერს — მაგიდას, კარადას, სავარძელს, ფანჯრებს...

წამოიწია. თავბრუ დაეხვა. არ შეეპუა, გაუძალიანდა, საწოლზე წამოჯდა. ფეხები ფლოსტებში წაჰყო, წამოდგა, ხალათი მოიცვა, ხელჯოხი მოიშველია და კარისკენ გადადგა ნაბიჯი.

საშინელი დარტყმა იგრძნო თავში. თითქოს მის შიგნით მყოფმა ვიღაც უჩინარმა მძლავრი მოქნევით მძიმე ურო ამოჰკრა თავისქალაში. ტვინში გამაყრუებელი ჭახანით გასკდა რალაც და მყისვე მთელი სამყარო წყვდიადში ჩაიძირა...

— ეერ დაგიმაღავთ, ფრაუ ჰაინე, — ექიმ ბაზენს გაუჭირდა, მზერა გაუსწორებინა მატრილდასათვის. კონსილიუმის მონაწილე ექიმებმა, ის იყო, დატოვეს ავადმყოფის ოთახი. — ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. გული მაგარი აქვს და თუ გადაარჩენს, მხოლოდ ეს... და კიდევ — შინაგანი ძალა, ნებისყოფა, რომელიც, რამდენადაც ვიცი, თქვენს მეუღლეს ჭარბად აქვს მომადლებული. ისე კი, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ...

— ნუთუ... — მატრილდას თვალები ცრემლით ავსებოდა, ხელებს იფშენებდა.

ექიმმა ბაზენმა მხრები აიჩინა.

— აკი მოგახსენეთ! მძიმე დამბლასთან გვაქვს საქმე. გიმეორებთ — მხოლოდ მისი გული და ნებისყოფა სხვაგვარად... — სათქმელი აღარ დაასრულა და წამოდგა. — აი, ეს მიქსტურა დაამზადებინეთ და როგორც პირში ჩააწვეთეთ. ფანჯრებს სქელი ფარდები ჩამოაფარეთ, სახლში სიწყნარე დაიცავით, მნახველებს ნუ შეუშვებთ. სამ-ოთხ დღეში ყველაფერი ნათელი გახდება. მე ხვალაც გეახლებით. ნახვამდის! მხნელ იყავით, ფრაუ ჰაინე! ნუ გამომყევებით.

— გამდლობთ, ექიმო... — ჩაიჩურჩულა მატრილდამ და, როცა ექიმმა კარი გაიხურა, ქვითინით ჩაეშვა სავარძელში.

თვალშეუდგამი წყვილიდის ოკეანე ყოველი მხრიდან კოლოსალური ძალით აწვება ყრუ გუგუნით და გასრესას უპირებს. ნემსის წვერის ტოლა ათინათიც კი არსაიდან ჩანს. „დე-დააა!“ მაგრამ დედა შორს არის, ოკეანის ზემოთ, ნათელ სივრცეში... პარიმ მთელი შინაგანი ძალა მოიკრიბა და გაიბრძოლა. დედასთან უნდა ააღწიოს, მხოლოდ ის თუ უშველის!.. როგორც იქნა, მოსწყდა ფსკერს, დაიძრა, ზედაპირისკენ მიცურავს მკლავების მძლავრი მოქნევით, თანდათან მატულობს სიჩქარე, წყვილიდის ოკეანე უკვე უძღურია, შეაკავოს მისი სწრაფვა! აი, შორს, ზემოთ, რაღაც ნათელი დალანდა... იქ დედა, იქ მზეა, იქ დედა! კიდევ ერთი მძლავრი გაბრძოლება და...

„ოჰ!..“

თვალი გაახილა. ოთახში ჩვეული ბინდბუნდი იდგა. უფრო შინაგანად მიხვდა, ვიდრე დაინახა, რომ მარტო იყო. სხეულში დამთრგუნავ სიმძიმეს გრძნობდა, გონებაში ნაფლეთ-ნაფლეთად, როგორც ქარში — ღრუბლები, ნაირგვარი ფიქრი და სურათი ირეოდა. ახლახან არ იყო, დედას რომ უხმობდა?.. იმის წინ, მანამდე?.. ჰო, აგონდება: საწოლიდან წამოდგა, ხალათი მოიცვა, კარისკენ წავიდა და უცებ — საშინელი დარ-

ტყმა თავისკალის შიგნით... მაგრამ როდის მოხდა ეს — ამ დღით. გუშინ თუ ასი წლის წინათ?.. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, რომ წყვილი აჯობა, სიცოცხლეს დაუბრუნდა და მალე, ალბათ, ისევ მიუჯდება საწერ მაგიდას! ღიას, ასე იქნება ეს! პაინრის პაინე ცოცხლობს!..

როცა მატყილდა ოთახში შევიდა და მეუღლეს შეხედა, ხმადაბლა შეჰკვილა — პარის თავი ოდნავ მოებრუნებინა, ცოლს შეჰყურებდა და იღიმებოდა.

სასწაული, რომლის იმედიც ექიმ ბაზენს ჰქონდა, როცა პაინეს ჯანსაღ გულსა და ძლიერ ნებისყოფაზე ლაპარაკობდა, ახდა: პაინრისი გამობრუნდა.

„გამობრუნდაო“, რომ ვამბობთ, მხოლოდ სულიერი, შინაგანი მხარე იგულისხმება, თორემ ფიზიკურად პაინრისი, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ განადგურებული იყო და სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლო წამამდე, ლოგინს მიჯაჭვული დარჩა.

ავადმყოფს მოძრაობის უნარი, ხელებსა და ფეხის თითებს თუ არ ჩავთვლით, მთლიანად წართმეული ჰქონდა. გახევებული კუნთები, გაქვავებული ხერხემალი, რომელიც განუწყვეტლივ სტეხდა და სტკიოდა, განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ექიმის რჩევით, პარის საწოლზე ათი ბუმბულის ლეიბი დაუგეს, რათა ტკივილები, ოდნავ მაინც, შეემსუბუქებინათ.

ასე აღმოჩნდა იგი „ლეიბების საფლავში“, როგორც თავად უწოდებდა ხოლმე მწარე ირონიით.

გონს მოსვლიდან ერთი თვის თავზე მატყილდამ მეუღლის თხოვნით ხელოსანს პიუპიტრის მსგავსი დაფა გააკეთებინა და პაინრისს საწოლზე დახრილი მაგიდის მსგავსი რამ მოუწყვეს.

და გაუტყუელმა პარიმ, რომელსაც მარჯვენის ამოძრავებისთვის მთელი ფიზიკური ძალების მოკრება დასჭირდა, თავისი მრავალნაცადი ბატის ფრთის კალმით ახალი ლექსების პირველი სტრიქონები დაწერა.

თავდაპირველად სწრაფად იღლებოდა. მერე და მერე მიეჩვია და დღეში ჯერ ორ, სამ, ბოლოს კი თითქმის ექვს საათს მუშაობდა.

როცა არაქათი გამოეცლებოდა და ხელი გაუშემდებოდა, ლექსებს მეუღლეს კარნახობდა. ოღონდ ნერვები დაწყვეტამდე დაძაბული ჰქონდა და თუ მატყილდას რაიმე შეეშლებოდა, ცოფდებოდა ხოლმე.

პარი მოითხოვდა, პოლიტიკური ცხოვრების კურსში ჰყოლოდათ იგი. ამიტომ არ დაუმალავთ მისთვის, თუ როგორ ჩაახშო მეორე რესპუბლიკა.

კის მთავრობამ პარიზელ მუშათა ივნისის აჯანყება (1848 წლის რევოლუციის კულმინაციური მომენტი), არც ის, რომ იმავე წლის დეკემბერში რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (რომელმაც ზუსტად სამი წლის შემდეგ სამხედრო გადატრიალება მოაწყო, დიქტატურა გამოაცხადა და საფრანგეთის ეგრეთ წოდებულ მეორე იმპერიას ჩაუყარა საფუძველი); პაინრიხი აღაშფოთა ლუი ბონაპარტის მიერ დიდი ჰუმანისტის, ვიქტორ ჰიუგოს ემიგრაციაში განდევნამ, ხოლო 1849 წლის დეკემბერში გერმანიასა და უნგრეთში რევოლუციური გამოსვლების მარცხმა მწარედ ატკინა გული.

1850 წელს დაწერილ ლექსში „მიქელი მარტის შემდეგ“ მიქელის (resp. გერმანელი ხალხის) დროებითი გამოცოცხლებით გამოწვეულ სიხარულთან ერთად გადმოცემულია იმედგაცრუებაც — რევოლუციის დროს მიქელმა, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ გვერდი იცვალა და უშფოთველი ძილი განაგრძო, საკუთარი ბედის საჭე კი ლიბერალურ ბურჟუაზიას მიანდო. ამ უკანასკნელმაც არ უღალატა თავის კრედოს — ტევტომანური ნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულმა, მონარქიის აღდგენას დაუჭირა მხარი.

1848—1851 წლებში დაწერილი ლექსები პაინემ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა, რომელსაც „რომანსერო“ უწოდა და რომელიც სამი ნაწილისაგან — „ამბები“, „ლაპენტაციები“ (ლაპენტაცია ლათ.) — წუწუნი, ჩივილი) და „ებრაული მელოდები“ — შედგება.

„რომანსეროს“ პირიმ „ოქროს წიგნი“ და თავისი შემოქმედების მესამე ბურჯი უწოდა (პირველია „სიმღერების წიგნი“, მეორე — „თანამედროვე ლექსები“).

ამ წიგნის გამოქვეყნებისას პოეტი 54 წლისა იყო.

მართლაც, „რომანსერო“ (თავად პაინეს თქმით, ეს სათაური მას იმიტომ აურჩევია, რომ „აქ გაერთიანებულ ლექსებში რომანსის ტონი ჭარბობს“) მშვენიერი ნაწარმოებია, რომელიც მკითხველს ფორმისა და შინაარსის მრავალფეროვნებით ხიბლავს. მასში ჩვეულ სიმაღლეზე დვას პაინეს მახვილი სატირა. იგი აქაც არ ინდობს რადიკალებსა და ბურჟუაზიულ ლიბერალებს, ის კი არა, მწარედ ჰკილაჯს „რკინის ტოროლას“, პერვეგსაც კი, რომელიც 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ფრიდრიხ-ვილჰელმ მეორის სასარკებლოდ აგიტაციას ეწეოდა, და ბრუტუსს უწოდებს მას (ლექსი „ცოცხალყოფილი“).

„რომანსეროში“ აშკარად იგრძნობა პოეტის პესიმიზმი, რომელიც საფრანგეთის 1848 წლის ივნისის, გერმანიისა და უნგრეთის 1849

წლის რევოლუციითა მარცხს გამოუწვევია. ჰაინე დაბნეულია და არ იცის, რა ურჩიოს გზაჯვარედინზე მდგარ სამშობლოს („ახლა საით?“):

ახლა საით? გერმანია
მეძახის და ისევ მელის,
მაგრამ ჭკუა მეუბნება,
ნაბიჯია განუსჯელი...

ცის ოქროვან ლაბირინთში
ვარსკვლავებმა წვრილ-წვრილებმა
გზა დაკარგეს... დამაბნია
მეც ფუსფუსმა მიწიერმა.*

ხოლო უნგრეთის რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსში „1849 წლის ოქტომბერში“ პოეტი წერს:

უნგრეთის სახელს რომ ასხენებენ,
პრუსთა პერანგი ვიწროა ჩემთვის,
მის ქვეშ ზვირთები არ მასვენებენ,
თითქოს ზღვის გუგუნს ბუკის ხმა ერთვის...

ხარმა დათვებთან ერთად იაროს,
ნუ შეგაშინებს მათი კავშირი,
ო, ნუ შედრკები შენ, მადიარო,
სხვებს გვარცხვენს უფრო ავი ნადირი...

ქვეყანას მათი სუნი მოედო,
მესმის ღრუტუნი, ყეფა, ყმუილი;
შენ ეს გაღლევენს. ჩუმად, პოეტო, —
მაინც ავად ხარ, გიჯობს ღუმილი.**

ეს ნაწყვეტი კიდევ იმის დასტურადაც დავიმოწმეთ, რომ ჰაინე თავისი სულისკვეთებით ინტერნაციონალისტი იყო და იბრძოდა საერთოდ მშრომელი ხალხის, და არა მარტო გერმანელი მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის.

მიუხედავად ამ პესიმიზმისა და დაბნეულობისა, ჰაინე მაინც პოუ-

* გ. გეგეჰორის თარგმანი.

** აკ. გელოვანის თარგმანი.

ლობს საკუთარ თავში ძალას საიმისოდ, რომ სძლიოს სასოწარკვეთილებას. დიას, თავისუფლებისათვის ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც ფეხზე დგას, მაინც მხნედაა და ახალგაზრდობას მაღალი, ნათელი, პროგრესული იდეების განხორციელებისათვის საჭირო ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

„რომანსეროს“ მეორე ნაწილი, „ლამენტაციები“ მთავრდება ლექსით „Enfant Perdu“, * რომელშიც პოეტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მთელი ოცდაათი წლის მანძილზე იგი შეუდრეკლად იღვა ხალხთა თავისუფლების საგუშაგოზე, როგორც რიგითი მეღვარი მებრძოლი, და თუმცა გული დაუმსხვრიეს, მაინც, გატენილი თოფით ხელში, გაუტეხელად, დაუმარცხებლად დაეცა. ამ ლექსში ნათლად ჩანს მარცხით გამოწვეული სევდაც, ტკივილიც და უტეხი სულიც, ამიტომ მკითხველს მის რამდენიმე სტროფს ვთავაზობთ:

თავისუფლების ბრძოლაში დაკარგულ ბურჯებს ვიცავდი,
ეს ოცდაათი წელია, სიკვდილს გულდაგულ მოველი;
თუმცა იმედი არ იყო გამარჯვებისა, ვიცოდი,
არც გადარჩენის, და მაინც ბრძოლას შევწირე ყოველი...

არ გადავფიცავ, ხანდახან მეც მიმტყუნებდა მარჯვენა —
აჰ, მე თუ კარგად ვისროდი, არც მტერი იყო ჯაბანი! —
როცა იმ თავხედს ეწერა ორთაბრძოლაში დარჩენა,
ჟონავდა ჩემი ჭრილობა, ჩემივე სისხლით ნაბანი.

მე აღარა ვარ! — სისხლი მდის, გამეხსნა ყველა იარა;
ერთი ეცემა, სხვა მოდის, მტარვალთა ზარი და რისხვა.
ვეცემი გაუტეხელი, გმირების თანაზიარად,
არ დამსხვრეულა მახვილი — მხოლოდ ეს გული დაიმსხვრა.**

ჩვენ ერთგან ვთქვით, რომ ჰაინესათვის არაერთი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა რწმენისაა ესა თუ ის პიროვნება — მთავარი მისთვის ადამიანია. შეიძლება ითქვას, დასაწყისში იგი ათეისტიც კი იყო, ამიტომაც შედარებით იოლად შეელია იუდაიზმს და პრაქტიკული მოსაზრებით პროტესტანტობა მიიღო, თუმცა მერე თავის ლექსებში თანაბრად ჰკილავდა როგორც იუდეველთა, ასევე მართლმადიდებელთა და

* Enfant Perdu (ფრანგ.) — დაკარგული ბავშვი.

** აკ. გელოვანის თარგმანი.

პროტესტანტთა მღვდელმსახურებს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, როცა „ლეიბების საფლავეში“ მწოლარეს უკვე მოესმოდა მოახლოებული სიკვდილის სუნთქვა, მასში იძალა მამაპაპისეული რელიგიის ნოსტალგიამ. ამან „რომანსეროს“ მესამე ნაწილში — „ებრაულ მელოდებშიც“ იჩინა თავი, თუნდაც „იეჰუდა ბენ ჰალევის“ პირველსავე სტროფში გახმიანებულ ღიღი ებრაელი პოეტის ღაღადისში:

მიმეწებოს ენა სასას
და გამისმეს მარჯვენაი,
თუ ოდესმე დაგივიწყო,
იერუსალიამ!..

თუმცა ათეიზმიდან თეიზმში გადასვლას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი და საფუძველი ჰქონდა: ათეიზმი მღაბიო ხალხის საკუთრება გახდა, ანუ, ჰაინეს სიტყვით, იგი უკვე „ძლიერ ყარდა ყველის, არაყისა თუ თამბაქოს სუნით“, და „უნატიფეს სიამოვნებათა“ მაძიებელი პოეტი ისევე თეიზმს, როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ფენომენს, დაუბრუნდა. სხვათა შორის (და, რაც ფრიად საყურადღებოა), თავის „აღსარებაში“ ჰაინე გარკვევით ამბობს, რომ მან ათეიზმი მარტო „მყრალი სუნის“ გამო კი არ უარყო, არამედ იმიტომაც, რომ ეს უკანასკნელი „ცოტად თუ ბევრად ფარულად დაუკავშირდა საშინლად შიშველ, ყოველგვარი ლეღვის ფოთლისაგან განძარცვულ უხემ კომუნისმს“.

აი, კიდევ ერთი მკაფიო და უდაო არგუმენტი იმათ წინააღმდეგ, ვინც ჰაინეს კომუნისტად მიიჩნევდა.

„გოეთეს შემდეგ ყველაზე თავისუფალი გერმანელი“, რომლის თავზეც, უკვე ამდენი წელია, დამოკლეს მახვილივით ეკიდა სიკვდილის მსახვრალი ცელი, ვერ გატეხა „ლეიბების საფლავემ“. მისი პოეტური გენიის ცეცხლი ახალი ძალით ავიზგიზდა, ჰაინრიხს ახლაც ისევე უყვარდა მზის ნათელი და სიცოცხლე, როგორც უწინ, ახალგაზრდობაში.

მაგრამ უკურნებელ სნეულებას თავისი გაჰქონდა. ჰარი ადვილად ეგზნებოდა, სულ მცირე რამესაც კი (განსაკუთრებით — როცა დაქანცული იყო) მყისიერად გამოჰყავდა წონასწორობიდან. ერთხელ, საკუთარი უღონობით გამწარებულმა, თავის მაგიდა — პიუპიტრი მოისროლა და მელნით მოუთხვარა მატრილდას ღია ნაცრისფერი კაბა, ესოდენ რომ უყვარდა, მეორედ სათვალე ესროლა მეუღლეს, რომელმაც ჰაინრიხის მიერ ნაკარნახევი ლექსის სტრიქონი შეცდომით ჩაიწერა.

მატილდამ მდივანი დაუქირავა ქმარს. თვითონ ამ დროისთვის უკვე ადვოკატთა კოლეგიაში მუშაობდა — პარის ჰონორარები არ ჰყოფნიდა ოჯახის ხარჯებს.

ელზე ფონ კრინიცი ოცდამეორე წელში იყო გადამდგარი, როცა პირველად გადააბიჯა ჰაინეთა კარის ზღურბლს. საშუალოზე მაღალი, გამხდარი, ქერათმიანი ლამაზი ქალიშვილი რაღაცით ამალია ჰაინეს ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ მისი გრძელი წამწამებით მოჩრდილული, მომწვანო ფერის დიდრონი თვალები სითბოსა და ალერსს ასხივებდნენ.

ჰარი ამ დროს ორმოცდამეთექვსმეტეში იყო. სიგამხდრემ სახის ნაკვთები გაუმკაცრა, ასაკმა თმა დაუთოვა და შუბლი ნაოჭებით დაუსერა, ცხვირკეხიანობა უფრო დაეტყო, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც კი ლამაზი მამაკაცი ეთქმოდა, მით უმეტეს, თუ მისი უძირო ცისფერი თვალების გამჭოლი მზერა შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ.

როდესაც მსახურმა ფროილან ფონ კრინიცი შემოიყვანა და გავიდა, ჰაინრიხმა ხელის ოღნავშესამჩნევი მოძრაობით თავისკენ მიიხმო ქალიშვილი.

— ელზე ფონ კრინიცი ხართ? — ჰკითხა. — დაბრძანდით.

ქალიშვილი მონუსხულივით მიუახლოვდა ავადმყოფის საწოლს და ნელა, თითქოს შიშით დაეშვა სკამზე, თანაც მზერა არ მოუცილებს ჰაინესათვის.

— დიას, — უპასუხა. — დიას, პერ ჰაინე.

ჰაინრიხი მოიღუმა.

— თუ თქვენ ის ქალიშვილი ხართ, რომელიც ჩემს მდივანობას აპირებს, — აუჩქარებლად, ტკეპნით წარმოთქვა, — ამიერიდან უნდა მომმართოთ არა გვართ, არამედ ასე: „პერ ჰარი“. გასაგებია?

— დიას, პერ ჰარი, — წამიერი დაყოვნების შემდეგ უპასუხა ელზემ. — მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან მუშაობა მომიწივს.

— მიცნობთ? მინდოდა მეთქვა, იცნობთ ჩემს ლექსებს?

ქალიშვილმა რატომღაც მკერდზე, იქ, სადაც გულია, მსუბუქად დაიდო ხელი.

— თქვენი „სიმღერების წიგნი“ თითქმის ზეპირად ვიცი, პერ ჰარი. იგი ყველაზე უფრო მომწონს და მიყვარს იმ წიგნებს შორის, რომლებიც დღემდე წამიკითხავს.

— ავტორიც მოგწონთ? თუ მისი დანახვისთანავე იმედი გაგიცრუვდათ? — თავისდამოულოდნელად ჰკითხა ჰარიმ.

ელზემ მზერა გაუსწორა. საოცარი სითბო ედგა თვალებში.

— თქვენ ისეთივე ლამაზი და მომხიბლავი მამაკაცი ბრძანდებით, როგორც პოეტი, ჰერ პარი!

პირველად მას შემდეგ, რაც დამბლამ საწოლს მიაჯაჭვა, ჰაინრიხს ხალისიანად გაეცინა: გული უცნაური სითბოთი აეგსო.

ელზე ფონ კრინიცი, მდივანი ქალიშვილი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ავადმყოფის კარნახით მის უკანასკნელ ლექსებს იწერდა. ჰაინრიხს ჰაინეს ბოლო გატაცება იყო. პოეტი მას სიყვარულით მუშეს (Musche) ეძახდა. სწორედ ელზეს მიუძღვნა ჰარიმ თავისი ერთ-ერთი ლექსი, მშვენიერი „ლოტოსის ყვავილი“ (ჰაინესეული სევიდიანი იუმორით შეზავებული):

დასტურ, წყვილი ვართ ახირებული,
ერთად შეყრილი კურიოზულად:
მიჯნურ ქალსა აქვს სუსტი ფეხები,
მიჯნური ვაჟი კოჭლია სულაც.

ქალი ჰგავს გამხდარ, ნაწამებ ფისოს,
ვაჟი წევს, როგორც სნეული ძაღლი,
და მე მგონია, ორიდან ერთსაც
ვერა აქვს თავი საფეხებით სალი.

ამბობს, ლოტოსის ყვავილი ვარო
და ლოტოსივით გაშლილი ქალი;
ვაქვს თავი მთვარედ წარმოუსახავს,
არის მასავით მცხრალი და მკრთალი.

თრთოლვით დახურავს ლოტოსი ფურცლებს,
თითქოს მთვარის სხივს ეაღერსება,
მაგრამ სიცოცხლის ნაყოფის ნაცვლად
ფაქიზ ხელებში რჩება ლექსები.*

დიახ, მართალია, „მცხრალი მთვარე“ თავის „ლოტოსის ყვავილს“, ცხადია, „სიცოცხლის ნაყოფს“ ვერ მიუძღვნია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ორმოცდათექვსმეტი წლის ჰაინრიხს ჰაინესა და ოცდაორი წლის ელზე ფონ კრინიცი ერთმანეთი უყვარდათ!

* აკ. გელოვანის თარგმანი.

მაინრიხის პორტრეტს ალბათ ერთი შტრისი მაინც დააკლდება, თუ მათილდაათან მისი ბოლოდროინდელი დაძოკიდებულების შესახებ რამდენაიძე სიტყვას არ ვიტყვით.

პარი, რომელიც ჭაბუკობაშიც და, მით უმეტეს მერეც, როცა დავაჟკაცდა, ეფექტური გარეგნობის მამაკაცი იყო, ეგრეთ წოდებულ „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა შორის წარმატებით სარგებლობდა. თავის პოლიტიკურსა და მხატვრულ-ესთეტიკურ შესეღულებებში მტკიცე და პრინციპული მაინე ქალებთან ურთიერთობაში პეპელას ჰგავდა, რომელიც თითქოსდა ქარაფშუტული ფარფატიტ გადადის ერთი ყვავილიდან მეორეზე: ანეელიკა... დიანა... პორტენზია... მარია... ვინ მოთვლის!

მატილდა რაუმერი არც უსამეელოდ ლამაზი ქალი იყო და არც უსამეელოდ ჭკვიანსი. მასში თანაბრად იყო შეზავებული ყველა ქალური თვისება და, გარდა ამისა, პრაქტიკული ცხოვრების ნიჭი. პარიმ იგი მეგობრის ოჯახში გაიცნო, წვეულებაზე, და ერთი თვის შემდეგ ხელიც სთხოვა. მათილდას უარი არ უთქვამს.

ცხოვრობდნენ თანსმობით, კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, მემკვიდრეზე არცერთს არ უფიქრია, არც კი ულაპარაკიათ ამაზე. პარი ყურადღებიანი ქმარი იყო, თუმცა თავისი, განსაკუთრებული, ცალკე სამყარო ჰქონდა. ვერც მათილდას დასწამებდა კაცი უყურადღებობას. თუმცა მათ ურთიერთობას სიყვარულს მაინც ვერ დაარქმევდი.

პირველი ნაწილობრივი დამბლის შემდეგ, როცა პარი დაკოჭლდა და მხედველობა მკვეთრად გაუუარესდა, მათილდას გრძნობას, რასაც იგი მეუღლის მიმართ განიცდიდა, სიბრალულიც დაემატა, მაგრამ პარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების კვალობაზე მის გულში თანდათანობით იკიდებდა ფეხს ახალი, ჯერაც გაუცნობიერებელი გრძნობა — გაღიზიანება:

მატილდა რაუმერი ხომ პარიზე ათი წლით ახალგაზრდა იყო!

ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა კიდევ უფრო იმძლავრა მეორე, ყოვლისმომცველი დამბლის შემდეგ, რომელიც 1848 წლის მაისში მაინრიხმა სასწაულებრივად გადაიტანა, მაგრამ სამუდამოდ მიეჯახვა საწოლს.

ცოლ-ქმარს შორის სიცივემ იჩინა თავი, მით უმეტეს, რომ, თავის მხრივ, პარისაც შეეყარა გაღიზიანების სენი. მაინრიხი ბოლო დროს ხშირად იჭერდა თავისთავს იმაში, რომ ხან მეუღლის სიცილი უშლიდა ნერვებს, ხან — მისი ვარცხნილობა, ხან — კაბის ფერი, ხოლო თუ მათილდას თავის ოთახში სტუმრები ჰყავდა და პარის მათი სიცილ-ხარხა-

რი ესმოდა, გაცოფება იპყრობდა ხოლმე. საფიქრებელია, ეჭვიანობდა კიდევ.

ჰაინეს ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევრის, ფრანცისკა კუგელმანის მტკიცებით, ჰაინრიხის მშვენიერი ლექსები, სიყვარულზე დაწერილი, მხოლოდ მისი პოეტური წარმოსახვის ნაყოფი იყო, ტრფობის ნამდვილი სიტყბო არასოდეს განუცდია და ყველაზე ნაკლებად ქორწინებაში ჰპოვა ბედნიერება. ფ. კუგელმანის აზრით, ამის დასტურია ჰაინეს რომანსი „ღიაცი“, რომელიც მან პირველი დამბლის შემდეგ დაწერა. მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ეს რომანსი, რომელშიაც საკმაოდაა ბალადის ელემენტებიც:

მათ გულს ტკბილად ატოკებდა სიყვარულის ალი,
ვაჟი იყო ქურდბაცაცა, ფუქსავატი — ქალი.
როცა ვაჟი იმარჯვებდა ბნელი ოინებით —
ქალი, ტახტზე გაწოლილი, იცინოდა შვებით.

სიხარულით, სიტყბოებით ქროდნენ დღენი ასე,
ლამით სატრფოს მკერდს ეკვროდა ვაჟი, ვნებით სავსე.
როს ციხისკენ გააგზავნეს ვაჟი დარაჯებით —
ქალი იჯდა სარკმელთან და იცინოდა შვებით.

ვაჟმა სატრფოს შეუთვალა: — ტურფავ, მნახე, მოდ
მენატრები, გულზე სევდა მაწევს, როგორც ლოდი.
ესევედიანობ, შენს ლოდინში აჩრდილს ვემსგავსები!
ქალი ცივად თავს აქნევდა, იცინოდა შვებით.

განთიადის ექვს საათზე ჩამოახრჩვეს ვაჟი:
შვიდ საათზე იგი უკვე ჩაფლეს შავ მიწაში.
ქალი სწორედ რვა საათზე, ჩვეულ გატაცებით,
წითელ ღვინოს მიირთმევდა, იცინოდა შვებით.*

საინტერესოა, რომ ამ ლექსის უკანასკნელი სტროფი აქვს დამოწმებული და ფ. კუგელმანის თვალსაზრისს ეთანხმება ფრ. ენგელსი თავის 1856 წლის სექტემბრის წერილში კ. მარქსისადმი, სადაც ლაპარაკობს ჰაინეს გარდაცვალებასა და მისი მეუღლის — მათილდას ქცევის თაობაზე...

* ხ. ვარდოშვილის თარგმანი.

იქნებ ლოტოსის ყვავილში — ელზე ფონ კრინიცის არსებაში კპოვა სწორედ ჰაინრიხის მოუსვენარმა სულმა უკანასკნელი თავშესაფარი?..

დრო აჩქარდა, უფრო და უფრო სწრაფად მიჰქროდა. ფროილიან ელზე მცოდნე და ყურადღებიანი მდივანი გამოდგა. პარი სვენებ-სვენებით კარნახობდა სტრიქონებს, გზადაგზა ასწორებდა, მერე ხმაძალ-ლა აკითხებდა ქალიშვილს და ასე ასწორებდა ამა თუ იმ სტრიქონს, სიტყვას, შედარებას. როცა დაიღლებოდა, თვალებს დახუჭავდა, ღრმად ამოისუნთქავდა და ამოიხვრასავით იტყოდა:

— მოდი ჩემთან, მუშე...

ასე დაიწერა ახალი „ლამენტაციები“, ტკივილითა და, ამავე დროს, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ლექსები: „სად?“, „მკოცნიდნენ ყალ-ბად“, „ორფეოსული“, „მარადისობა“, „დღე და საათი“, „მორფინე“, „მშვიდობით“ (მუშესადმი მიძღვნილი), „უბრძანე“ (ისევ მუშესადმი)...

დრო მიჰქროდა. დამოკლეს მახვილი ისევ ეკიდა ჰაინრიხის თავზე. საცაა, გაწყდებოდა თოკი და...

პოეტი იბრძოდა — წერდა, იტანჯებოდა — წერდა, ეჭვიანობდა — წერდა... ხან ნანობდა, ნეტავი არ დაებადებულყავიო, ხანაც სიცოცხ-ლეს შეჰხაროდა და, უკვე იმედგადაწყვეტილმა, უკანასკნელად ასეთი სონეტი დაწერა — ბოლო სონეტი, რომელშიაც მთელი მისი ცხოვრე-ბის არსი აირეკლა:

ჩემი დღე იყო მხიარული, ღამე — სვიანი;
ხშირად მიქებდა ხალხი ამ ქნარს, რადგან ყოველი
ჩემი სიმღერა იყო ღზენა, ცეცხლი ცხოველი
მშვენიერ ღადარს აღვივებდა ხალისიანი.

დღეს ბელლებშია მოსავალი, წუხილს მოველი,
თუმცა ჯერ კიდევ იფურჩქნება ჩემი ზაფხული,
და ახლა უნდა მივატოვო ეს ჭირნახული,
რამაც შემიტკბო, შემაყვარა წუთისოფელი.

ქნარი ხელიდან გამივარდა, გაიციალა
და ნამსხვრევებად გადაიქცა ნაზი ფიალა —
ზვიად ბაგესთან რომ მიმქონდა ნექტარით სავსე.

ღმერთო! რა მწარე, საძაგელი არის სიკვდილი!
ღმერთო! სიცოცხლის ჯადოსნური აისი ტკბილი
რა ძვირფასია ამ დალოცვილ დედამიწაზე!*

„დაუმარცხებლად დაცემული“

დრო მიჰქროდა.

დადგა 1856 წლის თებერვალი.

სუსხიანი ზამთარი იდგა ევროპაში. გერმანიაშიც. დიუსელდორფშიც. გაზაფხულამდე შორს არ იყო, მაგრამ...

ერთ დღეს, ის იყო, ფროილან ელზემ მუშაობა დაამთავრა და ოთახიდან გავიდა, რომ კარი მატყილდამ შემოაღო, ხელში სათბურში გამოყვანილი ყვავილების თაიგული ეჭირა. მაგიდასთან მივიდა, ლარნაკისაკენ წაიღო ხელი. პარი მღუმარედ აღევნებდა მზერას, მერე უცებ სისხლმა აასხა თავში და იყვირა:

— მომაშორეთ! მომაშორეთ! აღარ შემძლია გაფურჩქენილი ყვავილების დანახვა! მო-მა-შო-რეთ!!

16 თებერვალი. ნაშუადღევს სამი საათი.

ასალი სალექსო სტრიქონის კარნახისას პარი უცებ გაჩუმდა, ხელი თვალებისკენ წაიღო და ზედ აიფარა. სხეული დაეძაბა, სახე გაუქვავდა.

— მუშე... ექიმი... — ძლივს ამოთქვა.

ექიმმა ბაზენმა სტეტოსკოპი მაგიდაზე დადო და წამოდგა. ოთახში მატყილდა, ელზე და მოახლე ქალი იყვნენ. ბაზენმა მზერა მატყილდაზე შეაჩერა:

— ვწუხვარ, მაგრამ ეს უკვე დასასრულის დასაწყისია, ფრაუ ჰაინე, — თქვა ხმადაბლა, თითქოს ეშინია, ავადმყოფმა არ გაიგონოსო. — დიდი-დიდი, ზვალამდე იცოცხლოს. მისი ორგანიზმი იმდენადაა გამოფიტული, რომ ვერავითარი სასწაული ვეღარ უშველის... მაინც, მე მასთან დაერჩები...

ფროილანი ელზე თავჩაქინდრული გავიდა ოთახიდან. მხრები უცახცახებდა. მატყილდამ ცივი მზერა მიაღვენა.

სალამოს 7 საათზე პარი გონს მოვიდა.

— ვკვდები? — იკითხა. ბაგეები შეუთრთოლდა, ეტყობა, გაღიმება

* აკ. გელოვანის თარგმანი

სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. — ნუ დამიმალავთ, ბაზენ, თქვენ მე მიცნობთ...

ექიმმა მისი მაჯა აიღო ხელში, პულსი გაუსინჯა.

— არ დაგიმალავთ, პერ პარი, თუმცა... იქნებ ჯობდეს, ყოველი შემთხვევისათვის ზიარება მიიღოთ... ყოველი შემთხვევისათვის...

ასლა კი მოახერხა პარიმ გაღიმება. სათითაოდ შეათვალიერა იქ მყოფნი. მუშუზე შეაჩერა მზერა. მერე ისევ ბაზენს შეხედა:

— ნუ ღელავთ, ექიმო ბაზენ! ღმერთი თვითონ მაპატიებს ცოდვებს — ეს ხომ მისი პროფესიაა...

...ჩამობნელდა. ისევ განათდა წამით. მერე კვლავ ღამე ჩამოწვა... ისევ ინათა... და ასე დაუსრულებლად...

დიუსელდორფის თოვლით დაფარული რატუმის მოედანი... ცივა...

დიუსელის ამწვანებული ნაპირები. უკ, რა თბილია ზაფხულის მზე...

რა საამოდ ჟღერტულევენ ჩიტუნები... დედა... გაღია ციპელი...

ამალია — ყინულოვანი მშვენიერება...

ბროკენი. დედა და ქალიშვილი. ორივე ლამაზია. რომელთან ჯობს ფლირტის გაჩაღება?..

ღუელი გეტინგენში...

პირველი წიგნის სიხარული... ფრთები, ფრთები, ფრთები...

— აგონია იწყება... — ეს ექიმ ბაზენის ხმაა.

იულიუსი, კეთილი მეგობარი... გადამწვარი ჰამბურგი...

ჰელგოლანდი...

„ყველაზე დიდი გერმანელი“ — იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ყველა მწვერვალზე უმაღლესი მწვერვალი...

იტალია... ვერონა, ლივორნო, ფლორენცია...

„საზიზღარი ავი ფრინველი...“

— პულსი თითქმის აღარ იგრძნობა... — ეს ექიმ ბაზენის ხმაა.

მაისის პარიზი. მეგობრული სითბო — სანდი, ბალზაკი, ჰიუგო, გოტიე...

ბანჯგელიანი, თოკკამობმული ატა ტროლი თავის მეუღლესთან, მუ-მესთან ერთად ცეკვავს მოედანზე და ძუნძულით ართობს დოყლაპია მა-ყურებელს.

რონსეველის ხეობაში თქარათქურით მიაჭენებს ცხენებს როლანდის მხედრობა...

„დედა... დეე-დააა!..“

— გათავდა... — ეს ექიმ ბაზენის ხმაა.

პარიმ თვალები გაახილა. ერთხანს ჭერს შეჰყურებდა. მერე ფრო-ილიან ელზე მონახა მხერით.

— ქალაღი... ფანქარი... უნდა ვწერო... — ძლივს ამოთქვა გა-ლურჯებული ბაგეებით.

ეს სიტყვები თქვა და თვალები დახუჭა.

წყვილადი ჩამოწვა. ამჯერად — სამუდამოდ.

1856 წლის 17 თებერვალი იდგა. განთიადი.

პოეტის ანდერძისამებრ, დაკრძალვისას გამოსათხოვარი სიტყვები არ წარმოუთქვამთ.

ჰაინეს ცხედარი მისი პოეზიის ასიოდუ გულშემატკივარმა გააცილა უკანასკნელ გზაზე.

მძიმედ თავჩაქინდრული იდგა პიერ ბერანჟე.

სახე გაქვევებოდა ჟორჟ სანდს.

მღუმარედ ღვრიდა ცხარე ცრემლებს თეოფილ გოტიე.

ხმამაღლა ქვითინებდა ალექსანდრე დიუმა — მამა.

მატილდა, სახეზე რიდერამოფარებული, ცოცხალ ქანდაკებასავით იდგა. მის ზურგსუკან მხრებში ბეჩავად მოკუნტულიყო ელზე ფონ კრი-ნიცი — მუშე, პოეტის უკანასკნელი სიყვარული.

უკვდავებასთან ნახიარევი

პარიზი. მონმარტრის სასაფლაო.

მიუყვები ვიწრო ბილიკს, ვათვალთვლებ საფლავებს და თან მომ-ყვება ფრანგი თუ ევროპელი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების მა-რადისობიდან მომდინარე კითხვიანი მხერა.

უცებ მივადექი გერმანელი პოეტისა და პუბლიცისტის, რომანტიზმის უკანასკნელი გვირგვინოსნის, ჰაინრიხ (პარი) ჰაინეს მოთეთრო-მონაც-რისფრო მარმარილოს ბიუსტს.

მოწინებით მოვიყარე მუხლი მის წინაშე. აქ იწვა კაცი ტანჯული,

დევნილი, მრავალგზის ჩაწიხლული, მაგრამ მაინც ამაყი, ბუმბერაზი, სულით ძლიერი და გაუტყეხელი.

დრომ ვერაფერი დააკლო ვერც მის შემოქმედებას, ვერც მის პიროვნებას. არადა, თავად დრო სდევნიდა განუწყვეტლივ და შეუბრალებლად.

ტანჯულ პოეტს არც გარდაცვალების შემდეგ ასვენებდნენ მტრები, არ ცხრებოდნენ რეაქციული ძალები. მათ ისევე აშინებდა მკვდარი პოეტი, როგორც ცოცხალი. სადაც კი მოიხელთებდნენ მის კრებულებს, ცალკეულ ლექსებს, ანადგურებდნენ, აუტოდაფეებს უწყობდნენ.

დრომ არც მეოცე საუკუნეში დაინდო იგი. ოცდაათიან წლებში, როგორც კი გერმანიის ხელისუფლებაში ფაშისტები გამოჩნდნენ, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს პოეტს. მის სულიერ დანატოვარს, როგორც „ემპაკეულს“, ისე სდევნიდნენ. ქუჩებში ისევ წვაებდნენ, შანთავებდნენ, ანადგურებდნენ ჰაინრიხ ჰაინეს უდიდეს ნააზრევს, ² წიგნებს, შემოქმედებას.

ჰაინრიხ ჰაინემ მაინც არ დასთმო.

დრომ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

ჩემს წინ ახლა უკვე საქვეყნოდ აღიარებული და სახელგანთქმული გერმანელი პოეტის, ჰაინრიხ ჰაინეს — ღირსეული დიუსელდორფის ღირსეული შვილის, დიდი გერმანიის უდიდესი პოეტის საფლავია.

ზამთრის სუსხი გაილია. გაზაფხულდა ევროპაში, პარის მშობლიურ გერმანიაში.

ჰაინრიხ ჰაინე შეერთო მარადისობას და უკვდავებას ეზიარა, როგორც პოეტი, მოაზროვნე და თავისუფლებისათვის მებრძოლი. იგი დაბრუნდა შინ, თავის უსაყვარლეს სათნო დედასთან:

„მარად სიყვარულს ვესწრაფვოდი, ვეძებდი მარად,
ვერსად ვიპოვნე სიყვარული ნუგეშად, ფარად.

და შინ დავბრუნდი დაქანცული, დარდით სწეული.

შენ შემეგებე, მიღიმოდა მე შენი სახე,

და, ღმერთო ჩემო! შენს თვალებში დაბოლოს ვნახე
ტკბილი, ნანატრი სიყვარული, დედისეული...

კაინრის კაინეს ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი თარიღები

- 1797 წ. 13 დეკემბერი — დიუსელდორში სამსონ კაინეს ოჯახში დაიბადა კაინრის კაინე.
- 1806 წ. 25 მარტი — ნაპოლეონი შემოვიდა რაინის პროვინციაში.
- 1815–1916 წ.წ. — კაინრიხი ჯერ ფრანკფურტში, ბანკირ რინდსკოფის კანტორაში გადის პრაქტიკას, შემდეგ — კამბურგში, ბიძის — სოლომონის ბანკში.
- 1817 წ. — „გებელშაფტერში“ დაიბეჭდა კაინრიხის ლექსები: კაინეს პოეტური მოღვაწეობის დასაწყისი.
- 1819 წ. — კაინე შედის ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; უმეგობრდება შლეგელს.
- 1820 წ. შემოდგომა — გადადის გეტინგენის უნივერსიტეტში.
- 1821 წ. აპრილი — შედის ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც ისმენს ჰეგელის ლექციებს.
- 1821 წ. — გამოქვეყნდება „გებელშაფტმა“ გამოსცა კაინრიხის ლექსების პირველი კრებული.
- 1823 წ. — გამოდის კაინეს ლექსების მეორე კრებული — „ტრაგედიები ლირიკული ინტერმედიოთი“.
- 1823 წ. — კაინრიხი უბრუნდება გეტინგენის უნივერსიტეტს. შემოდგომაზე ფეხით მოგზაურობს პარცის მთებში.
- 1824 წ. — შეხვედრა გოეთესთან.
- 1825 წ. აპრილი — მოიპოვა სადოქტორო გამოცდების ჩაბარების უფლება.
- 1825 წ. ივნისი. — იღებს პროტესტანტობას (ქ. ჰაილიგენშტადტში).
- 1825 წ. 20 ივლისი — იცავს დისერტაციას ლათინურ ენაზე გეტინგენის უნივერსიტეტში.
- 1825–1826 წ. მიწურული — ცხოვრობს კამბურგში. მეორე მოგზაურობა პარცის მთებში.
- 1825–1826 წ.წ. მიწურული — ცხოვრობს კამბურგში. მეორე მოგზაურობა პარცის მთებში.
- 1827 წ. იანვარი — მიემგზავრება ინგლისში.
- 1827 წ. სექტემბერი — კოლანდიის გავლით ბრუნდება კამბურგში.
- 1827 წ. — გამოქვეყნდა „სიმღერების წიგნი“.
- 1828 წ. — მოგზაურობა იტალიაში. ამავე წლის მიწურულს ბრუნდება სამშობლოში მამის გარდაცვალების გამო.
- 1826–1831 წ.წ. — ნაწილ-ნაწილ აქვეყნებს „მოგზაურობის სურათებს“.
- 1831 წ. მაისი. — საცხოვრებლად გადადის საფრანგეთში, პარიზში. ამავე წელს უკავშირდება საზოგადოება „ახალგაზრდა გერმანიას“ და მის ლიდერს ლუდვიგ ბერნეს.

- 1831 წ. დეკემბერი - 1832 წ. სექტემბერი - თანამშრომლობს აუგსბურგის „სა-
 1831 წ. დეკემბერი - 1832 წ. სექტემბერი - თანამშრომლობს აუგსბურგის „სა-
 ყოველთაო გაზეთში“.
- 1840 წ. - აქვეყნებს წიგნს „ლუდვიგ ბერნე“.
- 1841 წ. - წერს „ატა ტროლს“.
- 1843 წ. შემოდგომა - თვე-ნახევრით ჩამოდის გერმანიაში.
- 1844 წ. - ცალკე წიგნად გამოდის „გერმანია, ჯამთრის ზღაპარი“.
- 1846 წ. - პირველი დამბლა (ნაწილობრივი).
- 1847 წ. - ცალკე წიგნად გამოდის „ატა ტროლი“. ზაფხულის ღამის სიზმარი“.
- 1848 წ. მაისი - დამბლა. პოეტი სამუდამოდ ჩაწვა „ლეიბების საფლაკში“.
- 1851 წ. - გამოდის ლექსების წიგნი „რომანსერო“.
- 1853-1854 წ. - წერს ლექსების ახალ ციკლს - „უკანასკნელი ლექსები“.
- 1853-1854 წ.წ. - წერს ლექსების ახალი ციკლს - „უკანასკნელი ლექსები“.
- 1856 წ. 17 თებერვალი - განთიადისას გარდაიცვალა.
- 1856 წ. 20 თებერვალი - პარიზი, მონმარტრის სასაფლაოზე, დაკრძალეს ჰაინრიხ
 ჰაინე.

უ ე ნ ი შ ვ ნ ა ზ ი

1. კურტიურსტი — ძველ გერმანიაში: დიდებული, ფეოდალი, მთავარი.
2. მარკლატი — ქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც იზარტებოდა ბაზრობები და სხვა და სხვა სანახაობანი (ბაზრის მოედანი).
3. რატკაუზი (რატუმა) — ადრე საუკუნეების გერმანიაში; ქალაქის საბჭოს შენობა, რომელიც უმთავრესად იგებოდა ცენტრალურ მოედანზე (მარკტპლატცზე);
4. სამორინე — აზარტულ თამაშობათა სახლი.
5. პროტესტანტიზმი — ლათინური სიტყვაა და საჯაროდ (სახალხოდ) მამტიცებულს ნიშნავს — ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ქრისტიანობაში, გამოყოფილი კათოლიციზმს მე-16 საუკუნეში.
6. ბროკენის მთა — პარცის მთების ერთ-ერთი მწვერვალი.
7. პალასო — იტალიელ დიდებულთა საცხოვრისი — სასახლე, შესრულებული იტალიურ-რომაულ სტილში.
8. პოფრათი (გერმ. Hofrat) — ეზოს ქოფაკი — მეცხვარე ნაგაზი.
9. პარიზის ღვთიშობლის ტაძარი (Notre-Dame de Paris) — კათედრალური ეკლესია, რომელიც აღმართულია კუნძულ სიტზე. ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. ცალკეული ნაწილების მშენებლობამ გასტანა მე-13 საუკუნის შუა წლებამდე.
10. ლუერი — თავდაპირველად ფრანგ მეფეთა სასახლე, აშენებული ძველი ციხე-დარბაზის ადგილზე მე-16, მე-19 საუკუნეებში. არქიტექტორები: პ. ლესკო, კ. პერო და სხვ. შემდგომში ლუერი გადაკეთდა პარიზის სამხატვრო მუზეუმად, სადაც დღემდე დაცული ფრანგ მეფეთა დინასტიების (ვალუების, ბურბონებისა და სხვათა) დანატოვარი.
11. ტიუილრი — სასახლე პარიზში, საფრანგეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია, ლუერის კომპლექსის ნაწილი. განადგურდა 1871 წლის მაისში, კომუნარებსა და ჯერსაღებებს შორის ბრძოლისას.
12. პალეროიალი — მეფის სასახლე პარიზში.
13. ბასტილიის ციხე — ციხე-სიმაგრე პარიზში, აშენებული 1370—1382 წ.წ., მე-15 საუკუნიდან — სახელმწიფო საპყრობილე. 1789 წ. 14 ივლისს აჯანყებულმა ხალხმა აიღო ბასტილიის ციხე და მთლიანად დაანგრია (დასაწყისი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა).
14. კათოლიციზმი — ქრისტიანობის სახესხვაობა (უმთავრესად — დას. ევროპასა და ლათ. ამერიკაში). აღიარებს, რომ სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამადმერთის, არამედ ძელმერთისაგანაც; კანონიერ განსხვავებათაგან მნიშვნელოვანია სამღვდლოების დაუქორწინებლობა და განსაკუთრებით განვითარებული მარიაშიზმი (ღვთიშობლის კულტი).
15. ტეეტომანური ნაციონალიზმი — ტეეტონური (გვ. გერმანული ტომი) დიდმპყრობელური იდეოლოგია, რომელიც გამოიხატება სხვა ერებისადმი შეურაცხყოფელ დამოკიდებულებასა და უცხო მიწების დაპყრობა-შემოერთებაში.

ბაიოგრაფიული ლიტერატურა

1. დ. ლაშქარაძე — „ჰაინრიხ ჰაინე“, 1957 წ., თბილისი;
2. გრ. ხაუთასი — „ჰაინრიხ ჰაინეს ხელოვნების თეორიისათვის“, 1956 წ., თბილისი;
3. ჰაინრიხ ჰაინე — „რჩეული თხზულებანი“, 1978 წ., თბილისი;
4. «Краткая литературная энциклопедия». 1962 г.
5. „Geschichte der deutschen Literatur“ — 1974 Jahr. Moskau—Verlag „Hochschule“.
6. Генрих Гейне — лирика. 1963 г. Москва;

სარჩევი

რედაქტორისაგან	3
ავტორის წინათქმა	5
მოლოდინი	7
დიუსელდორფი	8
ბოლკერშტრასე, 5	9
ჰარის ბავშუობა	13
სიჭაბუკე	20
მოგზაურობა განათლების სამყაროში	36
„დიდი გერმანელი“ და ჰაინე	47
მოგზაურობა ჰარცის მთებში	51
მოგზაურობა ეროპაში	56
დედა და შვილი	58
დეენა	61
პოლიტიკური ემიგრანტი. პირველი წლები	69
„ატა ტროლი“. ზაფხულის ღამის სიზმარი	76
დედა და გერმანია	78
გაზაფხულის მოლოდინში	85
ქარიშხალი	87
„ლეიბების საფლაკეში“	91
„დაუმარცხებლად დაცემული“	104
უკვდავებასთან ნაზიარეკი	106
ჰაინრიხ ჰაინეს ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი თარიღები	108
შენიშვნები	110

ვალერიან შალვას ძე მგალობლიშვილი

პინდის პინე

(ბიოგრაფიული რომანის ცდა)

გამომცემლობის რედაქტორი ლევან ბახუხაძია
მხატვრული რედაქტორი მერაბ შირუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ დოხნაძე
კორექტორი ნუნუ ზურიაშვილი
სპირიტონი ციციშვილი
ასოთამწეობი ქეთევან ჯულაყიძე
დამკაბადონებელი რუსუდან გურგენაშვილი

ჩაბარდა წარმოებას 15.02.96; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.04.96;
გაზეთის ქალაქი. ფორმატი 60 X 84¹/₁₆; ბეჭდვა მაღალი;
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 6,51; სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფურცელი 6; შეკვეთა № 169; ტირაჟი 1 000 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოს“ სტამბა.
კოსტავას ქუჩა № 14.